დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
7 - 13 აგვისტო

N35 1499

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# საქართველოს შოვი დღე გათენდა!



# საქართველოს შოვი დღე გაუთენდა, ანუ

## შოვის ტრაგედია და პოლიტიკურ სა-შოუ-არზე გამოსული ნატირლები

***ნამუსგარეცხილი არამზადა და უკანასკნელი გარეწარი უნდა იყო, რომ პოლიტიკური სარგებლის მიღება სცადო იმ უდიდესი ტრაგედიისაგან, რომელიც საქართველოს 2023 წლის 3 აგვისტოს, რაჭის კურორტ შოვში მეწყრის ჩამოწოლის შედეგად დაატყდა თავს.***

ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის მიერ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ დადებული **ლევან ხაბეიშვილი** სწორედ ასეთი ნამუსგარეცხილი არამზადა და გარეწარია, რომელმაც რაჭაში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებასა და ადამიანების სიკვდილში **ბიძინა ივანიშვილს დასდო ბრალი!**

შოვში საშინელი მეწყრის ჩამოწოლიდან ორიოდე საათი იყო გასული, როცა **ხაბეიშვილმა** სოციალურ ქსელში დაწერა:

> *„ივანიშვილმა გაყიდა ტყეები და არ ვიცით, რა ხდება დახურულ ზონებში. ვიცით ის, რომ გაჩეხა იქაურობა, გაზიდა და გაძარცვა — გამომწვევი მიზეზებიც, რეალისტურია, ეს იყოს. წლებია, ივანიშვილის კომპანიებსა და კარის ბიზნესმენებს თვალი და საჭრელი დაზგები აქვთ დადგმული რაჭაში. რუს ოლიგარქს, **პუტინისტ დავით ხიდაშელს** რაჭის ტყეების 30 პროცენტი გადასცა, რომელიც თბილისზე დიდი ტერიტორიაა“.*

**რა თქმა უნდა, ხაბეიშვილი ცრუობს!**

**რა თქმა უნდა, ივანიშვილს რაჭის ტყეები არ გაუჩეხავს და არ გაუყიდია!**

**რა თქმა უნდა, ივანიშვილის კომპანიები რაჭაში ხეტყის ბიზნესით არ არიან დაკავებული!**

**რა თქმა უნდა, შოვში სტიქიის გამომწვევი მიზეზი ივანიშვილის მიერ გარემოზე ზემოქმედება არ არის!**

**რა თქმა უნდა, ბიზნესმენი დავით ხიდაშელი რუსი ოლიგარქი და პუტინისტი არ გახლავთ!**

**რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებას ბიზნესმენ ხიდაშელისათვის რაჭის ტყეების 30 პროცენტი არ გადაუცია, მითუმეტეს, არ გადაუცია გასაჩეხად და გასანადგურებლად!**

სინამდვილეში, ქართველმა ბიზნესმენმა **დავით ხიდაშელმა** რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 104 712 ჰექტარი ტყის მასივი სახელმწიფოსაგან 49-წლიანი იჯარით, სანადირო მეურნეობის მოსაწყობად აიღო და ამაში 1 151 832 ლარი გადაიხადა, ხოლო სანადირო მეურნეობის მოწყობა ტყის გაჩეხას კი არა, პირიქით, ტყის მოვლასა და შენარჩუნებას გულისხმობს.

ზოგადად, **ბიზნესმენი დავით ხიდაშელი ნაცსექტას ყელში იმიტომ ჰყავს გაჩხერილი, რომ სწორედ მან მოიპოვა და ქართულ სახელმწიფოს დაუბრუნა ათწლეულების განმავლობაში გაუჩინარებული უნიკალური კარტოგრაფიული მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ აზერბაიჯანისათვის გადაცემული დავითგარეჯის ნაწილი საქართველოს ეკუთვნის.**

სწორედ **ბიზნესმენ ხიდაშელის** მიერ მიკვლეული და ქართული სახელმწიფოსათვის გადაცემული რუკების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე უმძიმესი მუხლით, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ნაწილის სხვა ქვეყნისათვის გადაცემისაკენ მიმართულ ქმედებას გულისხმობს და რომლითაც პასუხისგებაში არიან მიცემული **ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა.**

შეიძლება ითქვას, რომ **ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა ქართულ სახელმწიფოს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი სამშობლოს ღალატის მტკიცებულება გადასცა, რის გამოც კოლექტიური ხაბეიშვილების სამიზნედ და შურისძიების ობიექტად იქცა.**




**ხაბეიშვილი ნამუსგარეცხილი არამზადა და უკანასკნელი გარეწარი რომ არ იყოს, ცოტას მოიცდიდა, სტიქიის ზონაში სამაშველო ოპერაციის დასრულებას მაინც დაელოდებოდა, დაღუპულ თანამემამულეებს მთელ საქართველოსთან ერთად გარინდებით იგლოვებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებდა თუნდაც ყველაზე უტიფარ და უღირს პოლიტიკურ განცხადებებს!**

ხაბეიშვილი მართლა პოლიტიკოსი და მართლა ოპოზიციონერი რომ იყოს, ისე მოიქცეოდა, როგორც, მაგალითად, ხელისუფლებასთან მწვავედ დაპირისპირებული **გიორგი გახარიას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი მიხეილ დაუშვილი** მოიქცა, რომელმაც განაცხადა:

> *„სანამ ერთი ადამიანის გადარჩენაც კი შესაძლებელია, იქამდე ყველა პოლიტიკური განცხადება, რასაც ვხედავთ სხვადასხვა სივრცეში, კატეგორიულად მიუღე-*



## რაში აინტერესებთ ხაბეიშვილსა და ნაცხროვას პროფესიონალი გეოლოგების დასკვნები რაჭაში სტიქიის გამომწვევი მიზეზების შესახებ? მთავარია, ყველას დაასწრეს და ივანიშვილი უბედურების დატრიალებაში დაადანაშაულეს!

### კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ბევრი მცდელობა იყო, **საქართველო გამოყენებული ყოფილიყო ინსტრუმენტად ცალკეული ქვეყნების წინააღმდეგ თუ სასარგებლოდ. ჩვენი მთავარი დევიზია ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა** და არა სხვა ქვეყნების ინტერესების მსახურება.

„ინტერპრესნიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ჩემი სამი მცირეწლოვანი შვილი და არა მეუღლე, ისვენებდა შოვში ორი კვირის განმავლობაში. **სანამ სტიქია დაიწყებოდა, რამდენიმე საათით ადრე ჩემმა შვილებმა ჩემი ავტომობილებით დატოვეს აღნიშნული ტერიტორია. „ტვ პირველს“** მინდა მივმართო, რომ **ხართ სამარცხვინოები, როდესაც ასეთი ტრაგედიის, უბედურების ფონზე ამგვარ სპეკულაციებს ავრცელებთ!** სპეკულირებთ, თითქოს ჩემმა შვილებმა გამოიყენეს ვერტმფრენი და ისე დატოვეს ტერიტორია. **მადლობელი ვარ ღმერთის, რომ გადამირჩინა შვილები. ვთქვათ, იქ რომ ყოფილიყვნენ ჩემი შვილები, უნდა დაეტოვებინათ სამაშველო ღონისძიების დროს და არ უნდა ჩაესვათ ვერტმფრენში** და არ გადმოეყვანათ?

„აიპრესი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



ვრცელდებოდა ვიდეო, **თითქოს სტიქიის დროს დაღუპულთა ცხედრები იყო მიტოვებული** და ყურადღებას არავინ აქცევდა — რეალურად, **მაშველებს ცხედრები იმ ადგილზე გადაჰქონდათ, სადაც შესაძლებელი იყო ვერტმფრენის დაჯდომა**. ასევე გავარკვიეთ სპეკულაციური ვიდეოს გადამღების ვინაობაც. ის ე.წ. სამოქალაქო აქტივისტი, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი **დენის ბულკაშვილია.**

„იმედინიუსი“

**ანდრია გვიდიანი**
*ექსპერტი*



ამაზრზენი სანახავია, როცა **ჩასაფრებულის პოზიციიდან ცდილობ, ყველაზე დიდ სტიქიაში პოლიტიკური ნიშნები იპოვო** და უფრო უარესი — ამ სტიქიაზე **პოლიტიკური ქულების** მოპოვებას შეეცადო. „იმედინიუსი“



ადამიანი დამანგრეველი სტიქიის პირისპირ. შოვი, 2023 წლის 3 აგვისტო

# ნაცთახსირო ოქრიაშვილო, ეს მაინც რამ გაკადრებინა?!

## ყველაფრის მკადრებელი ნაძირალაა არამხოლოდ კახა ოქრიაშვილი, რომელმაც კახა კალაძეს ასეთი სიბინძურე დააბრალა, არამედ ისიც, ვინც ეს სიბინძურე დაიჯერა!

*ბელი და ამორალურია. დღეს მხარდაჭერა სჭირდებათ მაშველებს და ვისაც შეუძლია მათი დახმარება სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობით, მაგალითად, დრონებით თუ სხვა საშუალებებით, ყველას მოვალეობაა, ჩვენს ბიჭებს დავეხმაროთ, ესაა დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი“.*

**მაგრამ ხაბეიშვილი ნამუსგარეცხილი არამზადაა და მოიქცა ისე, როგორც მოიქცა!**

ან კი ნაცი რაღა ნაცი იქნება, ქვეყნის უბედურების ხარჯზე პოლიტიკური ქულების დაწერა თუ არ მოინდომა, ლეშის სუნნაკრავი სვავივით არ მოიქცა და კმაყოფილებით ხელების ფშვნეტა არ დაიწყო — **ეს რა კარგი მიზეზი მომეცა ხელისუფლებაზე იერიშის მისატანადო!**

**რაში აინტერესებთ ხაბეიშვილსა და ნაცხროვას** პროფესიონალი გეოლოგების ექსპერტული დასკვნები რაჭაში სტიქიის გამომწვევი მიზეზების შესახებ? **რაში ანაღვლებთ,** ხელისუფლება სტიქიურ მოვლენას მომზადებული შეხვდა თუ მოუმზადებელი? **მთავარია, ყველას დაასწრეს** და თავიანთი უპირველესი მტერი — **ბიძინა ივანიშვილი** უბედურების დატრიალებაში დაადანაშაულეს!

სხვათაშორის,

### ლევან ხაბეიშვილი რაჭაში დატრიალებული უბედურების დროს ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მისი პატრონი ვანო მერაბიშვილი – ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების კვალდაკვალ!

კერძოდ, **2005 წლის 3 თებერვალს ვანო მერაბიშვილი იყო პირველი, ვინც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე საათში საგანგებო ბრიფინგი გამართა და ყოველგვარი გამოძიებისა და ექსპერტიზის გარეშე განაცხადა — პრემიერ-მინისტრი გაზით გაიგუდაო,** ხოლო 2023 წლის 3 აგვისტოს, შოვში მეწყრის ჩამოწოლიდან რამდენიმე საათში, **მერაბიშვილის ხელისბიჭმა ხაბეიშვილმა,** ყოველგვარი გამოძიებისა და ექსპერტიზის გარეშე, **ტრაგედიაში დამნაშავედ ბიძინა ივანიშვილი გამოაცხადა!**

ნათქვამი რომ არის — ძაღლი პატრონს ემსგავსებაო, ხაბეიშვილის შემთხვევაც სწორედ ასეთია — **ეს წუპაკი ფინია ბოლომდე დაემგვანა მის დამგეშავ მერაბიშვილს!**

შოვში დატრიალებული ტრაგედიის გამო საქართველოს შავი დღე გაუთენდა!

საქართველოს გაუთენდა **შავი დღე** და **შოვი დღე** შოვში მომხდარი უბედურების გამო!

ქართველი ხალხი გახევებულია და გლოვის მეტი არაფერი შეუძლია, ხაბეიშვილისნაირ ნაცირლებს კი შეუძლიათ, ასეთ დროს პოლიტიკურ სა-შოვ-არზე გამოვიდნენ!

### უკვე მერამდენედ დასტურდება, რომ ნაციონალური მოძრაობა – ეს კოლექტიური ხაბეიშვილების ხროვა – საქართველოსათვის ყველაზე დიდი სტიქიური უბედურებაა!

*ჯაბა ხუბუა*

**P.S.**



***თუ ვარლამ არავიძეს ჰქონდა საოცარი უნარი, მტერი მოყვარედ გადაექცია და მოყვარე — მტრად, ნაცხროვის წარმომადგენლებს კიდევ უფრო გასაოცარი უნარი გააჩნიათ — მათ ძალუძთ, ერთმანეთსაც და თავიანთ თავსაც ყოველ მეორე წუთში მოუხსნან უზნეობისა და ამორალურობის რეკორდი!***

მაგალითად, გამოვარდება რომელიმე ნაცი და ისეთ რამეს იტყვის ან დაწერს, რომ იფიქრებ — შეუძლებელია, ამაზე დიდი სიბინძურე, სიბილწე და უნამუსობა არსებობდესო, მაგრამ სულ ცოტა ხანში იგივე ნაცი ან მისი რომელიმე თანამეინახე დაგარწმუნებენ, რომ მწარედ ცდებოდი!

აი, ახლაც ასეა — **ვერ წარმოგიდგენია, რაღა უნდა იყოს იმაზე დიდი სიბილწე, უზნეობა და სითახსირე, რაც რამდენიმე დღის წინათ**



გაგრძელება მე-4 გვერდზე

**შოვში დატრიალებული ტრაგედიის გამო 7 აგვისტო საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა! „ასავალ-დასავალის“ რედაქცია ქართველ ხალხთან ერთად გლოვობს სტიქიური უბედურების ყველა მსხვერპლს და სამძიმარს უცხადებს მათ ოჯახებს! ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს გარდაცვლილთა სულები!**

## უფალმა ინებოს, რომ მსგავსი ტრაგედია საქართველოში აღარასოდეს განმეორდეს!

### კვირგვინოსნები

**გიგლა ბარამიძე**
*პოლიტიკოსი*



რაჭაში მომხდარმა ზეტრაგედიამ უკვე მემილიონეჯერ დაანახა ერს, რომ **ნაციონალური მოძრაობა და მასთან დაკავშირებული წუნკლები** არიან საქართველოს დაუძინებელი მტრები, **ბნელი ძალებისგან დაპატენტებული**!

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი*



ნაცმოძრაობას ყოველთვის **არაადამიანობა** ახასიათებდა, ეს არის ხალხი, ვინც **კუდის ქიცინით ხვდებოდა რუსეთიდან შემოსულ ტურისტებს.**

„პირველი არხი“

### კვირგვინოსანი მსხვილი პლანით

**გიორგი მამაცაშვილი**
*საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე*



ახლა, როცა მთელი საქართველო ტრაგედიის დროს გარდაცვლილებს გლოვობს, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, მაშველები, ჯარისკაცები ნამდვილი გმირები არიან, როცა სიტყვებსაც არ ძალუძთ მწუხარების გამოხატვა, **კახა ოქრიაშვილი და მისი მსგავსი ნაძირალები** მსგავსი სიბინძურეებისთვის იცლიან!

არადა, ეს ვანოს მონა **ოქრიაშვილიც** მამასისხლად რომ ჰყიდის ხალხზე წამლებს და ამით ითბობს ხელს, ამაზე აღარ მინდა საუბარი...

ერთში ვეთანხმები: **ნამდვილად უნდა აღიძრას საქმე მსგავსი ბოდვების აღსაკვეთად და მსგავსი ცილისწამებისთვის უმკაცრესად უნდა აგონ პასუხი ამ და მისმა მსგავსმა სისხლისმსმელებმა!**

**კახი კალაძის** ბოღმა ახრჩობთ და დღემდე ვერ მოუნელებიათ გალამაზებული თბილისი და პირში პირდაპირ და არაერთხელ მიხლილი სიმართლე!

**ირაკლი ღარიბაშვილის** ბოღმა ახრჩობთ, ვერ მოუნელებიათ მისი სწორი პოლიტიკის შედეგები და დღე არ გავა, სიბინძურე არ ანთხიონ!

**ირაკლი კობახიძის** ბოღმა ახრჩობთ, ვერ მოუნელებიათ მისი სამართლიანი გამოსვლები და გადაცემა არ გავა, კბილი რომ არ გაჰკრან...

**ხვალ არც ის გაგიკვირდეთ, ამ უდღეურებმა ბიძინა ივანიშვილს გადააბრალონ შოვის ტრაგედია და ისევ ქულების დაგროვებაზე გააკეთონ სწორება...**

არადა, ზიზღს აგროვებენ ხალხში და ვერც ხვდებიან!

ზოგი ტვინნაღრძობი აქციას აანონსებს და ზოგიც ბინძური ცილისწამების გავრცელებით არის დაკავებული, მაშველები კი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაკარგული ადამიანების გადარჩენას ცდილობენ...

გლოვის დღეებია ქვეყანაში და **გიულის ჩალაძე** ავადმყოფი სააკაშვილის დროს ნატრობს და ადარებს ხელისუფლების ქმედებებს...

**ალბათ, დაავიწყდათ ორთაჭალის ტრაგედიის დროს როგორ შოპინგობდა დედულას ბიჭი მილანის ბრენდულ მაღაზიებში...**

ამათთვის ყველა ტრაგედია შოუა! ამათთვის ყველა ტრაგედია რეიტინგების მთვლელია!

ზოგმა ისიც იკადრა — **ტრაგედიამდე ორი საათით ადრე სასტუმროდან იმიტომ გაიყვანა კალაძემ თავისი ოჯახი, წინასწარ იცოდაო, ალბათ...**

გული მერევა ასეთ ნაძირალებზე!

ფეისბუქი



# ნაცთახსირო ოქრიაშვილო, ეს მაინც რამ გაკადრებინა?!

დასაწყისი მე-3 გვერდზე

**იკადრა ნაცსექტის ცნობილმა წარმომადგენელმა, ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პეს“ მეპატრონემ და ქართული საავთიაქო მაფიის ერთ-ერთმა ბოსმა კახა ოქრიაშვილმა,** რომელიც არცთუ შორეულ წარსულში **„ქართული ოცნების“ მაჟორიტარ დეპუტატად** იჯდა საქართველოს პარლამენტში.

კერძოდ, გასულ კვირას, როცა შოვში მეწყრის ჩამოწოლის გამო დიდი უბედურება დატრიალდა და ადამიანები დაიღუპნენ, **კახა ოქრიაშვილმა** სოციალურ ქსელში დაწერა — **თბილისის მერმა კახა კალაძემ სტიქიური კატასტროფის ზონიდან სახელმწიფოს კუთვნილი ვერტმფრენით მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრები გამოიყვანა, სხვები კი განსაცდელში მიატოვაო!**

თქვენ წარმოიდგინეთ, ოქრიაშვილმა კალაძისათვის ასეთი ანტიადამიანური საქციელის დაბრალებაც კი არ იკმარა და, არც მეტი, არც ნაკლები, **მისი ციხეში ჩასმა მოითხოვა!**

აი, შესაბამისი ამონარიდი მისი ფეისბუქ-პოსტიდან, რომელიც რაჭაში სტიქიური უბედურების დატრიალებიდან მეორე დღეს, 4 აგვისტოს, გამოაქვეყნა:

***„რატომ უშველა კალაძემ მხოლოდ საკუთარ ოჯახს და ყველა დანარჩენი მოქალაქე ფეხებზე დაიკიდა?! მერამდენედ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქოც-ბანდას სახელმწიფოც და ქართველი ხალხიც ფეხზე ჰკიდია?! პროკურატურაში დაუყოვნებლივ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ამ ფაქტზე და თუ დადგინდა, რომ კალაძემ პირადი მიზნებისთვის გამოიყენა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ძვირადღირებული ტექნიკა, მას პატიმრობა უნდა შეეფარდოს!“***

ცხადია, **კახა კალაძეს** კახა ოქრიაშვილის უმძიმესი ცილისწამება უპასუხოდ არ დაუტოვებია და **ნაცსექტანტ „ფულის მეშოკს“ ყველაფრის მკადრებელი ნაძირალა** უწოდა, ხოლო ქართველ საზოგადოებას განუმარტა:

***„ჩემი სამი მცირეწლოვანი შვილი ისვენებდა შოვში ორი კვირის განმავლობაში. გუშინ არდადეგები დამთავრდა და ვიდრე სტიქია დაიწყებოდა, რამდენიმე საათით ადრე ჩემმა შვილებმა ჩემი ავტომობილებით დატოვეს აღნიშნული ტერიტორია — სასტუმრო“.***

მართლაც **ყველაფრის მკადრებელი ნაძირალა** უნდა იყო, რომ სხვისი შვილების გაწირვაში დაადანაშაულო ოთხი შვილის მამა **კახა კალაძე,** რომელსაც თავისი ქველმოქმედებით არაერთი ბავშვის სიცოცხლე აქვს გადარჩენილი, თანაც, ყოველგვარი აფიშირებისა და პიარის გარეშე!

**მართლაც ყველაფრის მკადრებელი ნაძირალა უნდა იყო,** რომ სახელმწიფო რესურსების პირადი მიზნებისათვის გამოყენება დააბრალო **კახა კალაძეს,** რომელიც სახელმწიფოსაგან თანამდებობრივ სარგოსაც კი არ იღებს და, **ენერგეტიკის მინისტრობიდან მოყოლებული დღემდე, საკუთარ ხელფასს სხვადასხვა სოციალურ ფონდში რიცხავს გაჭირვებული ადამიანების, მათ შორის, ბავშვების დასახმარებლად!**

და კიდევ: **ყველაფრის მკადრებელი ნაძირალაა არამხოლოდ კახა ოქრიაშვილი,** რომელმაც კახა კალაძეს ასეთი სიბინძურე დააბრალა, **არამედ ისიც, ვინც ეს სიბინძურე დაიჯერა და ოქრიაშვილს ბანი მისცა!**

ასეთები, რა თქმა უნდა, მრავლად არიან ნაცსექტაში და მრავლად ტრიალებენ ნაცსექტის სიახლოვეს!

ზოგიერთი **ყველაფრის მკადრებელი ნაძირალა** სოციალურ ქსელში წერს კიდევაც — **თუ კალაძე ვიდეომტკიცებულებებს არ გამოაქვეყნებს, რომ შოვის სასტუმროდან თავისი შვილები სტიქიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე წამოიყვანა პირადი ავტომობილით, არ დავიჯერებთ, რომ სახელმწიფო ვერტმფრენი მხოლოდ თავისი შვილების გადასარჩენად არ გამოუყენებია და სხვისი შვილები სტიქიის ზონაში სასიკვდილოდ არ გაუწირავსო!**

ისიგრძეგანებთ ამათი უტიფრობის, უნამუსობისა და ცინიზმის მასშტაბს?

ახერხებთ გააზრებას, ესენი რა დონის პროვოკატორები არიან?

თურმე, **კახა კალაძემ კოლექტიურ ოქრიაშვილებს, კოლექტიურ ხაბეიშვილებს, კოლექტიურ ელისტრაკოებსა და კოლექტიურ ჭუტელებს** იმის მტკიცებულება უნდა წარუდგინოს, რომ მკერდში გულის მაგივრად ქვა არ უდევს, ძარღვებში სისხლის მაგივრად ქაქი არ უჩქეფს და ბავშვიყლაპია მანიაკი არ არის!

თურმე, **კახა კალაძე ვალდებულია,** თავისი კაცობა, ადამიანობა, ქართველობა და ქრისტიანობა ვიდეოკადრებით დაუდასტუროს ამ ყველაფრის მკადრებელ ნაძირალებს!

ჰო, ამ ყველაფრის მკადრებელ ნაძირალებს!

აბა, **კახა კალაძეს** საზოგადოების, ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის წინაშე არანაირად არ სჭირდება თავისი კაცობის, ადამიანობის, ქართველობისა და ქრისტიანობის მტკიცება, რადგან ეს კარგა ხნის წინათ აქვს დამტკიცებული საკუთარი საქმეებითა და ცხოვრების წესით!

სხვა თუ არაფერი, **კახა კალაძის ჯერ მარტო სპორტული და მერე პოლიტიკური მოღვაწეობაა იმის მტკიცებულება, რომ ნაცთახსირი ოქრიაშვილის მიერ მის მიმართ გადმონთხეულ სიბინძურეში სიმართლის იოტისოდენა მარცვალიც კი არ ურევია!**

სხვა თუ არაფერი, **კახა კალაძის ჯერ მარტო სპორტული და მერე პოლიტიკური მოღვაწეობაა იმის აბსოლუტური გარანტია,** რომ ნაცთახსირი ოქრიაშვილის მიერ მის მიმართ გადმონთხეულ სიბინძურეს არცერთი პატიოსანი და საღად მოაზროვნე ადამიანი არ დაიჯერებს!



**კახა კალაძის ჯერ მარტო სპორტული და მერე პოლიტიკური მოღვაწეობაა იმის მტკიცებულება, რომ ნაცთახსირი ოქრიაშვილის მიერ მის მიმართ გადმონთხეულ სიბინძურეში სიმართლის იოტისოდენა მარცვალიც კი არ ურევია!**

კახა კალაძე და ირაკლი კობახიძე შოვში, სტიქიის ზონაში. 2023 წლის 6 აგვისტო

**ყოვლისმწამლავი ჭუჭყი და სიბინძურე, რასაც კახა ოქრიაშვილი განასახიერებს, ქართულ პოლიტიკას დღემდე რომ ვერ მოშორდა, ამაში ბრალი „ქართულ ოცნებასაც“ მიუძღვის!**




კახა ოქრიაშვილის წინასაარჩევნო ბანერი 2016 წელს, როცა „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დააყენა

**თანამედროვე საქართველოს ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ქართული პოლიტიკა კვლავ რჩება კახა ოქრიაშვილის მსგავს ყველაფრის მკადრებელთა უკანასკნელ თავშესაფრად!**

ყოვლისმწამლავი ჭუჭყი და სიბინძურე, რასაც **კახა ოქრიაშვილი** განასახიერებს, ქართულ პოლიტიკას დღემდე რომ ვერ მოშორდა, ამაში ბრალი „ქართულ ოცნებასაც“ მიუძღვის, რომელმაც **კახა ოქრიაშვილისნაირი ყველაფრის მკადრებელი სულიერი** 2016 წელს ნაცხროვიდან გადაიპორტირა, **დმანისის მაჟორიტარი დეპუტატი** გახადა და ოთხი წელი პარლამენტში ეჯდა!

პერსონალურად ვერც კახა კალაძეს და ვერც მმართველი პარტიის სხვა რომელიმე ლიდერს **ოქრიაშვილისნაირი ნაცთახსირის ნასროლი ტალახი** არ მიეკარება, მაგრამ **კოლექტიურად „ქართული ოცნება“ ვერასოდეს და ვერანაირად ჩამოირეცხავს იმ შავ ლაქას, რომელიც საკუთარ თავს მაშინ მოსცხო, როცა ყველაფრის მკადრებელი ოქრიაშვილი თავის რიგებში მიიღო!**

ამის შედეგს „ქართული ოცნება“ უკვე იმკის და მომავალში კიდევ უფრო მწარედ მოიმკის!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

საზოგადოებას მოვუწოდებთ, კვლავაც ყურადღებით დააკვირდეს **ომისა და ღალატის პარტიის — კოლექტიური ნაცმოძრაობის** თითოეულ ქმედებას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, **2024 წლის ოქტომბერში საზოგადოებამ კოლექტიურ ნაცმოძრაობას გამოუტანოს გადამწყვეტი პოლიტიკური განაჩენი,** რაც ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების და საქართველოს წინსვლისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

„ინტერპრესნიუსი“



**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*

ქართულ პოლიტიკაში **ქაჯების დრო** სრულდება!

„ახალი თაობა“



**ირაკლი მელაშვილი**
*ექსპერტი თვითმმართველობის საკითხებში*

ვაი ამის პატრონს უბედურს! **ლევან ხაბეიშვილს ნეტა ესმოდეს მაინც, რაც მოხდა, ან იმის მორალი ჰქონდეს, რომ ახლა, ამ დროს, ასეთ უბედურებაზე პოლიტიკური ქულების დაწერა არ სცადოს,** ან თუ არც პირველი აქვს და არც მეორე, **იმის ნიჭი და ცოდნა მაინც გააჩნდეს,** ქულების დაწერა ისე ეცადოს, რომ მსგავსი სიბრიყვე არ ილაპარაკოს და ნებისმიერ ნორმალურ ადამიანში გულისრევის შეგრძნება არ გამოიწვიოს!

„აიპრესი“

# «ასეთი მასშტაბისა და ტიპის სტიქია დასავლეთ საქართველოში მართლაც არ მომხდარა!»

***2023 წლის 3 აგვისტოს რაჭაში, შოვში, მომხდარი საშინელი სტიქიის გარშემო, რასაც ადამიანები ემსხვერპლნენ, ბინძური ინსინუაციები არ წყდება. ორღობის პოლიტიკანები, პოლიტიკური მეძავები თუ ნაცსექტასთან უკანალით მიერთებული რიგითი ამრევები „ირწმუნებიან“, რომ ხელისუფლებამ მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ იცოდა და დამსვენებლები, ადგილობრივები თუ ტურისტები განგებ არ გააფრთხილა.*** *ზოგიერთმა, მაგალითად, საღორიის ტყიდან გამოქცეულმა ღორმა და თემურ ალასანიას კალთაში ნაბუქნავებმა* ***ელისტრაკო კილაძემ*** *თავისი ბანჯგვლიანი ხელი ბავშვებისკენაც კი გაიშვირა და სოფლის ჩეჩმაში აფუებული ფეკალიების ხმაზე აბუყბუყდა — ტრაგედიამდე ოთხი საათით ადრე* ***კალაძემ*** *თავისი შვილები შოვიდან ვერტმფრენით გამოაყვანინაო!* ***ზოგიერთები სოციალურ ქსელებში მოჭრილი ხეების ამსახველ ვიდეოკადრებს ავრცელებენ და ირწმუნებიან — ტრაგედია, სწორედ ამ ხეების უკანონოდ ჭრამ გამოიწვიაო! გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მერაბ გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ შოვში ტრაგედია მყისიერად მოხდა და მისი პროგნოზირება ყოვლად შეუძლებელი იყო:***



**„ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით: მსგავსი ტიპის ტრაგედიებისა და ბუნებრივი ცდომილებების წინასწარ განსაზღვრა და პროგნოზირება შეუძლებელია და არსად ხდება!“**



## მერაბ გაფრინდაშვილი: შოვის ტრაგედია თავიდან ბოლომდე ბუნებრივი ფაქტორების შედეგია!

— ამ ეტაპზე, იმ მიდამოებში, საიდანაც საშინელმა ღვარცოფმა სათავე დაიდო, სიტუაცია სტაბილურია. ის უზარმაზარი ენერგეტიკული პოტენციალი, რომელმაც ეს უბედურება განაპირობა, უკვე ჩამქრალია. აი, ახლაც, ამ წუთას, თქვენ რომ გელაპარაკებით, კიდევ ერთხელ ვაპირებთ ვერტმფრენით გასვლას და ტერიტორიების დათვალიერებას...

**— ბატონო მერაბ, კონკრეტულად სად განვითარდა სტიქია?**

— სტიქია განვითარდა **მდინარე ბუბის ხეობაში**. მდინარე ბუბა გახლავთ **მდინარე ჭანჭახის** მარჯვენა შენაკადი.

**— რომელი მყინვარი კვებავს მდინარე ბუბას?**

— მდინარე ბუბას კვებავს **მყინვარი ბუბა და მყინვარი თბილისა.** თავიდან ეს ერთი მყინვარი იყო, მაგრამ შემდეგ ორ ნაწილად გაიყო... ჩვენ შემოვიფრინეთ ყველა ხეობა, მათ შორის, რიონის მარცხენა შენაკადის, **მდინარე ჯეჯორას** ხეობაც, რომელიც ისტორიული **მაღრან-დვალეთის ტერიტორიიდან** იღებს სათავეს. ჯეჯორას ხეობა ტრაგედიის გამომწვევი ადგილიდან მოშორებულია, მაგრამ მაინც შევამოწმეთ, რათა დავრწმუნებულიყავით და გული დაგვემშვიდებინა, რომ მსგავსი უბედურების განმეორების საფრთხე, პრაქტიკულად, არ არსებობს!

**— მაინც რამ გამოიწვია ეს საშინელი ტრაგედია?**

— ღვარცოფი, რომელმაც ადამიანები იმსხვერპლა და დიდი ტრაგედია დაგვატეხა თავს, როგორც გეოლოგიური, ისე ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების თანხვედრის შედეგია. ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ლოკაციაში მოხდა ამ პროცესების თანხვედრა, რაც უიშვიათესი შემთხვევაა... კერძოდ, **მყინვარის აქტიურმა დნობამ და მყინვარ ბუბაზე გარკვეული მასის მოწყვეტამ, რასაც თან დაერთო უხვი ატმოსფერული ნალექი, დინამიკაში მოიყვანა მდინარე ბუბის ხეობაში ტრანზიტის ზონის ხევები, ასევე ბუბის კალაპოტში არსებული მყარი ნატანი...** დაიწყო ნაპირების აქტიური გარეცხვა და ე.წ. სანაპირო ტიპის მეწყრების ფორმირება, რომელიც მყისიერად ჩამოვიდა მდინარე ბუბის ხეობაში და ეს უზარმაზარი და დამანგრეველი მასა ერთიანად მოასკდა ე.წ. ტურბაზის ტერიტორიას.

**— სოციალურ ქსელებში აჩვენებენ ვიდეოკადრებს, სადაც ჩანს უამრავი მოჭრილი ხე... ვიდეოს ავტორები გვარწმუნებენ, რომ შოვის სტიქია სწორედ ტყის უკანონოდ ჭრამ გამოიწვია!**

— ეს არის საშინელი სიცრუე და ბოროტი ტყუილი! როგორც სპეციალისტი, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ **სტიქიის სათავეში, სადაც ამ საშინელი ღვარცოფის ფორმირება დაიწყო, არავითარი ხე და ტყე არ არის, რადგან იქ ალპური ზონაა და ალპურ ზონაში ხეს რა უნდა?** ვერტმფრენით შემოვიარეთ უფრო ქვედა ტერიტორიები და გამიხარდა, რომ ტყე აბსოლუტურად ხელუხლებელია. იქ ადამიანი ვერც ავა ხის მოსაჭრელად. ასე რომ, ტყუილის თქმას და ხალხის შეცდომაში შეყვანას ყველამ თავი დაანებოს! **ხელოვნური ჩარევის შედეგად აქ არაფერი მომხდარა, შოვის ტრაგედია თავიდან ბოლომდე ბუნებრივი ფაქტორების შედეგია!**

**— თქვენ ბრძანეთ, რომ მსგავსი ტიპის სტიქია დასავლეთ საქართველოში არასოდეს მომხდარა!**

— დიახ, ასეთი მასშტაბისა და ტიპის სტიქია დასავლეთ საქართველოში მართლაც არ მომხდარა! დაახლოებით ანალოგიური იყო **1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრა რაჭაში,** როცა **სოფელი ხახიეთი** 42 ადამიანით მეწყერმა ჩაიტანა. შოვის ტრაგედიის შემთხვევაში, მიწისა და წყლის მასის კლასიკურ დაგუბებას ადგილი არ ჰქონია, როცა დაგუბება ერთი დღე, ორი დღე, ანდა რამდენიმე საათით გრძელდება. აქ მოხდა ციკლური, დაახლოებით ნახევარსაათიანი დაგუბებები. სულ სამი ასეთი ციკლი დავაფიქსირეთ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ეს არ ყოფილა დიდი ხნის დაგუბებები. ასეთი რამ გამორიცხულია!

**— საუბრობენ იმის შესახებ, რომ არ არსებობს და დღემდე ვერაფრით ამოქმედდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუქმებული გარემოს დაცვის მონიტორინგის სისტემა, რომელიც შოვში დატრიალებული ტრაგედიის მსგავს უბედურებას თავიდან აგვაშორებს და პრევენციას მოახდენს!**

— სააკაშვილის დროს განულებული და, ფაქტობრივად, გაუქმებული გარემოს ეროვნული სააგენტო დღეს უკვე აღდგენილი და სრულფასოვნად ქმედუნარიანია! უფრო მეტიც, გეტყვით, რომ მონიტორინგული სადგურების ინსტალირებას მთელი ქვეყნის მასშტაბით ვახორციელებთ...

**ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით: მსგავსი ტიპის ტრაგედიებისა და ბუნებრივი ცდომილებების წინასწარ განსაზღვრა და პროგნოზირება შეუძლებელია და არსად ხდება!**

ამას ვერც მონიტორინგული სადგური განსაზღვრავს, რადგან მყისიერად, წამიერად ხდება ყველაფერი და სტიქია იმ სადგურსაც ჩაიტანს ქვა-ტალახოვან მასაში. თუმცა, არის სხვა ტიპის გეოლოგიური პროცესები, რომელზეც დაკვირვება და მონიტორინგი შესაძლებელია და ჩვენი სამსახური ამას აკეთებს კიდეც. აი, მაგალითად, **დღემდე არასოდეს გაკეთებულა, მაგრამ ამ წლის ბოლოს ჩვენ უკვე გავამზადებთ საქართველოში ბუნებრივი საფრთხეების ზონირების რუკას, სადაც შვიდი ბუნებრივი სტიქიის ზონირება მოხდება.** ამ რუკაზე, საფრთხის ხარისხიდან გამომდინარე, სტიქიები რანგირებულია და ყველა მოქალაქეს შეეძლება, გაიგოს თავისი საკარმიდამო ნაკვეთი რა ხიფათის წინაშე დგას!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ნინო ჩხობაძე**
*„მწვანეთა მოძრაობის“ თავმჯდომარე*



მთიანი ქვეყანა ვართ და **ყველა მთის მუნიციპალიტეტში ერთი ვერტმფრენი უნდა იყოს** — გლობალური კლიმატური პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე, დიდი ხანია, ვიძახდით, რომ **ღვარცოფული მოვლენები გაძლიერდება.**

„რადიო პალიტრა“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



თუ გინდა ჯოჯოხეთი წარმოიდგინო, **როგორ ხარობენ ალქაჯები ადამიანების უბედურების ჟამს — „ტვ პირველს“, „მთავარს“ და „ფორმულას“ უნდა უყურო. პოლიტემშაკების ღრეობა** დაღუპულთა სისხლით და ჭირისუფალთა ცრემლით. **გვაპატიე, უფალო!**

„ტვიტერი“

**თეა გოდოლაძე**
*დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებათა ინსტიტუტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორი*



საქართველო მსოფლიოში **ერთ-ერთი ყველაზე ცუდი გეოლოგიის მატარებელი ქვეყანაა,** სახეზეა ყველა კატასტროფული მოვლენა, რაც შეიძლება მოხდეს — **ყველა მუნიციპალიტეტს გეოლოგიური სამსახური უნდა ჰქონდეს.**

„ინტერპრესნიუსი“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე*



**გიორგი ვაშაძე** აქტიური მომხრე იყო იმ **დერეგულაციისა,** რომელიც ნაცმოძრაობის მმართველობის დროს განხორციელდა — **გაუქმდა მონიტორინგის სისტემა.** ბოლო წლებში დაიწყო გეოლოგიური დაკვირვების მონიტორინგის ქსელების აღდგენა.

„იმედინიუსი“

# გოზეხაშვილის

*იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ნაცი — მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტად მუშაობდა და მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ სამეგრელოში, კოლხეთის ეროვნული პარკის ანაკლია-ჭურიის მონაკვეთზე ააშენებდა უზარმაზარ ქალაქს, სახელად ლაზიკას, სადაც იცხოვრებდა 500 000 ადამიანი, შეიქმნებოდა ათიათასობით სამუშაო ადგილი და ყველა იქნებოდა მდიდარი და ბედნიერი.*




**ნაციონალური მოძრაობის ყოფილი და მოქმედი თავმჯდომარეები – მიხეილ სააკაშვილი და ლევან ხაბეიშვილი**

გამოხდა ხანი. **მკვეხარა პრეზიდენტმა მიხეილმა არათუ ახალი ქალაქი — ნახევარი მილიონი ადამიანით დასახლებული ლაზიკა ვერ ააშენა, არამედ, რაც უკვე აშენებული და დასახლებული იყო, ისიც დაკარგა, როცა კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი თავისი 150 სოფლით რუსეთს ჩააბარა, მერე კი გამოვიდა და თქვა — დიდი არაფერი, მხოლოდ ქვების გროვა დავკარგეთო!**

თუმცა, როგორც ჩანს, ძველი ნაცური ზღაპარი სამეგრელოში ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენების შესახებ ისევ ცოცხალია და ამჯერად მას დიადი ნაცპარტიის ახალი თავმჯდომარე **ლევან ხაბეიშვილი** ყვება. სიუჟეტი იგივეა, თხრობის მანერა და პათოსიც იგივეა და აუდიტორიაც უცვლელია, მხოლოდ მთხრობელია სხვა.

აი, რა თქვა **„ხაბემ“** ანაკლიაში ნაცმოძრაობის პარტაქტივთან და მხარდამჭერებთან შეხვედრაზე (სტილი დაცულია. რედ.):

> *„ლაზიკა იქნება საქართველოში მეორე ქალაქი, დედაქალაქის შემდეგ. ლაზიკა იქნება ქალაქი, სადაც 30 მილიარდი ეკონომიკა იქნება, ლაზიკა იქნება ქალაქი, სადაც ათი ათასობით სამუშაო ადგილები შეიქმნება და ლაზიკა იქნება ქალაქი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სამეგრელოში არცერთი ოჯახი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილის გარეშე არ დარჩეს, შეიქმნას დოვლათი და ჩვენმა ხალხმა იცხოვროს ღირსეულად“.*

**ჭირი — იქა, ლხინი — აქა, ქატო — იქა, ფქვილი — აქა!**

**ხაბეიშვილს,** როგორც დიადი ნაცპარტიის ახალ თავმჯდომარეს, ცხადია, ძველ ზღაპარში ახალი პასაჟების შეტანა მართებდა და ასეც მოიქცა — **ჩვენს მიერ აშენებულ ლაზიკას 30-მილიარდიანი ეკონომიკა ექნებაო!**

ოჰო, ამხელა ციფრებს თვით სააკაშვილიც კი არ არახუნებდა!

ხუმრობა საქმე ხომ არ არის — **მთლიანი საქართველოს ბიუჯეტი 21 მილიარდი ლარია, ხაბეიშვილისა და ნაცების მიერ აშენებულ ლაზიკას კი 30-მილიარდიანი ბიუჯეტი ექნება!**

მხოლოდ ერთი ქალაქი გადასწონის მთელი ქვეყნის ეკონომიკას!

**ჭირი — იქა, ლხინი — აქა, ქატო — იქა, ფქვილი — აქა!**

ვერაფერს იტყვი, ლამაზი ზღაპარია, მაგრამ დამაჯერებლობა აკლია. ადრე, როცა მას სააკაშვილი ყვებოდა, სექტის წევრებსა და მხარდამჭერებს მართლა სჯეროდათ, მაგრამ ახლა ხაბეიშვილის პირით მოყოლილი ძალიან უტოპიურად ჟღერს. **აბა, როგორ გინდა ირწმუნო, რომ „ხაბე“ ნახევარი მილიონი ადამიანით დასახლებულ 30-მილიარდიანი ეკონომიკის მქონე ლაზიკას ააშენებს, როცა მას საკუთარი პარტაქტივის ნახევარიც კი არ ენდობა და უპირისპირდება?** იმ დღესაც, ანაკლიაში პარტაქტივს რომ ესაუბრებოდა, ზუგდიდის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **მაია ქალანდია** მიუხტა და შეაჩვენა — **პარტიას ანგრევ და ნიკა მელიას მხარდამჭერებს დევნიო!**

თუ ხაბეიშვილი პარტიას ანგრევს, ლაზიკას როგორღა ააშენებს?

თუ ხაბეიშვილს ავტორიტეტი **მაია ქალანდიასებრთა** მისამხრობადაც კი არ ჰყოფნის, 30-მილიარდიანი ეკონომიკის მქონე ქალაქის დასაარსებლად როგორღა ეყოფა?

რაკიღა ლაზიკის ზღაპარი მთლიანად სააკაშვილს უკავშირდება, ჟანრის კანონი მოითხოვდა, რომ ანაკლიაში პარტაქტივთან შეხვედრაზე ხაბეიშვილს ნაცბელადი აუცილებლად ეხსენებინა. **განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ხაბემ“ სექტის წინაშე დადებული მთავარი პირობა ვერ შეასრულა — კლინიკა „ვივამედის“ შენობა შტურმით ვერ აიღო და ბელადი პუტინის ტყვეობიდან ვერ დაიხსნა, ნაცპარტიის ახალ თავმჯდომარეს მუდმივად სჭირდება საკუთარი პერსონის სააკაშვილთან აფილირება, რათა სექტას მოაჩვენოს, რომ ბელადის ერთგულია, ბელადი არ ავიწყდება, ბელადი მუდამ მის გულსა და ფიქრებშია... წინააღმდეგ შემთხვევაში, სექტა მას გარიყავს და ზურგს შეაქცევს.**

ჰოდა, ხაბეიშვილი ანაკლიაში პარტაქტივს მარტო ლაზიკის აშენებას კი არა, უფრო მეტსაც შეჰპირდა **(სტილი დაცულია. რედ.):**

> *„მთავარი დაპირება, რაც მინდა, რომ გითხრათ — ყველაფერს გავაკეთებ ჩემს მეგობრებთან, თანამებრძოლებთან ერთად, რომ მიხეილ სააკაშვილი იყოს მთავარი არქიტექტორი სოხუმში ყველაზე დიდი აეროპორტის და სოხუმი იქნება ყველაზე განვითარებადი ქალაქი ევროპაში“.*

აჰა, ყველაფერი გასაგებია: **ხაბეიშვილი „ვივამედის“ შენობას შტურმით აიღებს და სააკაშვილს პუტინის ტყვეობიდან გამოიხსნის; მერე სააკაშვილი და ხაბეიშვილი დაამხობენ ივანიშვილის პუტინისტურ რეჟიმს და მოვლენ საქართველოს ხელისუფლებაში; მერე ომს მოუგებენ რუსეთს და დაიბრუნებენ აფხაზეთს; მერე სააკაშვილი დააპროექტებს და ააშენებს სოხუმის აეროპორტს, რომელიც იქნება ყველაზე დიდი არამხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაში!**

ეს 30-მილიარდიანი ეკონომიკის მქონე ლაზიკის აშენებაზე არანაკლებ ლამაზი და შთამბეჭდავი ზღაპარია!

**ჭირი — იქა, ლხინი — აქა, ქატო — იქა, ფქვილი — აქა!**

ახლა გასარკვევი ისღა დარჩა, რა რის შემდეგ მოხდება — **ჯერ ხაბეიშვილი ააშენებს ლაზიკას და მერე სააკაშვილი ააშენებს სოხუმში ყველაზე დიდ აეროპორტს თუ ჯერ სააკაშვილი ააშენებს სოხუმში ყველაზე დიდ აეროპორტს და მერე ეგ და „ხაბე“ ერთად ააშენებენ ლაზიკას — ნახევარი მილიონი მოსახლითა და 30-მილიარდიანი ბიუჯეტით?**

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ჯერ ხაბეიშვილმა უნდა ააშენოს ნახევარმილიონიანი ლაზიკა 30-მილიარდიანი ეკ-




**ლევან ხაბეიშვილი ანაკლიაში ნაცაქტივთან შეხვედრაზე**

## გოზეხაშვილის გადანგრეულები, რომლებმაც საქართველო დაანგრიეს, ვერც ლაზიკას ააშენებენ და ვერც – სოხუმის აეროპორტს!

### კვირგვინოსნები

**ბაჩო დოლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**კეზერაშვილი** დაწინაურდა პარტიულ ნომენკლატურაში, **ზურაბ ჭიაბერაშვილი** მასთან მოიაზრება — ვერ ვხედავ ადგილს იქ, სადაც **არაფორმალური მმართველობის ელემენტებია,** მაგრამ მცირედი რესურსი არის, იქნებ ამოვატრიალოთ მდგომარეობა.

„ინტერპრესნიუსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



სანამ არ გაიაზრებ, **რატომ წააგე 2012 წელს და რა უნდა შეცვალო,** ვერ მოიგებ — **ზურაბ ჭიაბერაშვილიც** ერთ წრეზე ტრიალია, სკამების გარშემო რომ დარბიან და სადაც მუსიკა გაითიშება, იქ სხდებიან, ეგ ხდება, ოღონდ — პოლიტიკაში.

„ინტერპრესნიუსი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



ნაციონალების გამოსწორება არ იქნება არასდროს, **მანიაკი ხალხია და ამ მანიაკების ხელისუფლებაში დაბრუნება არაფრით არ შეიძლება.**

„რეზონანსი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



სახელმწიფო ინტერესებშია, რომ ნაცმოძრაობა, მთელი თავისი **ფორმალური თუ არაფორმალური შემადგენლობით,** არასოდეს იყოს აქტუალური ქართულ პოლიტიკურ რეალობაში.

„რეზონანსი“

# გადანგრეულები

ონომიკით, მერე ლაზიკის დასაქმებული, მაძღარი და მდიდარი მოსახლეობა წამოასხას თბილისში, შტურმით აიღებინოს შენობა, სადაც იმ დროისათვის სააკაშვილი იქნება მოთავსებული და გაათავისუფლოს ბელადი პუტინის ტყვეობიდან!

მხოლოდ ამის შემდეგ ექნება სააკაშვილს საშუალება, დაჯდეს და დააპროექტოს **სოხუმის ახალი აეროპორტი,** სადაც მას ვერავინ დააგორებს თვითმფრინავის ტრაპიდან და ვერავინ ეტყვის — **შე ჩემის გადანგრეულოო,** როგორც ეს 27 წლის წინათ თბილისის აეროპორტში აკადრეს!

1996 წელს სააკაშვილის მიერ პოლიციაში შეტანილი განცხადება, საიდანაც ვიგებთ, რომ მას თბილისის აეროპორტში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და **„შე ჩემის გადანგრეულო“** უწოდეს, ქართულ პრესაში პირველად გაზეთ **„ლიტერატურული საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა თამაზ წივწივაძემ** გამოაქვეყნა, როგორც სააკაშვილის გაუნათლებლობისა და წერა-კითხვის მცირედცოდნის ილუსტრაცია.

აი, ეს განცხადებაც სააკაშვილისეული პუნქტუაციისა და სტილის სრული დაცვით:





**მიხეილ სააკაშვილის საჩივარი თბილისის პოლიციის აეროპორტის განყოფილებაში. 1996 წელი**

***„ქალაქ თბილისის პოლიციის აეროპორტის განყოფილებას განყ. უფროსს პოლკოვნიკ თუთბერიძეს***

*მოქალაქე **მიხეილ სააკაშვილის** მცხოვრები გ. ახვლედიანის 21 ტელ 931084*

***განცხადება***

*მოგახსენებთ, რომ 1996 წლის 5 ოქტომბერს ჩამოვედი „ეარ ჯორჯიის“ რეისით ფრანკფურტიდან ღამის 11 საათზე. ჩამოვედი თვითმფრინავის ტრაპიდან. ტრაპის პირველ საფეხურზე ჩამოსვლისას გამახსენდა, რომ თვითმფრინავის სალონში დამრჩა საფულე. როცა მივბრუნდი უკნიდან ვიღაცა ხელით მწვდა და მკითხა „სად მიდიხარ“, მე ავუხსენი თუ სად მივდიოდი რაზეც მომიგო „ახლავე უკან ჩამოეთრიეო“. რაზეც მივუგე, რომ მას უფლება არ ჰქონდა ასეთი ტონით ელაპარაკა, თანაც დავძინე, რომ ვიყავი პარლამენტის წევრი. ამ პირმა, რომელსაც არც ფორმა ეცვა და არც რაიმე სხვა ნიშანი ხელი ჩამავლო პერანგში და ორჯერ მიბიძგა. მე ხელიდან დავუძვერი და ზემოთ ავედი. უკან ჩამოსვლისას ისევ ჩამავლო ხელი მხარში და მითხრა, რომ „ფეხებზე ჰკიდია პარლამენტი“, „შემიძლია სადაც მინდა იქ ვუჩივლოო“, მომმართავდა სხვადასხვა უხეში გამოთქმებით **(„შე ჩემის გადანგრეულო“ და ა.შ.).** იძულებული ვარ სიზუსტისთვის ყველა გამოთქმა ზუსტად დავაფიქსირო. მე მოვთხოვე თავი წარედგინა და მითხრა, რომ მისი სახელია **გობეჯიშვილი** და ფეხებზე ჰკიდია პარლამენტი და თვითონ ხომ არ მივარდება პარლამენტში და ა.შ. მუდმივად ხელს მკრავდა. ჩემი მოადგილეს **თენგიზ შარმანაშვილის** და მისი მეგობრებს მცდელობა ხელი გაეშვებინათ უშედეგოდ დამთავრდა. იქვე იდგა ფორმიანი პიროვნება, რომელმაც მოგვიანებით თავი წარგვიდგინა როგორც საავიაციო უშიშროების უფროსმა. გაამართლა **გობეჯაშვილის** მოქმედება და განგვიცხადა, რომ იგი მთლიანად სწორი იყო. მთავრობის დარბაზში გამოსვლისას გამოვიძახე პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც დაუყოვნებლივ მოვიდნენ.*

*მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ფიზიკური ზემოქმედება არ ატარებდა მძიმე ხასიათს და არანაირი დაზიანება არ მიმიღია, თვითონ მოქმედება იყო შეურაცმყოფელი და მოვითხოვ მიღებული იქნას სათანადო ზომები საჯარო შეურაცხყოფისთვის“.*



თენგიზ შარმანაშვილი

სხვათაშორის, **თენგიზ შარმანაშვილი,** რომელსაც სააკაშვილი 1996 წელს დაწერილ განცხადებაში ახსენებს, დღესაც საქართველოს პარლამენტის წევრია და, წესით, უნდა **ახსოვდეს, როგორ დაუძახეს სააკაშვილს 27 წლის წინათ თბილისის აეროპორტში „შე ჩემის გადანგრეულო!“**

ჩვენთვის უცნობია, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ რა ბედი ეწია თბილისის აეროპორტის თანამშრომელ **გობეჯაშვილს,** რომელმაც მას ქეჩოში წაავლო ხელი, ტრაპიდან ჩამოათრია და **„შე ჩემის გადანგრეულო“** უწოდა... **თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის ტრავმებითა და კომპლექსებით გაძეძგილმა სააკაშვილმა საკუთარი საპრეზიდენტო ძალაუფლება არაერთგზის გამოიყენა პრიმიტიული შურისძიებისათვის, უნდა ვივარაუდოთ, რომ გობეჯაშვილს კარგი დღე არ დაადგებოდა.** მაგალითად, თბილისში მოარული ხმების თანახმად, სააკაშვილს ბავშვობაში თანატოლები ფეხბურთს არ ათამაშებდნენ, მას აიძულებდნენ, სტადიონთან მდგარ ხეზე ასულიყო და მატჩის „რეპორტაჟი“ წაეყვანა. **ათწლეულების შემდეგ, როცა სააკაშვილი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა, თავის ძველ უბანში სტადიონთან მდგარი ის ხე ძირში მოაჭრევინა, რათა ბავშვობიდანვე გულში ჩარჩენილი ბოღმისაგან გათავისუფლებულიყო.**

ასეთი კაცია ნაცების ბელადი, რომელიც, ხაბეიშვილის თქმით, სოხუმის ყველაზე დიდი აეროპორტის არქიტექტორი უნდა გახდეს!

**ჯერ ხაბეიშვილი ააშენებს ლაზიკას 30-მილიარდიანი ეკონომიკით და მერე სააკაშვილი ააშენებს სოხუმში ყველაზე დიდ აეროპორტს!**

**ჭირი — იქა, ლხინი — აქა, ქატო — იქა, ფქვილი — აქა!**

მთავარია, სააკაშვილს თავის მიერ აშენებულ სოხუმის გრანდიოზულ აეროპორტში **რომელიმე გობეჯაშვილმა „შე ჩემის გადანგრეულო“** არ დაუძახოს! რაც შეეხება ხაბეიშვილს, მას თავისივე პარტაქტივის ნახევარი უკვე ისედაც ეძახის **„შე ჩემის გადანგრეულოს!“**

ეს გობეჯაშვილის გადანგრეულები, რომლებმაც საქართველო დაანგრიეს, ცხადია, ვერც ლაზიკას ააშენებენ და ვერც — სოხუმის აეროპორტს!

**„ხაბე“ — იქა, ლხინი — აქა, მიშა — იქა, ფქვილი — აქა!**

**ჯაბა ხუბუა**

**თენგიზ შარმანაშვილი, რომელსაც სააკაშვილი 1996 წელს დაწერილ განცხადებაში ახსენებს, დღესაც საქართველოს პარლამენტის წევრია და, წესით, უნდა ახსოვდეს, როგორ დაუძახეს სააკაშვილს 27 წლის წინათ თბილისის აეროპორტში „შე ჩემის გადანგრეულო!“**

## კვირგვინოსნები

**თორნიკე რიჟვაძე**
*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე*



თუ აქამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ **2024 წლის არჩევნებში ზედმეტი გამოწვევების გარეშე გავიმარჯვებდით,** ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ **შემდეგი 10 წლის განმავლობაში მმართველ პარტიას მოუწევს ქვეყნის მართვა.**

„რეზონანსი“

**ნიკოლოზ სამხარაძე**
*პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



ოპოზიციაში **დოკუმენტების კითხვა რომ არ იციან,** ეს ახალი არ არის, თუ გადახედავენ პარლამენტის **2020 წლის რეზოლუციას,** ნახავენ, რომ იქ პირდაპირი დავალებაა მთავრობისადმი, რომ **ჩინეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.**

„რეზონანსი“

**გიორგი ხუციშვილი**
*ექსპერტი*



ოპოზიცია, რომელიც დღის წესრიგს **ისტერიაზე და ჭულების დაწერაზე** აგებს, ვერასდროს გახდება ხელისუფლების ალტერნატივა, **ამიტომაც აგებს ყველა დონის არჩევნებს** და კიდევ დიდხანს მოუწევს ამის შეგუება.

„იმედინიუსი“

**გიორგი ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



ვერ გავწირავთ საზოგადოებას და ხალხს იმისთვის, რომ **ისევ ხეებთან დააყენონ ადამიანები, ისევ ციხეებში გააუპატიურონ, ისევ მორგებში მიაჯაჭვონ გარდაცვლილ პატიმრებთან.**

„პირველი არხი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ნაცმოძრაობისთვის **პოლიტიკური ვერდიქტი** იქნება, რაც **ამ პარტიას დაასრულებს** და ამ გადაწყვეტილებას ქართველი ამომრჩეველი მიიღებს.

„პირველი არხი“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# პირდაღებულები





ამხანაგი ჭიჭიკო ვაშა-ურაძე „გამარჯვების პლატფორმის“ სახელით გვპირდება, რომ „ქართული ოცნება“, ანუ ბნელი რუსული ძალა 2024-ში არჩევნებს ვეღარ გააყალბებს!

☺

**ამტიტოლაზე პირის გაღებით რომ „ქართული ოცნების“ დამარცხება შეიძლებოდეს, აგე, გივია თარგამაძემ შენზე დიდად თითქმის ხუთ თითზე გაალო პირი!**

მიდი, ბიჭო, კურკუმალი ნახე, კოჭი გააგორეთ და ერთმანეთი დააბოლეთ. **ემანდ, სამუდამოდ, პირდაღებულები არ დარჩეთ!**

# სადაც მართალნი განისვენებენ!



ამბობენ, ეკა ბესელია **„ქართული ოცნებიდან“ წამოსულ-გამოყრილთა პარტიას** ქმნის, 2024-ის არჩევნებში უნდა იმონაწილევოსო!

☺

და მაინც, ვინ იქნებიან **დაშლილების პარტიაში?**

გული მიგრძნობს, ეკა ბესელიას გვერდს „დაუმშვენებს“ გედეონა ფოფხაძე!

შემდეგ მოდიან: ზვიად ძიძიგური, თამარ ჩუგოშვილი, გია ხუხაშვილი, ზვიად კვაჭანტირაძე, ლევან ბობიჩაიშვილი, დავით ჭიჭინაძე, გიორგი გახარია, ნათია მეზვრიშვილი, შაქრო ქიბროწაშვილი, ქეთო ჩუტრუკიშვილი, ჟუჟუნა ჭაობაშვილი, ჯემალ შავყვერაშვილი, მიხა ჯორექლიშვილი... ყველა ჩამოვთვალო? რა აზრი აქვს?

☺

**როგორც ეკა ბესელია ამტკიცებს და გედეონაც თავს უქნევს,** მომავალ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით მოსვლას გეგმავენ და მთავრობასაც თავადვე დააკომპლექტებენ.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: სად იქნება გულბოზ სანიკიძე?

**ჯემალ შავყვერაშვილის თქმით,** ამხანაგ გულბოზთან კომუნიკაცია ამ ეტაპზე არ დამყარებულა და ვინაიდან თემურ ალასანიას კმაყოფაზე იმყოფება, შესაძლოა, ახალ „ამპულაში“ ვერც ვიხილოთ.

☺

რამდენიმე დეპუტატი ვიცი, ცალი ფეხი „ოცნების“ გარეთ რომ უდგათ და, თუ მომავალი წლის შემოდგომაზე საარჩევნო სიაში არ ჩაწერენ, ეგრევე გადახტუნდებიან ან ნაცებში, ან კიდე — ბესელია-გედეონის კომპანიაში, სადაც მართალნი განისვენებენ!

# ბაგრატიონის ტახტი




ეს გავარვარებული ადამიანი, ძაან რო იოფლება და გულზე სამასოიანი ლოცვა აწერია, **ელგუჯა ბაგრატიონი** ყოფილა, — აჭარის უმაღლეს საბჭოში „ნაცთა“ ფრაქციის თავმჯდომარე!

☺

მე ვიცი, რატომაც აპროტესტებს რუსი ტურისტების შემოცურვას. ვინც ისტორია იცის, უმალ გაიგებს მის გულისტკივილს, გაწითლების მიზეზსა და ხვაშიადს!

**ბაგრატოვანთა დინასტიის არსებობას წერტილი რუსებმა დაუსვეს?**

დაუსვეს!

**გეორგიევსკის ტრაქტატი რუსებმა უხეშად დაარღვიეს?**

დაარღვიეს!

**1801 წელს ცარისტულმა რუსეთმა ქართლ-კახეთის ოკუპაცია „მოახდინა“?**

„მოახდინა“!

**1810 წელს რუსეთმა იმერეთიც ზედ მიაყოლა?**

მიაყოლა!

**ბაგრატიონები რუსებმა რუსეთში გაასახლეს?**

გაასახლეს!

**ჰოდა... ყოველივე ამის შემდეგ თქვენ გინდათ, რომ ელგუჯა ბაგრატიონი, რომელიც, წესით, ახლა მეფის ტახტზე უნდა იჯდეს, არც აღშფოთდეს და არც გაწითლდეს?**

☺

რა ბიზნესი, რა ტურიზმი, რომელი სასტუმროები და სადაური ბარ-რესტორნები? რას მიედ-მოედებით? **კაცს სამეფო ტახტი წაართვეს, კვერთხი დაუმალეს, გვირგვინი გადაუდნეს, ნაწუწნ კანფეტს დაამსგავსეს და თქვენ კიდე იძახით, რათა წითლდებაო?** აბა, ერთი თქვენთვის წაერთმიათ ქვეყნის სადავეები, უარესს იზამდით, შავ ზღვასაც კი დააშრობდით, რომ ვერც ერთ რუსს აქეთ ვერ გემეეხედნა!

☺

**თუ ეს მართლა ბაგრატიონია,** გულზე ეგეთი უწმაწური რაღაცები რატომ აწერია? ჰო, მესმის, მაგრამ სად არის მისი არისტოკრატიზმი? **თუ ეს მართლა ბაგრატიონია,** ნაცი რანაირად არი? სამეფო ოჯახის წარმომადგენელი ნაცი ვერ უნდა იყოს... ჩემი დაკვირვებით, ნაცმოძრაობაში მხოლოდ მონები არიან!

☺

და მაინც, მე მესმის ელგუჯა ბაგრატიონისა... **ძნელია, როცა სამეფო ტახტს გაგიუქმებენ და ნაცში შეგაძვრენენ!**

# თმი უყურეთ!



ერთ-ერთი ქართული ტელევიზიის საინფორმაციოს ვუყურე, უკრაინის ამბები მაინტერესებდა... წამყვანმა მითხრა: **კიევზე მორიგი შეტევა განხორციელდა, უკრაინის დედაქალაქზე თავდასხმა ირანული დრონებით მოხდაო.**

მერე, მერე-მეთქი?

რაღა მერე, **საჰაერო თავდაცვის სისტემებმა 15-მდე უპილოტო საფრენი აპარატის ნეიტრალიზება შეძლეს, წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი და ნგრევა არ არისო.**

აი, ზუსტად ეგრე მითხრა — **მსხვერპლი და ნგრევა არ არისო** და თან კიევში გადაღებული კადრებიც მაჩვენა, სადაც იყო მსხვერპლიც, ნგრევაც, მტვრევაც, ცეცხლიც, მახვილიც და დოზანაც!

☺

ესე იგი, ეს შობელძაღლები, სხვას მეუბნებიან და სხვას მიჩვენებენ. არადა, თუ გინდათ, მეგონოს, რომ უკრაინა ყვავის, კადრები მაინც მოაშორეთ ან ალაზნის ველი გადაიღეთ, ან შირაქი, ვითომ გაგანია მოსავლის აღების პერიოდია, ვითომ რუსეთი უკვე დამარცხდა... **ან ის კადრები დაადეთ, ნაპოლეონმა რომ აიღო მოსკოვი, ეგ რომელიმე ფილმიდან ამოჭერით.**

ჰო... ნაპოლეონი საფრანგეთში „ტრუსიკით“ რომ დაბრუნდა, ეგ არ აჩვენოთ, თორემ გაიშიფრებით.

# ზედმეტი ადამიანი



ამას წინებზე დიმიტრი შაშკინი ტელევიზორში ტრაბახობდა — **როცა განათლების მინისტრი ვიყავი, 250 რუსული სკოლა დავხურეო... ამ დროს მე თვითონ მაქვს რუსული სკოლა დამთავრებულიო.**

☺

მე არ მაქვს საქმე გენეტიკასთან ან ეროვნებასთან, საქართველოს უამრავი სახელოვანი შვილი ჰყოლია წარმოშობით არაქართველი და მომავალშიც ეყოლება... **ამ შემთხვევაში, უბრალოდ, ამოცანა გვეკითხება:**

**რუსი, რომელსაც თვითონ დაუმთავრებია რუსული სკოლა და რომელიც საქართველოში ხურავს 250 რუსულ სკოლას, ის ან ქართველად ივარგებს, ან რუსად ივარგებს, ან კიდე, საერთოდ, კაცად ივარგებს?**

მოკლედ, განა შესაძლებელია, რუსმა, რომელიც თავის გენეტიკას ასე ებრძვის, საქართველოს ხეირი დააყაროს?

☺

ჩემი აზრით, შეუძლებელია, ასეთი ადამიანი ან რუსად ვარგოდეს, ან ქართველად ვარგოდეს, ან რუსეთს გამოადგეს, ან საქართველოს გამოადგეს! ისე კი, **რუსული „ვიკიპედიის“ თანახმად,** დიმიტრი შაშკინის ბაბუა **უკრაინიდან თბილისში „ჩამოცხოვრდა“ 1941 წელს.** არადა, ისტორია როგორი სიზუსტით მეორდება — აი, ახლაც უკრაინიდან საქართველოში ტალიკ-ტალიკა ბიჭები „გადმოცხოვრდნენ“ და ყოველდღე რესტორნებში ყრიან. **როგორც ჩანს, ზედმეტი ადამიანები 1941-შიც იყვნენ!**

# ნაცებს რა ჩაძირავთ?



☺

**ბიჭოოოო... რო მოგვადგებით ხოლმე 9-სართულიანი გემებით და ბოლო სართულიდან ნაცებს ენებს უყოფთ, ამოდონა წყალქვეშა ხომალდები ტყუილად გაოხრიათ?**

ჩასხით მაგ წყალქვეშა ნავებში ტურისტები და ეს ბეცი ნაცები ჩვენ ფეხებს მიხვდებიან... რომც მიხვდნენ, იდგნენ და აპროტესტონ.

☺

ისე კი, თუ იმას ფიქრობთ, რომ ნაცები თავის ბელადებიანად **დიდი ხნის ჩაძირულები არიან და შეიძლება წყალქვეშაც დაგიშინონ კვერცხები,** გაითვალისწინეთ ფიზიკის დაუწერელი კანონი, რომლის მიხედვითაც ნაცები, **კარგად ცნობილი ნივთიერების მსგავსად,** რახანია ზედაპირზე **ტივტივებენ!**

# ოქრიკ, მაშ მტყუნის!




გახსოვს? ერთხელ შენზე პრესაში დავწერე — **ალაოდ არი-მეთქი** და თავი გაიგიჟე, — **არ ვარ ალაოდო!** ეგე, **თუ არ ხარ ალაოდ** — ჯერ ერთი, **კახა კალაძე** თავის ოჯახთან ერთად სტიქიის ზონიდან ვერტმფრენით არ გამოსულა, ის გამოვიდა საკუთარი მანქანით და მეორეც — ეს მოხდა სტიქიამდე კაი ხნით ადრე, თანაც იმის გამო, რომ იქ ყოფნის ვადა ამოეწურა!

**ეს არის შემთხვევა, როცა უფალმა დაიფარა და კალაძემ უნდა თქვას, ბედი მქონიაო!**

გაიგე, ოქრიკ?

☺

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, **იმიტომ გაქვს მხარზე გადებული ეგ მყრალი ენა, რომ შენზე აქამდე არ აღიძრა საქმე ათასნაირ მაიმუნობაზე!**

ესე იგი, შენ რას ამბობ — **კახა კალაძემ იცოდა, რომ მეწყერი ჩამოწვებოდა და შოვიდან გამოიქცა? ანუ თვითონ თავს უშველა და სხვები მიატოვა?**

დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩევი, მაგრამ **ნუთუ იმდენი ნამუსიც არ გაქვს, რომ ასეთი სისულელეებით ფეისბუქი არ დათხუპნო?!**



# კი მაგრამ, ეს ხომ სასამართლომ ოფიციალურ თაღლითად აღიარა?!






ვიღაც გაჭირვებულს რომ ეთქვა იგივე, გავატარებდი და ყურადღებას არ მივაქცევდი, მაგრამ ამას აქვს პრეტენზია, კაცო, ამას — ამ ფულის მუთაქას!

ჩემთვის რომ სასამართლოს ოფიციალურად **თაღლითის სტატუსი** მოენიჭებინა, საერთოდ გადავიკარგებოდი და პოლიტიკაში კი არა, სიღნაღის „კრუგებშიც" აღარ გამოვჩნდებოდი... **თუ საკუთარ ვენახში მაინც გამოვყოფდი თავს, ნიღაბს ავიფარებდი, რათა არავის შემოეხედა, არავის ვეცნე და თითი არავის გამოეშვირა!**

თუმცა, ტიპს, რომელმაც **ჭუტასთან** ერთად მილიონები გაათეთრა, მაგდენი სვინდის-ნამუსი სად გააჩნია?

**სადმე გადაიკარგა და სირცხვილისგან გაწითლდა კი არა, აქეთ იბრიქება — 21-ე საუკუნეში ტექნიკისა და ვერტმფრენის პრობლემა რომ ექნება სახელმწიფოს, სხვა ყველაფერზე საუბარი ზედმეტიაო... ჩვენ გვყავს კორუმპირებული მთავრობაო...** ის აღარ დაამატა — **ყველაფერში ბიძინა ივანიშვილია დამნაშავე, ტექნიკა და ვერტმფრენები არ იყიდაო...** ეგ რომ დაემატებინა, „მავნები" ეტყოდნენ — **შე ჩემის კირაკოსიანო, შენ გეყიდა, ფული არ გაოხრია თუ ოქროს უზალთუნებიო?!**

☺

ისე კი, შენ რომ გეყიდა და სახელმწიფოსთვის გეჩუქებინა, ფულითა და ოქროს უზალთუნებით გაძეძგილი მუთაქები დაგეჩუტებოდა?

ერთი „კაპეიკი" გაიღე ქვეყნის სასარგებლოდ და მერე მიეცი თავს უფლება გაბრექვისა და გადატყლარჭვისა! თუმცა, **ვის რაში სჭირდება შენი ნაყიდი ან ვერტმფრენი, ან კიდე სამაშველო ტექნიკა?**

ან კი ვინ მოგახსენა, რომ დღეს სახელმწიფოს ან ერთი უჭირს, ან მეორე?

**მიდი, მიდი, ისევ ის სატუალეტე მაკულატურა დააფინანსე, ლიტერატურული კონკურსი რომ უწოდე და ლიტერატურის გარდა ყველაფერია... ისევ ბუღაძეებსა და ტურიკოებს გადაუხადე, როდისმე თავიანთ მემუარებში მაინც მოგიხსენიებენ.**

☺

სხვათაშორის, **მე რომ სიჭაბუკისას „გეპეის" კომკავშირის მდივანი ვყოფილიყავი და მერაბ კოსტავას სკამის ფეხით გამოვკიდებოდი ან პალტო შემომეხია, მართლა გადავიკარგებოდი...** არადა, ეს არც იმალება, პირიქით, ტელევიზორშიც გამოდის და თან პრეტენზიებიც აქვს — ჩვენ კორუმპირებული მთავრობა გვყავსო... **ჰო, ჩვენაო, მთავრობაო, კორუმპირებულიო... ამან — ამ ხალხისა და მოსახლეობის გამტყავებელმა!**

ჰმ... ღმერთო, შენ მიხედე **ხანდაზმულ თაღლითს,** იქნებ ნაცში მაინც გაიტანოს **ლელო!**

# როგორი უნდა იყოს და როგორი არ უნდა იყოს ქართული ჟურნალისტიკა

**მოდით, კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ** (შეიძლება დაკვირვება არც არის საჭირო), **რას გვეუბნება ეს ორი ფოტო?**






**მარცხნივ** „იმედის" წამყვანია, რომელიც აშკარად განიცდის რაჭაში დატრიალებულ ტრაგედიას, სახის ნაკვთებიც დალაგებული აქვს და გამომეტყველებაც — ადამიანური... მის თვალებში ჩანს სევდაც და ფიქრიც. **რაც მთავარია, ფოტო გვეუბნება,** რომ ეს გოგო ფსიქიკურად გაწონასწორებულია (ეს ხომ დღეს იშვიათობაა!) და, **როგორც ინფორმაციის მომწოდებელი, სანდოა, დამაჯერებელია!**

☺

**მარჯვნივ** „ტვ პირველის" აწყვეტილი კორესპონდენტია, **ალბათ, ხშირად გინახავთ, როგორ ახტება თავზე ხელისუფლების წევრებსა თუ ჭუტასთვის არასასურველ ე.წ. რესპონდენტებს.** მისთვის ზრდილობა და ადამიანური რაღაცები უცხოა, იგი დაგეშილია მხოლოდ იმისათვის, რამეს ჩაავლოს, პატრონს რამე ისეთი მიუტანოს, რომ გაახაროს.

**რა აცინებს, რა უხარია, როცა ირგვლივ ყველა ნორმალური ტირის? შეიძლება, არც კი ეცინება, მაგრამ იცის, როგორ ხითხითებს სახლში მხართეძოზე წამოწოლილი ჭუტლექსი და ამანაც ხომ უნდა მიბაძოს?**

შეიძლება, არც ბაძავს, შეიძლება, სული აქვს დამახინჯებული, მაგრამ მაინც მგონია, იმიტომ გადასჩაჩვია ყბები, რომ **თავის უმფროსს** ასიამოვნოს.

აშკარაა, ეს წარმონაქმნი ფსიქიკურადაც ვერ არი ნორმაზე, წესით, მაგას ხელში მიკროფონი არ უნდა ეჭიროს, სულ სხვა რამით უნდა ერთობოდეს, მაგრამ იქით, ე.წ. ოპოზიციაში, ეგეთი ნაყარ-ნუყარები სჭირდებათ, ეგეთებს დაარბენინებენ, რათა სათავიანთოდ რამე გამოადნონ.

**პრინციპში, რა ჩემი ფეხები უნდა გამოადნონ? ყოველი ასეთი ამაზრზენი ყოფა და ქცევა ბუმერანგივით ხვდებათ კინკრიხოში და მერე ჯღნავიან — რათაო?**

☺

**მადლობა ამ გოგოს, მარცხნივ როა ფოტოზე... მან მაფიქრებინა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული და შეიძლება, ქართულ ჟურნალისტიკასაც რამე ეშველოს!**

მადლობა იმასაც, მარჯვნივ როა ფოტოზე... **მან კიდევ ერთხელ მაჩვენა, როგორი არ უნდა იყოს ქართული ჟურნალისტიკა და როგორი არ უნდა იყოს ადამიანი!**

# რა გახარიათ?



შეხედეთ ამ **გახჩოელი ანა ბუჩუკურის** ფოტოს, როგორ იჭაჭება და ყელყელაობს — ჩვენი კარი ყველასათვის ღიაა, გინდა ყოფილი ნაცი იყოს და გინდა — ყოფილი „ქოციო". თითქოს მაგის ჩუხანა პარტიას წინ ვერავინ დაუდგება და 5%-იანი ბარიერიც არაფერს ნიშნავს.

**ერთი დროზე მოვიდეს 2024 წლის არჩევნები, რომ ამათი ყუყუნ-ჭუჭყუნ-ჯღნავილით გავმხიარულდე!**

☺

გაიგონეთ?

ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა — **ყოფილი ქოცი იქნება თუ ყოფილი ნაცი, მნიშვნელობა არ აქვს, ყველას მივიღებთო...** თანაც იმდენი ხალხი მოდის, მიღებას ვეღარ ავუდივართო... ყოფილი მინისტრებიც მოდიან, ყოფილი დეპუტატებიც, ყოფილი თანამდებობის პირებიცო...

**ეგე, თქვენ კიდე გგონიათ, ხალხი ემიგრაციაში მიდისო... არაფერიც, თურმე, მთელი მოსახლეობა გახჩოეთში ერთიანდება.** მერე გაუძლებს კი მაგის პარტია ამდენ დაწოლ-მიწოლას?



## შენ რა გიხარია, შე აბდალავ?

ჭუტლექსაანთ უბორნიიდან დიდი სიხარულითა და აღტყინებით იუწყებიან, რომ სამცხე-ჯავახეთში ბრუცელოზმა იფეთქა და უკვე 34 შემთხვევა ყოფილა დაფიქსირებული.

**დიახ, ამხანაგებო, რაც მეტი შემთხვევა დაფიქსირდება, რაც მეტი ადამიანი წაიღებს წერილს, ეს ქალი, ფოტოზე რომ ხედავთ, უფრო მეტი სიხარულით გვამცნობს, რომ ასრულდა ოცნება და, რასაკვირველია, „ოცნება" უნდა გადადგეს!**

☺

სიუჟეტი ისე გავიდა ბოლოში, ე.წ. **წამყვანი ქალი** არ გაჩერებულა — იხითხითა და იხითხითა... განა თვითონ უნდოდა? არა, ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ **შავ-ნოდარამ** დაავალა — **რაც მეტი ხალხი დაავადდება, ჩვენი ხეირია და უნდა იხითხითოვო. ესეც ჩამოჯდა და გადაჩაჩა ყბები.**

☺

**ისე კი, თუ ბრუცელოზმა და ღვარცოფმა წაგვლეკა, თუ ქვეყანა იქცევა, შენ რა გიხარია, შე აბდალავ?**



# კრუიზი „კუკურუზაში" აერია!



როგორც ხედავთ, ეს გოგო ტირის — ბათუმში დასასვენებლად ჩამოვედი, მაგრამ რუსეთში მოვხვდიო... თურქეთში კი არა, რუსეთშიო. გაოცებული ვარ, **„კუკურუზა"** შემომთავაზეს, მხოლოდ **„კუკურუზაო"**... სუ **„კუკურუზას"** და **„კუკურუზას"** იძახიანო... ტელეფონი მიატრიალა და ის საკრუიზო ხომალდი გვიჩვენა, რომელიც გმირულად გააძევეს ბათუმის პორტიდან. **ხედავთ, რა ხდებაო? არა, ხომ ხედავთო?!**

☺

ბალღმა იტირა, ივიშვიშა, ლამის გული ამაიგდებინა და შემეცოდა, თან ეჭვიც გამიჩნდა — მგონი, ამას უთხრეს — მოიდა **კრუიზიო** და **„კუკურუზა"** ეგონა!

ერთი **კარუზო** აკლდათ და შეიძლება, სხვაგვარად ამღერებულიყო!

# ხანდაზმულო თაღლითო,

**ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძისა და მისი კონსორციუმისათვის ანაკლიის პორტის პროექტის ჩაბარება იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანო შეცდომა, რაც „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაუშვია!**







## ხაზარაძემ, რომელმაც ანაკლიის პორტის პროექტი თავისი დოსტის — გიორგი კვირიკაშვილის წყალობით ჩაიგდო ხელში, ვერ გააკეთა იმის მეასედიც კი, რაც ხელშეკრულებით ეკისრებოდა!

***რადიკალური და ანტისახელმწიფოებრივი ნაცოპოზიციის ფლანგზე სულ უფრო ძლიერდება პოლიტიკური ისტერიკა, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ისტორიული ვიზიტითა და ჩინურ-ქართულ სახელმწიფოებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებით არის გამოწვეული.***

ერთ-ერთი საკითხი, რაც სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენთა და მათ მოკავშირეთა ძლიერ შფოთვას იწვევს, **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის** პროექტში ჩინური ინვესტიციის ჩადების შესაძლებლობა გახლავთ. მართალია, ამ მიმართულებით კონკრეტული გეგმა ჯერ არც ქართულ მხარეს გაუხმიანებია და არც — ჩინურს, მაგრამ **ნაცოპოზიციას ჭიქაში ქარიშხლის დასატრიალებლად ისიც ყოფნის, რომ ჩინეთში ვიზიტისას ირაკლი ღარიბაშვილმა ანაკლიის პორტის ეკონომიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ისაუბრა.**

ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ უკვე ღიად და დაუფარავად მოქმედი „მეხუთე კოლონა“, რომელიც ნაცმოძრაობისა და მისი მონათესავე ორგანიზაციებისაგან შედგება, თვლის, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ჩინური ინვესტიციით აშენება საქართველოს მიერ საგარეო ვექტორის ცვლილებისა და ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევის კიდევ ერთი ნიშანი იქნება.

**გეგონება, ანაკლიის პორტის პროექტში ინვესტიციების ჩადებაზე ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთმანეთში წეწვა-გლეჯა ჰქონდეთ ატეხილი, საქართველოს ხელისუფლება კი ჯიუტობდეს — დასავლური ინვესტიციები არ მინდა, პორტი მხოლოდ ჩინური ფულით უნდა ავაშენოო!**

კი მაგრამ, აშშ-ს ან ევროკავშირის სახელმწიფოებს ანაკლიის პორტის მშენებლობაში ინვესტიციების ჩადება ვინ ოხერმა და მამაძაღლმა დაუშალა?!

ჯერ კიდევ 2019 წელს თბილისში ჩამოსულმა **აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ** განაცხადა, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა ააშენოს ანაკლიის პორტი, რომელიც მას **„თავისუფალ ეკონომიკებთან დააახლოებს და თავიდან აარიდებს რუსეთისა და ჩინეთის ეკონომიკური გავლენების ზონაში შესვლას“.** ცხადია, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ეს განცხადება პირდაპირი გზავნილი იყო საქართველოს ხელისუფლებისადმი — **„არ გააკაროთ რუსული და ჩინური ფული ანაკლიის პორტს!“**

მიუხედავად იმისა, რომ ანაკლიის პორტის რუსული ან ჩინური ინვესტიციით აშენება ვაშინგტონის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, **აშშ-ს არასოდეს დაუპირებია და არც ახლა აპირებს, ღრმაწყლოვანი პორტის პროექტში საკუთარი ფული ჩადოს!**

## ხაზარაძის ურცხვობა და უტიფრობა გაცილებით უფრო ღრმაწყლოვანია, ვიდრე ანაკლიის პორტი!

**გამოდის, საქართველომ პოტენციური ინვესტორის – ჩინეთის ინტერესები უნდა უგულებელყოს და მხოლოდ**

### კვირგვინოსნები

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



ორი გიგანტი არსებობს — **ამერიკა და ჩინეთი.** ორივესთან რომ გვქონდეს კარგი ურთიერთობა, ამაში არაფერი დასაძრახი არ არის. **დღეს ამერიკას საქართველოსთვის არ სცალია.** იქნება, **ჩინურ-ქართული პარტნიორული ურთიერთობა** სტიმულიც კი გახდეს ამერიკისთვის, რომ მეტი ყურადღება დაგვითმოს.

„ახალი თაობა“

**ზურაბ ხონელიძე**
*პროფესორი*



როცა გვეუბნებიან, **საქართველომ ევროპული ოჯახის წევრობა უნდა დაიმსახუროსო,** საქართველო მხოლოდ ოჯახის წევრი კი არ არის, არამედ ამ ცივილიზაციის შემქმნელი, ერთ-ერთი აკვანია. **პროტოქართული, იბერიული, კოლხური ცივილიზაცია** მისი განუყოფელი ნაწილია. დიახ, ევროპული ცივილიზაცია ამაზე დაშენდა და **შენ მეუბნები, რომ მე ოჯახში გაწევრიანების უფლება უნდა დავიმსახურო?!**

„საერთო გაზეთი“

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



შუა დერეფნის შეუფერხებელი ფუნქციონირებით დაინტერესებული **აზიური სუპერსახელმწიფო ევროკავშირთან ერთად ჩვენი რეგიონის სტაბილურობით დაინტერესებულ მხარედ გამოდის.** რა დიდი ანალიტიკოსობა უნდა იმას, რომ ეს გარემოება, **ეკონომიკური პერსპექტივის გარდა, უსაფრთხოების დამატებით, სერიოზულ გარანტიებსაც გვაძლევს,** ნუთუ ეს არ ესმით ოპონენტებს? ცხადია, ესმით, მაგრამ **ვიწროპარტიული ეგოიზმი** და განურჩევლად ყველაფრის უარყოფის მავნე ჩვევა საშუალებას არ აძლევთ, აღიარონ რეალობა. **რა საგარეო კურსის ცვლილებაზეა ლაპარაკი?** ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ეს სხვა არაფერია, თუ არა **კატასტროფული სიბეცე ან შეგნებული მავნებლობა.**

„კვირის პალიტრა“

**ბადრი ჯაფარიძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



როგორ არის ერთმანეთთან თავსებადი, იყო **ამერიკის სტრატეგიული პარტნიორიც და ჩინეთისაც?**

„კვირის პალიტრა“

# ანაკლიის პორტი არასოდეს ახსენო!

**ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტიდან ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძისა და მისი კონსორციუმის გაყვანა გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე სწორი და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტილება, რაც „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მიუღია!**




### ამერიკის ინტერესები გაითვალისწინოს, თანაც ისე, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობაში ერთი ცენტი ამერიკული ინვესტიციაც არ იქნება ჩადებული!

ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ **აშშ საქართველოს განიხილავს არა სტრატეგიულ პარტნიორად, არამედ ვასალად, რომელიც ვალდებულია, საკუთარი ინტერესები გვერდზე გადადოს და მხოლოდ ბატონ-პატრონის ინტერესებს ემსახუროს!**

რამდენიმე დღის წინათ, ანაკლიის პორტის პროექტზე საუბრისას, სრულიად მართებულად აღნიშნა მმართველი პარტიის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ:**

> *„ჩვენთვის ძალიან მისასალმებელი იქნებოდა ამერიკული ინვესტიციის ჩადება ანაკლიის პროექტში, რაც, სამწუხაროდ, არ მომხდარა. ეს ვერ მოახერხა, მათ შორის, ვერც* ***ხაზარაძის კონსორციუმმა,*** *რომელმაც ვერცერთი ცენტი ვერ ჩაადებინა ამერიკელებს ანაკლიის პორტში!“*

**ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძისა და მისი კონსორციუმისათვის** ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ჩაბარება იყო ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანო შეცდომა, რაც „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაუშვია!

შესაბამისად, **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტიდან ყაჩაღ-ბანკირ ხაზარაძისა და მისი კონსორციუმის გაყვანა გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე სწორი და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების სასარგებლო გადაწყვეტილება, რაც „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მიუღია!**

ქართული მართლმსაჯულების მიერ **ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებულ მამუკა ხაზარაძეს** შუბლის ძარღვი რომ არ ჰქონდეს გაწყვეტილი, ენას მუცელში ჩაიგდებდა და ანაკლიის პორტის სახელს აღარ ახსენებდა, მაგრამ მისი **ურცხვობა და უტიფრობა გაცილებით უფრო ღრმაწყლოვანია, ვიდრე ანაკლიის პორტი, რომლის მშენებლობაც ამ „ხანდაზმულმა თაღლითმა“ პირწმინდად ჩააფლავა.**

### ხანდაზმულ თაღლით ხაზარაძეს უნდოდა, ანაკლიის პორტი სახელმწიფოს ფულით აეშენებინა და ამას მეტ-ნაკლებად ახერხებდა კიდეც, სანამ საქართველოს პრემიერ-მინისტრად მისი ძმაკაცი კვირიკაშვილი იჯდა!

ჰოდა, ახლა, როცა ნაცსექტა ანაკლიის პორტში ჩინური ინვესტიციის შესაძლო ჩადების გამო აგანგაშდა, **ხანდაზმულმა თაღლითმა ხაზარაძემაც** ფეხი გამოყო და აცხადებს:

> ***„ანაკლიის ამერიკელი, ევროპელი და ქართველი ინვესტორები, ივანიშვილის დავალებით, საუკეთესო რუსულ ტრადიციებში, „ქართულმა ოცნებამ“ გაძარცვა და დააყაჩაღა, წაართვა ჩადებული ინვესტიციები. ამით ჩააგდო საუკუნის პროექტი, რომელშიც ჩვენი დასავლელი პარტნიორების დიდი გეოპოლიტიკური ინტერესებიც იდო“.***

სინამდვილეში, ანაკლიის პორტს არავითარი ამერიკელი და ევროპელი ინვესტორები არ ჰყოლია, ხოლო ხაზარაძის კონსორციუმში შემავალმა ამერიკულმა კომპანიამ — **„კონტი ჯგუფმა“** პროექტში მხოლოდ 5,5 მილიონი დოლარი ჩადო, რაც ზღვაში წვეთიც კი არ არის!

სინამდვილეში, **ხაზარაძის კონსორციუმმა** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა — ვერც წინასამშენებლო და სამშენებლო გარანტიები წარადგინა, ვერც საკუთარი კაპიტალი შეავსო 120 მილიონი დოლარით და ვერც საერთაშორისო ბანკებისაგან მიიღო 400 მილიონი დოლარის სესხი!

სინამდვილეში, **სახელმწიფომ არაერთხელ დახუჭა თვალი ხაზარაძის კონსორციუმის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობაზე და 10 მილიონი დოლარის პირგასამტეხლოც კი აპატია!**

სინამდვილეში, **სახელმწიფომ 60 მილიონი ლარი დახარჯა ანაკლიაში კერძო მესაკუთრეებისაგან მიწების გამოსყიდვაში და ეს მიწები უსასყიდლოდ გადასცა ხაზარაძის კონსორციუმს!**

სინამდვილეში, **სახელმწიფომ, კერძოდ, მთავრობის საპარტნიორო ფონდმა 100 მილიონი დოლარის სესხი გამოუყო ხაზარაძის კონსორციუმს, რასაც საინვესტიციო ხელშეკრულება სრულებითაც არ ითვალისწინებდა!**

ერთი სიტყვით, **საქართველოს ხელისუფლებამ ანაკლიის პორტის მშენებლობისათვის გააკეთა იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ევალებოდა, ხოლო ხაზარაძემ, რომელმაც ანაკლიის პორტის პროექტი თავისი დოსტის — გიორგი კვირიკაშვილის წყალობით ჩაიგდო ხელში, ვერ გააკეთა იმის მეასედიც კი, რაც ხელშეკრულებით ეკისრებოდა!**

**ხანდაზმულ თაღლით ხაზარაძეს** უნდოდა, ანაკლიის პორტი სახელმწიფოს ფულით აეშენებინა და ამას მეტ-ნაკლებად ახერხებდა კიდეც, **სანამ საქართველოს პრემიერ-მინისტრად მისი ძმაკაცი კვირიკაშვილი იჯდა**, შემდეგ კი ყაჩაღ-ბანკირისეულმა გეგმამ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე კიდევ უფრო გამდიდრებას გულისხმობდა, ანაკლიის წყალი დალია!

დღეს **ხანდაზმული თაღლითი ხაზარაძის** მხრიდან ანაკლიის პორტზე საუბარი ისეთივე ცინიზმი და თავხედობაა, **სააკაშვილმა** ოჯახის სიწმინდესა და ერთგულებაზე რომ ილაპარაკოს, **ვანო მერაბიშვილმა** ადამიანის უფლებების დაცვაზე ლექციები წაიკითხოს, **მეგის ქარდავამ** პატიმრების წამების დაუშვებლობაზე ნაშრომი დაწეროს, **გიგი უგულავამ** ბიუჯეტიდან ფულის მოპარვის მიუღებლობაზე დისერტაცია დაიცვას და **დავით კეზერაშვილმა** მის მიერვე ქოლცენტრების მეშვეობით გაძარცვული ევროპელი პენსიონერების ბედზე ივიშვიშოს!

**საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გაცხადებულია, რომ ანაკლიის პორტი მისი თანამონაწილეობით აშენდება და 51 პროცენტი, ანუ საკონტროლო პაკეტი ქართული სახელმწიფოს საკუთრება იქნება, რაც არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან ასეთი სტრატეგიული და კრიტიკულად მნიშვნელოვანი ობიექტის კერძო პირისა თუ კომპანიისათვის გადაცემა საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილის ჩამოკიდების ტოლფასი იქნებოდა!**

რაც შეეხება ინვესტიციის წარმომავლობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, იგი ამერიკული იქნება, ჩინური თუ ევროპული!

**მთავარია, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ვერასოდეს მოხვდება ისეთი ღრმა თაღლითების ხელში, როგორიც მამუკა ხაზარაძეა!**

ასე რომ, **ხანდაზმულო თაღლითო,** ხმა ჩაიკმინდე და ანაკლიის პორტი აღარასოდეს ახსენო!

**ჯაბა ხუბუა**

## ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ვერასოდეს მოხვდება ისეთი ღრმა თაღლითების ხელში, როგორიც მამუკა ხაზარაძეა!

### კვირგვინოსნები



**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*

მთელ მსოფლიოს აქვს **ჩინეთთან ვაჭრობა,** მათ შორის, **ამერიკას, იაპონიას** და ჩვენც რატომ არ უნდა გვქონდეს?! თუ იმის შიში გამოითქვა, რომ ვაჭრობის იქით მიდის საქმე, **ვაჭრობის იქით საქმე არ წავა.** „ახალი თაობა“



**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*

შეუძლებელია **ორ ბატონთან** ერთდროულად მეგობრობა, **ან ამერიკას უნდა ემეგობრო, ან — ჩინეთს,** რა მოიფიქრა **ღარიბაშვილმა** ასეთი, რომ ორივესთან აპირებს მეგობრობას, გაუგებარია. „რეზონანსი“



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

**ჩინეთს** სტრატეგიული თანამშრომლობა აქვს ბელგიასთან, **დიდ ბრიტანეთთან, პოლონეთთან,** გაგიკვირდებათ და **უკრაინასთან** — რომელიმე ჩვენი ხელმოცარული ამაზე აღშფოთდა?! „ინტერპრესნიუსი“



**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**ჩინეთთან** ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება **ერთმნიშვნელოვნად კარგია,** განსაკუთრებული **შეთქმულების თეორიით** ამ საკითხის განხილვა არ არის სწორი. „პირველი არხი“



**მამუკა გამყრელიძე**
*ყოფილი დიპლომატი*

ჩინელები აპირებენ **კრედიტების გაცემას** ქართულ პროექტებზე. **კრედიტის გაცემა არის დახვრეტის ტოლფასი.** დრაკონული პირობები აქვთ. „ახალი თაობა“

ერთმა უგნურმა თაგუნამ...

# უკრაინელი ღორძაღლი

***კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში ერთწლიანი მიცვალების შემდეგ უეცრად გაცოცხლებული და ცოცხლად აყროლებული მიხეილ სააკაშვილი ბათუმს „ღორძაღლების პოლიგონს“ უწოდებს.***

კერძოდ, უკრაინის მოქალაქე პატიმარი ნაცბელადი, რომელმაც მილიონ დოლარად დაქირავებულ ამერიკულ ლობისტურ კომპანიას საქართველოსათვის საერთაშორისო სანქციების დაწესების უზრუნველყოფა დაუკვეთა, საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე გამოეხმაურა რამდენიმე ათეული ნაცსექტანტის მიერ ბათუმის პორტში გამართულ აქციას, რომლის მონაწილეებმაც საკრუიზო ლაინერ „ასტორია გრანდეს“ ქვები და კვერცხები დაუშინეს, რადგან მასზე, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ.

**მას შემდეგ, რაც პოლიციამ ქვებისა და კვერცხების მსროლელი რამდენიმე ნაცაქტივისტი ადმინისტრაციული წესით დააკავა, მსჯავრდებულმა სააკაშვილმა სოციალურ ქსელში უკრაინულ, რუსულ და ქართულ ენებზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც წერს:**

*„გუშინ, იმ ბათუმელებს, რომლებიც აპროტესტებდნენ რუსულ პროპაგანდისტულ გემს, ქვებს ესროდნენ ის რუსები, რომლებიც გამოექცნენ მობილიზაციას რუსეთიდან საქართველოში. მათ მონახეს საკუთარი ფრონტი.* ***რა თქმა უნდა, ქართული პოლიცია, რომლითაც ჩვენ ოდესღაც ვამაყობდით, ხოლო ახლა გადაქცეულია ერის სირცხვილად, მათ ხელს არ უშლიდა. სამაგიეროდ, ძალიან უხეშად შეტენა მანქანაში და დააკავა ძალიან მშვიდობიანი და ინტელექტუალი უკრაინელი ქალი — მარინა ჩობანიანი“.***

ჯერ ერთი, სააკაშვილი ურცხვად იტყუება, თითქოს ბათუმის პორტში მოტატყანე ნაცაქტივისტებს ვინმე ქვებს ესროდა... **იქ ქვებს მხოლოდ ნაცაქტივისტები ისროდნენ, რომელთაგანაც თითო-ოროლა თუ იქნებოდა ბათუმელი, დანარჩენები კი თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჰყავდათ ჩაყვანილი.** თუმცა, მთავარი ის არის, რომ პატიმარი ნაცბელადი გმობს და აუგად მოიხსენიებს რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც თავიანთი ქვეყნიდან სამხედრო მობილიზაციას გამოექცნენ, ანუ პუტინის ომში მონაწილეობა და უკრაინელების დასახოცად ფრონტზე წასვლა არ ისურვეს.

## კი მაგრამ, რაშია საქმე? მსოფლიოში პუტინის ნომერ პირველ მტერსა და მის პირად პატიმარს, უკრაინის მოქალაქე მიხეილ






## სააკაშვილს რატომ აქვს ანტაგონისტური დამოკიდებულება იმ რუსების მიმართ, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ ომში არ წავიდნენ?

**პირიქით არ უნდა იყოს? მსოფლიოში პუტინის ნომერ პირველი მტერი და მისი პირადი პატიმარი, უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი არ უნდა მიესალმებოდეს რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებმაც პუტინის ომს თავი აარიდეს და უკრაინელების დასახოცად არ წავიდნენ?**

თუმცა, როცა გაიხსენებ, რომ სააკაშვილი საბჭოთა „კაგებეს“ საკადრო ლაბორატორიაში — **კიევის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში სწავლობდა, „კაგებეს“ სასაზღვრო ჯარში მსახურობდა და „კაგებეს“ მაღალჩინოსანი ბიძის — თემურ ალასანიას პროტექტორატის ქვეშ იკეთებდა კარიერას,** უმალვე ცხადი ხდება, რატომ აღიზიანებს მას რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც პუტინის ომს გამოექცნენ და უკრაინელების სისხლის დაღვრა არ ისურვეს!

მერე ისიც მოგაგონდება, „ვარდების რევოლუციის“ კულმინაციურ მომენტში როგორ იდგა რუსთაველის გამზირზე სააკაშვილის გვერდით **პუტინის ემისარი — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი;** მოგაგონდება, 2004 წელს ახალგაპრეზიდენტებული სააკაშვილი პირველივე ოფიციალური ვიზიტით **მოსკოვში რომ გაქანდა** და რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ გაზეთ „იზვესტიისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა — **პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს, იგი გაცილებით უფრო პროგრესულია, ვიდრე ბევრი დასავლელი ლიდერიო;** მოგაგონდება, **როგორ ჩააბარა სააკაშვილმა რუსეთს 2008 წელს ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე;** მოგაგონდება, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ **როგორ გადასცა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსულ სახელმწიფო კომპანიებს;** მოგაგონდება, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად რომ გააუქმა და **ლარსის საბაჟო პუნქტზე პირადად ეგებებოდა რუს ტურისტებს** — კეთილი იყოს თქვენი ფეხი საქართველოშიო...

ჰო, მოგაგონდება ეს ყველაფერი და აღარ გიკვირს, რომ სააკაშვილისათვის მიუღებელია რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც პუტინის სამხედრო მობილიზაციას არ დაემორჩილნენ და უკრაინელების დასახოცად ომში არ წავიდნენ!

რაც შეეხება სააკაშვილის განცხადებას — **ქართული პოლიცია, რომლითაც ოდესღაც ვამაყობდი, დღეს ერის სირცხვილად გადაიქცაო,** აქაც ყველაფერი დღესავით ნათელია: სააკაშვილისათვის საამაყო იყო პოლიცია, რომელიც უდანაშაულო ახალგაზრდებს ქუჩაში ხოცავდა, მშვიდობიან საპროტესტო გამოსვლებს სისხლში ახშობდა, მომიტინგეებს ცემაში კლავდა და გვამებს მაღაზიის სახურავზე ალაგებდა, ქუჩიდან მოტაცებულ ადამიანებს შუა ზღვაში კატერზე ხვრეტდა და ცხედრებს წყალში ძირავდა... შესაბამისად, **დღევანდელი ქართული პოლიცია, რომელიც ამ ყველაფერს არ სჩადის, სააკაშვილისათვის სამარცხვინოა და ეს სავსებით ლოგიკურია!**

## მადლობა ღმერთს, დღეს საქართველოს სააკაშვილის მოსაწონი პოლიცია არ ჰყავს, თორემ ქვეყანას ახალი სანდრო გირგვლიანების, ახალი ბუტა რობაქიძეების, ახალი ზურა ვაზაგაშვილების, ახალი გიორგი გამცემლიძეების, ახალი გია კრიალაშვილების, ახალი როინ შავაძეებისა და ახალი დათო ცინდელიანების სისხლი წალეკავდა!

**კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში წამოპლაკული სააკაშვილი იმავე ფეისბუქპოსტში წერს:**

*„მე ავაშენე ბათუმი — და დღეს ის* ***ღორძაღლების პოლიგონადაა*** *გადაქცეული. მე შევქმენი ქართული პოლიცია — და მე მათ მაგივრად მრცხვენია. მე ვარ უკრაინელი პასპორტით და სულით და ჩემთვის მტკივნეულია, როცა ჩემს თანამოქალაქეებს ამცირებენ დღისით-მზისით“.*

სააკაშვილი ბათუმს როგორ „აშენებდა“, ამის შესახებ ყველასათვის კარგად არის ცნობილი — **ბიზნესმენების დაწიოკებით, კერძო მესაკუთრეებისათვის მიწებისა და შენობების წართმევით, სახელმწიფოსათვის ან რომელიმე ნაცბობოლასთან დაკავშირებული კომპანიისათვის ქონების „ნებაყოფლობით გადაფორმებით“, ტერორით, მუქარით, შანტაჟით, დაჭერით, საპროცესო გარიგებებით, კონკრეტული ადამიანებისა და ოჯახების დაქცევისა და გაუბედურების გზით...**

ჰმ, **ღორძაღლების პოლიგონიო!**

რატომ არის ბათუმი **„ღორძაღლების პოლიგონი?“** იმიტომ, რომ სააკაშვილის თუქსუსებს — **ლევან ვარშალომიძესა** და მის კლანს აღარა აქვთ აჭარაში ბოგინის საშუალება? იმიტომ, რომ აჭარის უშიშროებას **თემურ პატარიძისნაირი** ჯალათები ვეღარ ხელმძღვანელობენ და **როინ შავაძისნაირი** ვაჟკაცებს ვეღარ ხვრეტენ? იმიტომ, რომ **რომან შამათავასნაირ** პირსისხლიან მკვლელებს ბათუმის ზღვაში კატერით ვეღარ გაჰყავთ დასახვრეტად **დათო ცინდელიანისა და პაატა ქარდავასნაირი** პატრიოტები?

## ბათუმი და მთელი საქართველო მართლა ღორძაღლების პოლიგონად იყო ქცეული მაშინ, როცა ქვეყანას სააკაშვილი და მისი ბანდა ასხდნენ თავზე!

**ღორძაღლი** მართლაც ზედგამოჭრილი სიტყვაა ნაცხროვისა და, პირველ რიგში, სააკაშვილის დასახასიათებლად!

მართლა **ღორძაღლი** უნდა იყო, რომ საკუთარ ქვეყანასა და ხალხს ის დამართო, რაც სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა დამართეს!

მართლა **ღორძაღლი** უნდა იყო, რომ საკუთარი ქვეყნისათვის სანქციების დასაწესებლად ლობისტური ფირმა დაიქირავო, რასაც დღეს სააკაშვილი და დედამისი აკეთებენ!

**პასპორტით და სულით უკრაინელი ვარ!** — წერს „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მოგორავე **ღორძაღლი.**

მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებს ეროვნება არა აქვთ და, ქრისტიანული სწავლების თანახმად, არც სული გააჩნიათ, **ღორძაღლი** ამბობს — **ეროვნებითაც უკრაინელი ვარ და სულითაცო!**

კი ბატონო, იყოს ასე — **ღორძაღლ სააკაშვილს არც მის უკრაინელობაში შეეცილება ვინმე და არც მის უწმინდურ სულში!**

ერთი ეგ არის, რომ **უკრაინელი ღორძაღლისათვის** კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატა აშკარად შეუფერებელი ადგილია!

**დროა, მისთვის ავთენტურ და ორგანულ გარემოში გადაიყვანონ!**

*ჯაბა ხუბუა*

## მართლა ღორძაღლი უნდა იყო, რომ საკუთარ ქვეყანას ის დამართო, რაც სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა დამართეს!

№43-44 (211-212) ★ 2023 წლის 7 აგვისტო ★ გამოდის 2003 წლიდან

***საქართველოში გენეტიკური დივერსანტებისა და პოლიტიკური ღამურების დოღია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა წინა ორშაბათს, 31 ივლისს, საკრუიზო ლაინერ „ასტორია გრანდეს“ ბათუმის პორტში შემოსვლისას ამერიკის სპეცსამსახურების და პირადად კელი დეგნანის მიერ გაქეზებულმა ნაცხროვამ მორიგი წივილ-კივილი ატეხა.***




ახალი პაველიკ მოროზოვები




# ნაცმა დედა უარყო!

საააკაშვილი და მისი ხროვა ფაშისტი ფელდმარშლის ერჰარდ მილხისა და ფაშისტების მხარეს გადასული გენერალ ანდრეი ვლასოვის ფაზაში შევიდნენ!

*დიტო ჩუბინიძე*

თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ბათუმში ჩარეკილი ნაცხროვიდან, რომლის წევრთა რიცხვი 150 კაცს თუ აჭარბებდა, ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში 11:13 საათზე რამდენიმე ეგზალტირებული ნაცაქტივისტი გამოიყვანეს, რომელთა შორისაც, ძირითადად, ქალბატონები სჭარბობდნენ... საგულდაგულოდ შერჩეულ ე.წ. „რესპონდენტებს“ შორის ნახევარმეტრიანი მიკროფონით ხვლიკივით დასრიალებდა ოდესღაც „ტელეიმედის“ მარაქაში გარეული და მერე ვიღაცის უჩინარი თუ გამოჩინებული ხელით ნაცტელეკანალიზაციაში გადმობარგებული **ნანუკა ჟაჟანია.**

აჟიტირებული ბრბოს ფონზე, რომელიც საკრუიზო ლაინერს მუშტებს უღერებდა და კვერცხებს ესროდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ახალგაზრდა ქალბატონის განცხადებამ, რომელმაც თავის წარმომავლობაზე სახალხოდ თქვა უარი და სიტყვა, ფაქტობრივად, კელი დეგნანის იმდილანდელი განცხადების ციტირებით დაიწყო: ***„მინდა, გაიგონ ოკუპანტებმა ის, რომ ჩვენ არ გვიხარია მათი აქ მოსვლა. მე დედა მყავდა რუსი, მე ნახევრად რუსი ვარ, მაგრამ მე უარს ვაცხადებ ჩემს რუსულ სისხლზე! „ოცნება“ არის იგივე პუტინი, განსხვავება არ არის!“***

ეს განცხადება ყველა იმ მეძროვის გვარ-სახელს გვაგონებს, რომლებმაც თავიანთ წარსულსა და წარმომავლობას მიაფურთხეს და საკუთარ ნაციას ჯალათებად და მწვალებლებად ექცნენ. აი, მაგალითად **ფაშისტური „ლუფტვაფეს“ გენშტაბის უფროსი, გენერალ-ფელდმარშალი ერჰარდ მილხი,** რომელიც თანამედროვეობის უდიდესი გერმანული ავიაკომპანიის — „ლუფტჰანზას“ დამფუძნებელია, ეროვნებით ებრაელი იყო და ფაშისტების სამსახურში ჩამდგარი, ებრაელების ხოცვა-ჟლეტას მშვიდად ადევნებდა თვალს!

**ღორეშელი ღორი და ეთნიკური ქართველი გახლდათ სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც 1922 წელს ქართული მიწები წალმა-უკუღმა გააჩუქა, 1922 წლის სექტემბერში კავბიუროს სხდომაზე აზერბაიჯანს საქართველოს განუყოფელი სისხლი და ხორცი — ისტორიული საინგილო მიუზომა, ხოლო მანამდე თხუთმეტი წლით ადრე, დიდი ალბათობით, დიდი ილიას სისხლში გაისვარა ხელები.**

ქართველობაზე უარი თქვა **გარყვნილმა სააკაშვილმაც,** რომელმაც, როგორც კი ოდესის ოლქის გუბერნატორობა მიუგდეს, უმალ დათმო საქართველოს მოქალაქეობა და დღეს კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში წამოკოტრიალებული, სასამართლო პროცესებზე გამოსვლისას თარჯიმანს ითხოვს — **უკრაინის მოქალაქე ვარ და უკრაინულად უნდა ვილაპარაკო!**

90-იან წლებში სამაჩაბლოში მოხდა საშინელი ტრაგედია, როცა **ოსმა ბიძამ უარყო თავისი სისხლი და აკვანში ჩაკლა ჩვილი დისშვილი, რომელსაც ქართველი მამა ჰყავდა!**

**„კოკა-კოლას“ გამყიდველი ელტონ ჭყონიაც,** რომელიც ბოლო დროს გეი-აქტივისტად ჩამოყალიბდა, ე.წ. ჭუტა წერეთელთან ერთად გენეტიკური დივერსანტია, რომელიც შეელია თავის წარმომავლობას, მაგრამ ვერაფრით შეელია საქართველოს მტრობას და მცირეწლოვანი ბავშვების გარყვნა-გათახსირების ბინძურ გეგმას!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ცნობილი მეძროვეებისა და ქვემძრომების — **ელტონ ჭყონიასა** და ე.წ. **ჭუტა წერეთლისთვის,** რომლებმაც თავიანთი სისხლი უარყვეს, **ლაზარე გრიგორიანის** მიერ მამამისის — **ბექა გრიგორიანისთვის** უკანალში მიყენებულ ჭრილობას უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე სომეხი ერის დიდი შვილის, მე-19 საუკუნეში მოღვაწე **ხაჩატურ აბოვიანის** მიერ სისხლითა და ცრემლებით დაწერილ **„სომხეთის ჭრილობებს“.**

**სწორედ ასეა იმ ქალბატონის საქმეც,** რომელმაც ბათუმში დედაც უარყო და რუსული სისხლიც!

**სწორედ ასე უარყო თავისი რუსული სისხლი** მეორე დამრტყმელი არმიის სარდალმა, გენერალმა **ანდრეი ვლასოვმა,** რომელიც 1945 წელს სტალინმა შეიპყრო და 1947 წლის აგვისტოში, როგორც მოღალატე, ჩამოახრჩო!

**ბათუმში ნაცსექტანტების მიერ ატეხილმა ღრიანცელმა და მავანი ქალბატონის განცხადებამ დაადასტურა, რომ**





**ღორეშელი ღორი და ეთნიკური ქართველი გახლდათ სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც 1922 წელს ქართული მიწები წალმა-უკუღმა გააჩუქა! ქართველობაზე უარი თქვა გარყვნილმა სააკაშვილმაც, რომელმაც, როგორც კი ოდესის ოლქის გუბერნატორობა მიუგდეს, უმალ დათმო საქართველოს მოქალაქეობა!**



# ისტორიკოსის თვალით ★



## სვიმონ მასხარაშვილი:




# საქართველოს აღმშენებლობასა და აყვავებას, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო და 1972 წლის 29 სექტემბრამდე გაგრძელდა, ვიდრე შევარდნაძე ცეკას პირველი მდივანი არ გახდა, ერთი რეჟისორი ჰყავდა – გიორგი გეგეშიძე!

***სტალინისა და ბერიას მკვლელობის შემდეგ საქართველოში ხრუშჩოვისა და მალენკოვის ხროვისადმი პროტესტი და კომუნისტური იდეალებისადმი ინდიფერენტული და აგდებული დამოკიდებულება 1953 წლის 4 სექტემბერს მოსკოვში მომხდარმა ინციდენტმა განსაკუთრებით გააძლიერა. მოგეხსენებათ, ამ დღეს მოსკოვის „ტორპედოსთან“ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, ხელიდან გამოგვაცალეს, ქართველები დაგვჩაგრეს და თბილისის „დინამოს“ მოგებული მატჩი თავიდან ათამაშეს. ნაქეიფარმა ქართველმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მოპოვებული გამარჯვება ქართული ლხინით აღნიშნეს, ძალების კონცენტრაცია და მობილიზება ვერ შეძლეს და 7 სექტემბერს ე.წ. გადათამაშებულ მატჩში მოსკოვის „ტორპედოსთან“ 4:1 დამარცხდნენ.***

*1953 წლიდან მოყოლებული, თერთმეტი წელი ტანჯავდა და აწვალებდა* ***ნიკიტა ხრუშჩოვი*** *საბჭოთა კავშირს, ვიდრე* ***1964 წლის 14 ოქტომბერს*** *„ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო“ კრემლიდან არ მოისროლეს... სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ქართველობამ* ***ხრუშჩოვის პოლიტიკურად აძაღლება*** *უდიდესი ტრიუმფით აღნიშნა და ნიკიტას კრემლიდან გაგდებიდან, სულ რაღაც, ერთ თვეში, სწორედ* ***1964 წლის 18 ნოემბერს, სწორედ მოსკოვის „ტორპედო“ ტაშკენტში 4:1 გაანადგურა, რითიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა პირველად მოიპოვა!***

***პროფესორი*** *სვიმონ მასხარაშვილი* ***მიიჩნევს, რომ 1953 წელს საბჭოთა კავშირში განვითარებულმა უმძიმესმა პოლიტიკურმა პროცესებმა, რაც კრემლში სახელმწიფო გადატრიალებასა და მკვეთრად გამოხატულ ანტიქართულ პოლიტიკაში გამოიხატა, საქართველოში ვითარება რადიკალურად შეცვალა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომელსაც დიდი პატრიოტები —*** *ვასილ მჟავანაძე და გიორგი გეგეშიძე* ***წარმოადგენდნენ, მიზნად არა ყბადაღებული საბჭოთა გეგმების შესრულება, არამედ საქართველოსა და ქართველი ხალხის ეკონომიკური აყვავება დაისახეს:***

— 1952-1953 წლებში საქართველოში ხელისუფლება რამდენჯერმე შეიცვალა. 1952 წლის 2 აპრილს **კანდიდ ჩარკვიანი** ხელისუფლებიდან გაუშვეს და მის ნაცვლად **აკაკი მგელაძე** დანიშნეს, რომელიც 1953 წლის 14 აპრილს **ლავრენტი ბერიამ** თავისი კადრით — **ალექსანდრე მირცხულავათი** ჩაანაცვლა.

1953 წლის 26 ივნისს ლავრენტი ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ, 1953 წლის 20 სექტემბერს, **გიორგი მალენკოვმა და ნიკიტა ხრუშჩოვმა** უპატრონოდ დარჩენილი **მირცხულავა** მოხსნეს და მის ნაცვლად საქართველოში გენერალ ალექსი ინაურთან ერთად გამოგზავნეს გენერალი **ვასილ მჟავანაძე,** რომელიც რესპუბლიკას მთელი 19 წლის განმავლობაში მართავდა. ეს 19 წელი საქართველოსთვის უკლებლივ ყველა დარგსა და სფეროში ტრიუმფალური აღმავლობითა და აღმშენებლობით აღინიშნა!

**— ბატონო სვიმონ, ვასილ მჟავანაძე და ალექსი ინაური საქართველოში ერთად გამოგზავნეს?**

— დიახ, ერთად გამოგზავნეს, ერთი თვითმფრინავით ჩამოვიდნენ და როგორც მჟავანაძის ქალიშვილმა მითხრა, **სწორედ თვითმფრინავში გადაწყდა, ვინ იქნებოდა ცეკას მდივანი და ვინ — უშიშროების მინისტრი.** ორივე სამხედრო პირი გახლდათ... **გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჟავანაძე** საბჭოთა კავშირში სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი კიევის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე და პოლიტსამმართველოს უფროსი იყო. ეს დიდი თანამდებობა გახლდათ, ხოლო **ალექსი ინაური** საცხენოსნო კორპუსს მეთაურობდა და სტალინგრადში იბრძოდა. ინაური მოგვიანებით გენერალ-პოლკოვნიკი გახდა და იყო პერიოდი, როცა საბჭოთა უშიშროებაში წოდებით მასზე უფრო გავლენიანი პირი არც არსებობდა. მოკლედ, 1953 წლის 20 ივლისს **ინაური ჯერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, ხოლო 1954 წლის 10 აპრილს საბჭოთა საქართველოს სუკ-ის ხელმძღვანელობა ჩაიბარა.** ამ პოსტზე მან 1988 წლის 1 დეკემბრამდე დაჰყო. ალექსი ინაური საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე დიდხანს ხელმძღვანელობდა აღნიშნულ სტრუქტურას.




**— საინტერესოა, მალენკოვმა და ხრუშჩოვმა ვასილ მჟავანაძე და ალექსი ინაური საქართველოში გამოსაგზავნად რა ნიშნით შეარჩიეს?**

— ვერაგი მალენკოვი და ხრუშჩოვი ფიქრობდნენ, რომ **ვასილ მჟავანაძეც და ალექსი ინაურიც** ჩვეულებრივი, გარუსებული საბჭოთა გენერლები იყვნენ, რომლებსაც ქართველობის, ანუ ეროვნულობის არაფერი ეცხოთ! სხვათაშორის, ცნობილია, რომ **ვასილ მჟავანაძეს** ქართულად ლაპარაკი თავიდან უფრო უჭირდა, ვიდრე **ინაურს...** საბედნიეროდ, ხრუშჩოვი და მალენკოვი ანგარიშში მწარედ მოტყუვდნენ, რადგან

**ვასილ მჟავანაძის სახით საბჭოთა საქართველოს მართავდა დიდი პატრიოტი და სამშობლოზე მოფიქრალი კაცი, რომელიც თითოეულ ქართველს უფრთხილდებოდა.**

თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის მე-20 ყრილობაზე, 1956 წლის თებერვალში, როცა გარეწარმა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** თავის ოთხსაათნახევრიან მოხსენებაში „პიროვნების კულტის შესახებ“ სტალინს განაჩენი გამოუტანა და ბელადის ლანძღვა მჟავანაძესაც დაავალა, ვასილ მჟავანაძე მთელი ღამე ყინულს ჭამდა, ანგინა განგებ დაიმართა, რათა ლაპარაკი არ შეძლებოდა და თავის ნაცვლად სიტყვით გამოსასვლელად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი გაგზავნა. კიდევ ვიმეორებ: ხრუშჩოვი არანაირად არ ენდობოდა ქართულ კადრებს და საქართველოში განგებ გამოგზავნა მჟავანაძე და ინაური, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში საქართველოსთან, ფაქტობრივად, შეხება არ ჰქონიათ, ნიკიტა ანგარიშში მოტყუვდა! თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს მოწყვეტილ **ვასილ მჟავანაძეს** ქართულ სივრცესთან და გარემოსთან შეგუება თავიდან ძალიან გაუჭირდა...

**— მჟავანაძეს ხრუშჩოვი უკრაინიდან იცნობდა?**

— დღემდე დადის ჭორები, თითქოს ხრუშჩოვისა და მჟავანაძის ცოლები დები ან უახლოესი ნათესავები იყვნენ, რაც ბლეფია... მსგავსი არაფერი ყოფილა, მაგრამ ხრუშჩოვი ვასილ მჟავანაძეს კიევიდან და ომიდან ნამდვილად იცნობდა. რაც შეეხება გენერალ **ალექსი ინაურს,** ის კარგად იყო ცნობილი იმ ოპერაციით, რომელიც მისმა კორპუსმა 1942-1943 წლის ზამთარში სტალინგრადთან განახორციელა, როცა გერმანელების ალყა გაარღვიეს. მთელ ამ ისტორიაში საყურადღებოა ერ-









**„საქართველოს უშიშროების შეფი, გენერალი ალექსი ინაური ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, რადგან საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ავტორი იყო გიორგი გეგეშიძე, რომელსაც ყველაფერი ვასილ მჟავანაძესთან ჰქონდა შეთანხმებული!“**

თი უნიშვნელოვანესი ფაქტი, რასაც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. კერძოდ, ხრუშჩოვმა ბერიას უერთგულესი მეგობარი და უმწიკვლო რეპუტაციის პატრონი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვალერიან ბაქრაძე** კი მოხსნა და პოლიტიკურად გაანადგურა, მაგრამ კრემლს გამოეპარა ერთი ფიგურა — **ჟორა,** ანუ **გიორგი გეგეშიძე,** რომელიც 1953 წლის აპრილიდან თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე გახლდათ.

ვასილ მჟავანაძისა და ალექსი ინაურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად იმისა, საქართველოს არ იცნობდნენ, მაღალ თანამდებობებზე დასანიშნად მოსკოვიდან კი არ ჩამოიყვანეს თავიანთი რუსი ნაცნობ-მეგობრები, არამედ შეეცადნენ, **მალენკოვისა და ხრუშჩოვის** დევნისგან ადგილობრივი ქართველი კადრები გადაერჩინათ. რა თქმა უნდა, მინისტრთა საბჭოს თავმდომარე **ვალერიან ბაქრაძესა** და ცეკას ბიუროს წევრებს ისინი ვერ გადაარჩენდნენ და შეინარჩუნებდნენ, მაგრამ ბერიას მიერ 1953 წლის აპრილში დანიშნულ ახალგაზრდა კადრს, 27 წლის **გიორგი გეგეშიძეს** ხელი არ ახლეს. საქართველოს აღმშენებლობასა და აყვავებას, რომელიც მე-20 საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო და 1972 წლის 29 სექტემბრამდე გაგრძელდა, ვიდრე შევარდნაძე ცეკას პირველი მდივანი არ გახდა, ერთი რეჟისორი ჰყავდა — გიორგი გეგეშიძე!

**— მაინც რა მოხდა ამ დროს საქართველოში?**

— **ვასილ მჟავანაძე** საქართველოში გამოგზავნეს და ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს 1953 წლის 20 სექტემბერს. მანამდე ორი კვირით ადრე მოსკოვში ქართველებს თავში ჩაგვარტყეს, დაგვამცირეს, უსამართლოდ მოგვექცნენ და ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა წაგვართვეს. ამის გამო, რასაც ემატებოდა სტალინისა და ბერიას მკვლელობა, ქართველი ხალხი იყო საშინლად შეურაცხყოფილი, გაბრაზებული და თითოეული ქართველი თავის თავს პირობას უყენებდა — **„ჩვენ ჩვენი გზა ავირჩიოთ და ავაშენოთ არა საბჭოთა კავშირი, არამედ საქართველო!“**

დაახლოებით ასე მოიქცა ილია ჭავჭავაძეც, რომელმაც საქართველოში რუსული იმპერიული სტრუქტურები, ფაქტობრივად, ქართულ სამინისტროებად გადააქცია და რუსეთის იმპერიაში საქართველო მკვდრეთით აღადგინა. აი, სწორედ ასეთი განწყობა იყო საქართველოში, როცა ვასილ მჟავანაძე ხელისუფლებაში მოვიდა. **მჟავანაძისა და გიორგი გეგეშიძის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ქართველი ხალხის გულისთქმას სწრაფად აუღეს ალღო. მიუხედავად იმისა, რომ ნაძირალა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** სტალინისა და ბერიას მიერ წამოწყებული ყველა სტრატეგიული პროექტი — ჩრდილოეთ ციმბირის რკინიგზის მშენებლობა და უკრაინა-ვოლგისპირეთის სოფლის მეურნეობის აღორძინება — დახურა და სამუდამოდ გააჩერა, არცერთი დიდი და სტრატეგიული პროექტი საქართველოში არ გაჩერებულა!

**— ეს როგორ მოხერხდა?**

— ეს მოხერხდა, რადგან ყველა სტრატეგიული პროექტი, ფაქტობრივად, არაფორმალურ ვითარებაში ხორციელდებოდა. მაგალითად, **გიორგი გეგეშიძემ, იმისათვის, რომ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა არ გაეჩერებინათ, განაცხადა, რომ თბილისში შენდებოდა თავშესაფარი, რომელსაც ატომური დაბომბვის პირობებში ქალაქის მოსახლეობა უნდა გადაერჩინა.** მაშინდელი ინსტრუქციის თანახმად, **მეტრო მხოლოდ მილიონიან ქალაქში უნდა გაეყვანათ... მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 700 ათასი კაცი ცხოვრობდა, გიორგი გეგეშიძის ინიციატივით, თბილისში ფოიერვერკებითა და დიდი ამბით აღნიშნეს „მემილიონე ბავშვის დაბადება“,** რათა მეტროპოლიტენის გახსნას წინ ვერაფერი დასდგომოდა.

რაც საქართველოში **ვასილ მჟავანაძის** დროს გაკეთდა, ყველაფრის არქიტექტორი და დირიჟორი გახლდათ დიდი ქართველი და ღირსეული მამულიშვილი **გიორგი გეგეშიძე,** რომელიც, რა თქმა უნდა, ვასილ მჟავანაძესთან ტანდემში მოქმედებდა. **გეგეშიძე** მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში თანამდებობებს იცვლიდა, მაგრამ **მჟავანაძე და ალექსი ინაური** ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ, რამაც საქართველოში ნამდვილი რენესანსი გამოიწვია და ქვეყანა აყვავდა. 1956 წლის მონაცემებით, მე-20 ყრილობაზე, თვით ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენების თანახმად, საქართველოს ეკონომიკა უზარმაზარი თურქეთის ეკონომიკას ყველა პარამეტრით აღემატებოდა, ხოლო ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკას ეროვნული პროდუქტით სამჯერ ვუსწრებდით! ეს ხდებოდა მაშინ, როცა მჟავანაძის დროს, საქართველოს ეკონომიკის ნამდვილი პარამეტრები დაფარული და ხელოვნურად დაკნინებული იყო!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ მოსკოვიდან საქართველოსთვის კიდევ უფრო მეტი გეგმის შესრულება არ მოეთხოვათ! მჟავანაძის დროს რესპუბლიკებს შორის გამართულ სოცშეჯიბრში საქართველო ხან მეთორმეტე ადგილზე გადიოდა და ხან — მეცამეტეზე, ხოლო შევარდნაძის დროს, როგორც წესი, ხან მეხუთე ადგილზე ვიყავით და ხან — მეექვსეზე. **შევარდნაძე იყო კარიერისტი, რომელიც კრემლს უმიზნებდა, ხოლო ვასილ მჟავანაძე და გიორგი გეგეშიძე იყვნენ პატრიოტები, რომლებიც ქართველი კაცისა და საქართველოს აყვავებაზე ზრუნავდნენ.** ამიტომაც იყო, რომ გეგეშიძის ყველაზე დიდი მტერი სწორედ ედუარდ შევარდნაძე იყო, რადგან რაიკომის მდივნის პოსტიდან შევარდნაძის გათავისუფლებაში გეგეშიძემ გადამწყვეტი როლი ითამაშა. იმისათვის, რომ ხალხის ხსოვნიდან **გიორგი გეგეშიძის** სახსენებელი ამოეშალა, შევარდნაძემ ვაკეში გეგეშიძის მიერ გამშვენიერებულ ერთ-ერთ პარკში კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლიც კი დადგა, მაგრამ ხალხი დღემდე იმ ბაღს მაინც **„გეგეშიძის ბაღს“** ეძახის...

> **„1956 წლის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა უზარმაზარი თურქეთის ეკონომიკას ყველა პარამეტრით აღემატებოდა, ხოლო ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკას ეროვნული პროდუქტით სამჯერ ვუსწრებდით!“**

**— მაინც რა სახსრებით მოახერხეს ვასილ მჟავანაძემ და მისმა გუნდმა საქართველოს აღორძინება და ეკონომიკურად აყვავება?**

— ეს მოხერხდა იმით, რომ **ვასილ მჟავანაძე და გიორგი გეგეშიძე** მფარველობდნენ და აძლიერებდნენ ჩრდილოვან ეკონომიკას, რომელიც წამოადგენდა საქართველოს აღორძინებისა და აღმშენებლობის საფუძველს. **ლაზიშვილები, მანაშეროვები, მიხეილ ბაბუნაშვილი და სხვები** სწორედ მჟავანაძისა და გეგეშიძის მიერ ხელშეწყობილი საქმოსნები და ქართველი პატრიოტები იყვნენ, რომლებსაც საქართველოში უახლესი მანქანა-დანადგარები შემოჰქონდათ, ბოლო მოდელის იტალიურ „პლაშჩებს“ კერავდნენ, უნიტაზებს ამზადებდნენ და უამრავ ადამიანს ეხმარებოდნენ. თბილისი იქცა საბჭოთა კავშირის ანტვერპენად, სადაც ალმასებს ამუშავებდნენ. საუკეთესო ოქრომჭედლებმა და ბრილიანტის ოსტატებმა სწორედ საქართველოში მოიყარეს თავი. რომ არა ეგ ხალხი, რომ არა **ოთარ ლაზიშვილი,** ხელოვნების მუზეუმში ხრუშჩოვის ცოლმა თამარის ჯიღა რომ მოითხოვა და ქართველმა იუველირებმა სასწრაფოდ მისი ასლი ჩამოუსხეს და **ნინა კუხარჩუკს** სწორედ ის გაატანეს, ამას ვერ შევძლებდით. საქართველოში გამოდიოდა პროდუქცია, რომელიც საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებული არ იყო და საერთოდ არცერთ ნუსხაში არ იძებნებოდა... აი, ასე ძლიერდებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკა და კეთდებოდა მილიარდები... საქართველოს უშიშროების შეფი, **გენერალი ალექსი ინაური** ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, რადგან საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ავტორი იყო **გიორგი გეგეშიძე,** რომელსაც ყველაფერი **ვასილ მჟავანაძესთან** ჰქონდა შეთანხმებული.

**— დაასახელეთ ხალხი, ვინც მაშინდელი საქართველოს ჩრდილოვან ეკონომიკას ქმნიდა!**

— პირველ რიგში, ესენი იყვნენ **ლაზიშვილები** და ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი **ჟღენტი ...**




> **„ლაზიშვილები, მანაშეროვები, მიხეილ ბაბუნაშვილი და სხვები სწორედ მჟავანაძისა და გეგეშიძის მიერ ხელშეწყობილი საქმოსნები და ქართველი პატრიოტები იყვნენ!“**




ესაუბრა
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, № 39-40, 41-42*

# თავი მეოთხე

## 1783 წ. ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის.

### § 1. მისი წარმოშობის ისტორია

ამ თვალსაჩინო პოლიტიკურ გამარჯვებისდა მიუხედავად, **ერეკლე მეფეს** საქართველოს ბედი და თავისი თავი მთლად უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. მას განსაკუთრებით ოსმალეთის გავლენა აფიქრებდა დაღესტანზე და ის ტახტის მაძიებელიც, რომელიც რუსეთითგან ჩამოვიდა და სახელმწიფოს მყუდროების დარღვევას და გამეფებას ცდილობდა. თუმცა, ამ ტახტის მაძიებლის წადილი უნაყოფო გამოდგა, მაგრამ რაკი ოსმალეთის მთავრობა თავისი მიზნებისთვის დაღესტანს ფულის საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებდა ხოლმე და არც სპარსეთის შაჰი შეჰყურებდა **ერეკლე მეფეს** მოწყალეს თვალით, ამის გამო მას მომავალი საკმაოდ უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. **ერეკლე მეფე** გრძნობდა, რომ მტრებისაგან თავდაცვისთვის საქართველოსათვის მუდმივი ჯარია აუცილებლად საჭირო. ამის შესანახად-კი ფული მას საკმაო არ ჰქონდა. ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება ამ გაწეულ ხარჯს აინაზღაურებდა და მხოლოდ დროებითი დახმარება ესაჭიროებოდა.

ამ თავის გეგმის განსახორციელებლად მან ჯერ დასავლეთ ევროპას მიჰმართა თხოვნით. **1781 წ-ს ერეკლე მეფემ რომის იმპერატორ იოსებ II-ს წერილი მისწერა, რომელშიც სესხსა სთხოვდა საქართველოსა და ქრისტიანობის გადასარჩენად მტრებისაგან. მაგრამ მეფის ელჩი გზაში მოკვდა.** ამის გამო 1782 წ. ამგვარივე თხოვნით ხელმეორედ გაგზავნა და თანაც თავის მხრივ ჰპირდებოდა, რომ, **თუ იმპერატორი სესხს მისცემდა, ოსმალეთის ომის დროს იმპერატორსა და გერმანიასთან საქართველო მთელი თავისი ძალღონით თურქების წინააღმდეგ იმოქმედებდა.** გამოურკვეველ მიზეზების გამო მეფე ერეკლეს არც ამის პასუხი მოსვლია (Бутковъ. Матеріалы II, 120).

რუსეთს კი უკვე 1778 წ-ლითგან მოყოლებული საიდუმლო გეგმა ჰქონდა სპარსეთის შესახებ და ამის სამზადისში იყო (Бутковъ. Матеріалы II, 70). ამ გეგმის ფარული მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა კასპიის ზღვაში ასტარაბადის ყურეს პირდაპირ მდებარე კუნძული დაეჭირა და რუსთა ახალშენი, წინასწარ **„მელიტონისად“**, ე. ი. ფუტკართ კუნძულად წოდებული, დაეარსებინა აქეთგან რუსეთის ვაჭრობის გასავრცელებლად თვით აღმოსავლეთ ინდოეთამდის (იქვე, II, 71-72). მწარე გამოცდილებამ რუსეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ სპარსეთში მარტო კასპიის ზღვითგან მტკიცედ ფეხის მოკიდება შეუძლებელი იყო. ამისთვის სხვა გზაც იყო საჭირო.

**ერეკლე მეფესთან** საქართველოში გერმანელი მოგზაური **დოქტორი რაინეგსი** ცხოვრობდა, რომელმაც ვითარცა აღმოსავლეთში ნამყოფმა კაცმა ადგილობრივი ენებიც კარგად იცოდა. სხვათა შორის, ქართულიც შეისწავლა და **ერეკლე მეფესთან** დაახლოვებული იყო. რუსეთის სახელმწიფოს მხედართმთავარმა, **ფელდმარშალმა თავადმა პოტიომკინმა** ეს **რაინეგსი** საქართველოთგან თავისთან დაიბარა და 1782 წ. შემოდგომას ისევ საქართველოშივე გამოისტუმრა, მაგრამ ეხლა უკვე ვითარცა რუსეთის წარმომადგენელი **ერეკლე მეფისა** და **სოლომონ მეფის** წინაშე. მას საგანგებოდ დავალებული ჰქონდა, **ერეკლე მეფისათვის** ჩაეგონებინა, რომ მას რუსეთის თვითმპყრობელისაგან მფარველობა ეთხოვა ფორმალურად (Бурнашевъ. Матеріалы 118).

ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველ მხრივ მოწყვეტილი იყო. საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, ამაო იყო ყოველივე მისი ცდა ევროპის სახელმწიფოებამდის ხმის მისაწვდენად, რომ მოზღვავებულ მტრების წინააღმდეგ იქითგან დახმარების მოლოდინი ტყუილი ოცნება იქმნებოდა. ასეთს გარემოებაში **ერეკლე მეფე** და საქართველოს მთავრობა **რაინეგსის** რჩევას, რომელიც, როგორც ეხლა ირკვევა, თვით რუსეთის მთავრობის მიერ დავალებული საიდუმლო მინდობილობა ყოფილა, რასაკვირველია, სიამოვნებით შეიწყნარებდა. რუსეთის მეტი მომშველებელი მაშინ მათ აღარავინ ეგულებოდათ და ისევ ამ ძლიერ ჩრდილოეთის სახელმწიფოს მიჰმართეს.

**ოფიციალური თხოვნა გაიგზავნა რუსეთში.**

**რუსეთის მთავრობას ძალიან იამა ეს ამბავი. ეკატერინე II-ეც ამ საქმისგან რუსეთისთვის დიდ სარგებლობას მოელოდდა** (1783 წ. წერილი იხ. Дубровинъ. Исторія войны т. II, 11). **24 ივლისს 1783 წ. აღმ. საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.**

### § 2. 1783 წ. ხელშეკრულების შინაარსი და მის მიერ დამყარებული უფლებრივი დამოკიდებულება

ამ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია უფლებრივი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის. მეექვსე მუხლში სახელდობრ ნათქვამია, რომ **„მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ქართლისა, კახეთისა (ქართლ-კახეთისა) და საქართველოის სამეფოებზე უზენაესის ხელმწიფებისა** (верховной властъ) **და მფარველობის კეთილმოსურნეობით მიმღები თავისი და თავის შთამომავლობის სახელით აღთქმასა სდებს:** 1) რომ **ამ სამეფოთა ერნი მის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში ჩასთვალოს** და, მაშასადამე, მისი მტრები თავის მტრებად **მიიჩნიოს“.**

ამისდა მიხედვით, რუსეთის ხელმწიფე თავის და თავის შთამომავლების სახელით **„უზაკველის აღთქმით“** აღთქმასა სდებს, რომ **„მოწყალება და მფარველობა მათი ქართლისა და კახეთის** (ქართლ-კახეთის) **მეფეებს არას დროს არ ჩამოშორდებათ“** (§ 2. ) საქართველოს მეფეთა უფლება მემკვიდრეობით გადავიდოდა და რუსეთის ხელმწიფე აღთქმასა სდებდა, რომ **ერეკლე მეფე და მისი შთამომავლობა** მუდამ, განუწყვეტლივ სამეფო უფლებით მოსილი იქმნებიან (§ $6_2$). საქართველოს სამეფო ტახტზე მისი მეფეები მემკვიდრეობის ძალით ადიან. დამოკიდებულება რუსეთის ხელმწიფესა და საქართველოს მეფეს შორის ამ მხრივ მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ მემკვიდრეობის უფლებით საქართველოს ტახტზე ახლად ასულს მეფეს უმალ ეს ამბავი რუსეთის ხელმწიფისთვის ეცნობებინა და თავის დესპანის პირით საინვესტიტურო სიგელით და სამეფო ნიშნების გამოგზავნით დამტკიცება ეთხოვა. ამაების მიღებისთანავე მეფეს უნდა რუსეთის მინისტრის თანდასწრებით რუსეთის სახელმწიფოს ერთგულებისა და გულმოდგინებისა, ხოლო სრულიად რუსეთის ხელმწიფეების **უზენაესი ხელმწიფებისა** (верховной власти) და მფარველობის ცნების აღთქმა დაედვა (§ 3).

სამეფოს შინაურ საქმეების მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და უზენაეს მართმსაჯულებაში, გადასახადების დაწესებასა და აკრეფაში საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი იყო (§ $6_3$).

**თვით რუსეთის ხელმწიფის კარზე საქართველოს მეფეს თავისი მინისტრი, ანუ რეზიდენტი ჰყავდა და რუსეთის ხელმწიფესაც თავის მხრივ საქართველოს სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენელი მინისტრი, ანუ რეზიდენტი იმყოფებოდა** (§ 5). საქართველოს მეფეს საერთაშორისო დამოკიდებულების უფლებაც ჰქონდა, მხოლოდ იმ მხრივ შეზღუდვილი, რომ ამ ურთიერთობისათვის რუსეთის მინისტრ-რეზიდენტისა და მონაპირეთ — მთავართან წინასწარი შეთანხმება იყო საჭირო. **სხვა სახელმწიფოების დესპანებისათვის, ან მიღებული წერილების გასაცემ პასუხის შესახებაც რუსეთის იმავე წარმომადგენელთან თათბირი უნდა ჰქონოდა** (§ 4).

ამ ხელშეკრულების მიზანი საქართველოსთვის იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს მიწაწყლისა, მეზობლებისა და მტრებისაგან დაცვა-დახმარებას კისრულობდა. ამისთვის მას ქართული ლაშქრისათვის მისაშველებლად აღმოსავლეთ საქართველოში **2 სრული ბატალიონი ქვეითობა, ოთხი ზარბაზნითურთ** უნდა ჰყოლოდა (ცალკე არტიკ. § 2). ეს მუხლი აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ მაშინდელ სამზღვრების ხელშეუხებლობას ეხებოდა.

მაგრამ **ერეკლე მეფეს** მარტო ამისთვის არ დაუდვია ეს ხელშეკრულება: მას უფრო ფართო და შორსგამჭვრეტელი მიზანი ჰქონდა დასახული. **ქართველობის გაერთიანებასა სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდა.** ამიტომ ამ ხელშეკრულებაში მან განსაკუთრებულ მე-4-ე არტიკულად შეატანინა, რომ **რუსეთის ხელმწიფე აღთქმასა სდებდა ომის დროს იარაღის საშუალებით, ხოლო მშვიდობიანობის დროს თავგამოდებით ყოველგვარად ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაუბრუნდენ და მის სამფლობელოდ დარჩენ ყველა ის ადგილები, რომელნიც მას ძველითგანვე ეკუთვნოდენ. ამასთანავე, რუსეთის ხელმწიფეები აღთქმას სდებდნენ, რომ საქართველოს ამ ახლად დაბრუნებულ და შემოერთებულ ქვეყნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის თავდებობასაც კისრულობდნენ** (არტიკ. 2).

თავის მხრივ, საქართველოს მოვალეობად ჰქონდა, რუსეთის სახელმწიფოს მიხმარებოდა და რუსეთის ქვეშევრდომებისადმი საქართველოში განსაკუთრებული მფარველობა გამოეჩინა (არტიკ. 7). მაგრამ, ცხადია, ამით არ განისაზღვრებოდა ის სარგებლობა, რომელიც ამ ხელშეკრულებას რუსეთისთვის უნდა მოეტანა. **რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით იმ იდუმალ დიდ სარგებლობაზე ოცნებობდა, რომელსაც ასეთი წინასწარი სიამოვნებით მოელოდდა ეკატერინე II-ე.**

თავდაპირველად ისე იყო გადაწყვეტილი, რომ **1783 წ. ხელშეკრულება უნდა მთელ, დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთან ყოფილიყო დადებული და ამ ხელშეკრულების შავად დაწერილი დედანი სწორედ ასეც არის შედგენილი:** ყველგან იქ **ერეკლე მეფის** სახელის გვერდით ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენების დროს დამატებულია **„იმერეთის მეფე სოლომონ“**, ან **„იმერეთის სამეფო“** (იხ. პროფ. ა. ცაგარელის გამოც. Грамоты и др. историческіе документы, относящіеся до Грузіи. т. II, вып. II, გვ. 32-37 შენიშვნებით). თვით **სოლომონ მეფეც** მოწადინებული იყო, რომ ეს ხელშეკრულება მასთანაც ყოფილიყო დადებული, მაგრამ რუსეთის მთავრობას ოსმალეთისა ეშინოდა, რომლისაგანაც რუსეთის თანხმობით დასავლეთი საქართველო ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებისდა მიხედვით ერთგვარს დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, **სოლომონ მეფესთან** და დასავლეთ საქართველოსთან ამგვარივე ხელშეკრულების დადება გადაწყვეტილი იყო მაშინვე, როცა კი ამისთვის ხელშემწყობი გარემოება იქნებოდა (Бутковъ. Матеріалы II, 135).

**რა თვისების საერთაშორისო დამოკიდებულება მყარდებოდა 1783 წ. ხელშეკრულებით აღმ. საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის? ამის შესახებ მკვლევართა შორის სრული თანხმობა არ არის.**

ბრიუსელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ცნობილი პროფესორი **ერნესტ ნჲსი** (Ernest Nys) იმ აზრისაა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წ. მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულება იყო დადებული. იგი ამბობს: „Cétait un traité d'amitié et d'alliance ou se trouvaient les formules les plus expressives du respect gue le gouvernement russe prétendait manifester pour les droits des Géorgiens“.

ბერლინის უნივერსიტეტის განთქმული პროფესორის **ფონ ლისტის** სიტყვით-კი, ეს ხელშეკრულება რუსეთის პროტექტორატს და სუვერენობას ამყარებდა საქართველოზე, რომელიც შინაურ მართვა-გამგეობაში, კანონმდებლობაში და საეკლესიო სფეროში თუმც სრულებით დამოუკიდებელ, მაგრამ მაინც მის ვასსალურ სახელმწიფოდ ხდებოდა („Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien Ein Gutachten von Professor von Liszt-Berlin. Als Manuskript. gedruckt. გვ. 2). თითქმის იგივე აზრი გამოთქმული აქვს **ზ. ავალიშვილსაც** თავის წიგნში „Присоединеніе Грузіи къ Россій“. მას აღნიშნული აქვს, რომ ის პოლიტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. ხელშეკრულების ძალით შეიქმნა, არც ვასალურ დამოკიდებულებას წარმოადგენს, არც პროტექტორატს, მფარველობას, არამედ ერთსადა-იმავე დროს მფარველობაც, პროტექტორატიც იყო და ვასალური დამოკიდებულებაც (იხ. მეორე გამ. გვ. 141 და 143).

**მ. ხელთუფლიშვილის** აზრით, 1783 წ. რუსეთს საქართველოს მიმართ წმინდა პროტექტორატის უფლება და მხოლოდ მფარველობა მიენიჭა (Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи, 1901 წ. გვ. 88-89).

ასეთი აზრთა სხვადასხვაობა იმ გარემოებით აიხსნება, რომ ხელშეკრულება ყოველმხრივ სრულს იურიდიულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს და იქითგან თანამედროვე საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით თვითოეულ ზემომოყვანილ შეხედულების გასამართლებლად საბუთის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ წარსულის საკითხების დაფასება, თუნდაც ეს საკითხი სამართლის მეცნიერების სფეროს ეხებოდეს, თანამედროვე სამეცნიერო ნორმების მიხედვით-კი არ შეიძლება, არამედ ამისთანა შემთხვევებში ისტო-


ივ. ჯავახიშვილი

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში.

ქართული კლუბის გამოცემა.

თბილისი. სახელმწიფო სტამბა 1919.









## სტალინისეული «უმცირესი ბოროტება» –

რიული თვალსაზრისი აუცილებელი და ერთადერთი უტყუარი გზა არის. თუ გამორკვეული იქნება, რა თვისების დამოკიდებულების დამყარება ჰსურდათ საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს, როდესაც 1783 წ. ხელშეკრულებას სდებდნენ, და თანაც გვეცოდინება, თუ რა სახელს უწოდებდენ იმ დროინდელი ქართველები და რუსები ამ დამყარებულ საერთაშორისო დამოკიდებულებას, მაშინ თვით საკითხიც არსებითად გამორკვეული იქნება.

ზემოთქმულითგან უკვე ცხადია, რომ საქართველო რუსეთისაგან დახმარებას და „მფარველობას“ ითხოვდა. იმ სრულრწმუნებულების ქაღალდში, რომლითაც **მეფე ერეკლემ** თავის დესპანებს ხელშეკრულების დადება მიანდო, ნათქვამია, რომ **ისინი უნდა ცდილიყვნენ აღმოს. საქართველოს მეფეების „მიღებისათვის... მფარველობასა ქვეშე იმისის იმპერატორებითის დიდებულებისასა“** (პრ. ა. ცაგარელის Грамоты ||, 99). **თვით რაინეგსაც რუსეთის მთავრობისაგან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სწორედ ასეთი მინდობილობა ჰქონდა, რომ ერეკლე მეფისათვის რუსეთისაგან მფარველობის თხოვნა ერჩია.** რუსეთის იმ დროინდელი ელჩი საქართველოში იმ დამოკიდებულებას, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების ძალით დამყარდა, „მფარველობას“ „მფარველობით უფლებას“ („Покровительство“, „покровительствующая власть Россіи) უწოდებს (Бурнашевъ. Картина 11-12, 15, 18). მას აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს მეფეები **„ყოველთვის ერთმორწმუნეობის გამო დახმარებას და მფარველობას“** ეძებდნენ სრულიად რუსეთის ხელმწიფეებისაგან („Всегда искали по единоверію помощи и покровительства Всероссійскихъ Великихъ Государей“ იქვე 18).

უფრო დიდმნიშვნელოვანია ის საბუთი, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების შედგენის დროს ოფიციალურად თვით რუსეთის დედოფლის **ეკატერინე II-ის** ბრძანებით სახელმძღვანელოდ იყო დაწერილი. ამ საბუთებს სათაურად აქვს („Высочайше указанныя, основанія для заключенія Русско-Грузинскаго Трактата“).

იქ სრულებით გარკვევით ნათქვამია, თუ რა თვისების ხელშეკრულება უნდა დადებულიყო და რაგვარი უფლებრივი დამოკიდებულება უნდა დამყარებულიყო ამ ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობის სურვილისამებრ საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ საბუთში სწერია: „Мнѣніе Ея Величества было... заключить съ Грузинскими Царями союзный трактать, не именуя ихъ поданными, но союзниками отъ Имперіи Всероссійской покровительствуемыми“. (პრ. ა. ცაგარელი Грамот. ||, в. ||, 30) **„მის უდიდებულესობის აზრი იყო, რომ ქართველ მეფეებთან** (ე. ი. ერეკლე II-სთან და სოლომონთან) **დადებულიყო მოკავშირეობის ხელშეკრულება ისე, რომ ისინი ქვეშევრდომებად კი არა, არამედ სრულიად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშე მყოფ მოკავშირეებად ყოფილიყვნენ წოდებულნი“.**

იმაზე მკაფიოდ წადილისა და აზრის გამოთქმა შეუძლებელია.

საკმარისია 1783 წ. ხელშეკრულება გადაიკითხოს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, თუ როგორის სისწორით აუსრულებიათ რუსეთის დედოფლის **ეკატერინე II-ეს** ზემომოყვანილი დავალება: **არსად მართლაც საქართველოს მეფის და ქართველ მოქალაქეთა შესახებ რუსეთის ქვეშევრდომობის ხსენებაც არ არის. სამაგიეროდ, ისევე, როგორც თვით რუსეთის ხელმწიფესაც ჰსურდა, იქ ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე პირადადაც და თავის შთამომავლობის მაგიერადაც აღთქმასა სდებს საქართველო რუსეთის სახელმწიფოსთან „მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში მყოფად ჩასთვალოს“ და მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს.**

IV თავი.

1783 წ. ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის.

§ 1. მისი წარმოშობის ისტორია.

ამ თვალსაჩინო პოლიტიკურ გამარჯვებისდა მიუხედავად ერეკლე მეფეს საქართველოს ბედი და თავისი თავი მთლად უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. მას განსაკუთრებით ოსმალეთის გავლენა აფიქრებდა დაღესტანზე და ის ტახტის მაძიებელიც, რომელიც რუსეთითგან ჩამოვიდა და სახელმწიფოს მყუდროების დარღვევას და გამეფებას ცდილობდა. თუმცა ამ ტახტის მაძიებელის წადილი უნაყოფო გამოდგა, მაგრამ რაკი ოსმალეთის მთავრობა თავის მიზნებისათვის დაღესტანს ფულის საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებდა ხოლმე და არც სპარსეთის შაჰი შეჰყურებდა ერეკლე მეფეს მოწყალეს თვალით, ამის გამო მას მომავალი საკმაოდ უზრუნველყოფილად არ მიაჩნდა. ერეკლე მეფე გრძნობდა, რომ მტრებისაგან თავდაცვისთვის საქართველოსათვის მუდმივი ჯარია აუცილებლად

V თავი

1783 წ. ხელშეკრულების შედეგი.

1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანია რა. ზიანი-კი აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა. საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოუჩინა. ხელშეკრულების თანახმად საქართველოში 2 ბატალიონი რუსის ჯარი მოვიდა. სამაგიეროდ შეექმნათ „შიშნეულობა მხედრობისა გამო რუსეთისა“ ადერბეჯანის ხანებს, რომელ-




მეორე მხრით, ისევ ფრიად საყურადღებოა, თუ როგორ უყურებდა **ერეკლე მეფე** ამ ხელშეკრულებას და რანაირ დამოკიდებულებად სთვლიდა იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიქმნა? როგორც ქვევით თავის ადგილას აღნიშნული იქმნება, **ერეკლე II-ემ** ვითარცა სრულიად საქართველოს უზენაესმა მეფემ დასავლეთ საქართველოს მეფესა და მთავართა თხოვნით იკისრა მათთვისაც ისეთი უფლებრივი დამოკიდებულება მოეპოვა რუსეთთან, როგორიც თვით მას ჰქონდა 1783 წ. ხელშეკრულების ძალით. ამის შესახებ **ერეკლე მეფის** წერილობითი განცხადებაა შენახული და სწორედ ამ საბუთითგან ნათლად სჩანს მისი აზრი რუსეთ-საქართველოს შორის მყოფ უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ. მას ნათქვამი აქვს: ვკისრულობ **„შუამდგომბითა ჩემით მოგიპოვოთ მფარველობა და კავშირი უზენაესი საიმპერატორო მთავრობისა“-ო. ხოლო იქ, სადაც იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი და გურიელი თავის მხრითაც აღთქმას უდებდენ, რომ ამ ფარგლებში რასაც კი, ერეკლე მეფე გაარიგებდა, უთუოდ შეიწყნარებდენ. მათ ნათქვამი აქვთ: „უზენაეს საიმპერატორო მთავრობის მფარველობა და კავშირი თქვენის უმაღლესობით ჩვენდა სასარგებლოდ მოპოვებული მოვალე ვარ მივიღო“-ო** (იხ. პრ. ა. ცაგარელის Грамоты ||, в. || 69). ამგვარად სრულებით ცხადია, რომ **მეფე ერეკლე, სოლომონ მეფეც და მთავრებიც** ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ჰქონდა მხოლოდ **„მფარველობა და კავშირი“.**

მაშასადამე, 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს **„მფარველობითი მოკავშირეობის“** ტრაკტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი უფლება არა გვაქვს, გვერდი ავუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ.

## თავი მეხუთე

## 1783 წ. ხელშეკრულების შედეგი

1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსთვის სარგებლობა არა მოუტანია რა. ზიანი კი — აუარებელი. პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. **ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა. საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოუჩინა.** ხელშეკრულების თანახმად საქართველოში 2 ბატალიონი რუსის ჯარი მოვიდა. სამაგიეროდ, შეექმნა „შიშნეულობა მხედრობისა გამო რუსეთისა“ ადერბეჯანის ხანებს, რომელთაც წინათ, როგორც აღნიშნული იყო, **მეფე ერეკლესთან** კარგი განწყობილება ჰქონდათ. მათ საღი ალღოთი იგრძნეს, რომ საქმე მარტო საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა და ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი „დაპყრობა ძალითა როსიის მხედრობისათა“. ამ მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე ადერბეჯანის ხანებმა ერთიერთმანეთის მტრობა დაივიწყეს და შეექმნათ ერთიერთმანეთისადმი დაფარვით „დინ-თასლიბისა თანხმობა“ (ომ. ხერხეულიძე ჭიჭ. 274, ჩუბ. 498. Бутковъ. Матеріалы ||, 132, Бурнашевъ Картина 15-16).




არაფრად მოეწონათ საქართველოს რუსეთთან დაკავშირება ოსმალებს და **ახალციხის ფაშას სულეიმანსაც.** წინათ მასაც **ერეკლე მეფესთან** კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, 1783 წ. ხელშეკრულებამ ისიც დააფრთხო და საქართველოს მეფის მტრად აქცია (ომ. ხერხეულიძე, ჭიჭ. 247, ჩუბ. 498). ოსმალეთმა თავის ჩვეულებრივს ხერხს მიჰმართა და ფულით დაღესტანიც აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ (Бурнашевъ Картина 16). „სულეიმან ფაშამ მოუწოდა დაღესტნის ომარხანს, ხუნძახის ბატონს“, და ისიც 30.000 ჯარით კახეთს შემოესია **(ომ. ხერხეულიძე იქვე).**

თვით **ერეკლე მეფის** უერთგულესი ყმად-ნაფიცი და მეგობარი **შუშის ხანიც**-კი რუსების შიშით საქართველოს მეფეს გადუდგა და გადაემტერა. მის ჩაგონებით განჯელებმა **ერეკლე მეფის** მიერ დანიშნული **განჯის გამგე** გააძევეს (იქვე). ყაზახის, შამშადილისა და შამქორის ელებიც, რომელთაგან საქართველოს 6000-მდე საუკეთესო ცხენოსანი მებრძოლი ემატებოდა ხოლმე, ამავე პოლიტიკურ მიზეზის გამო **შუშის ხანს** მიემხრნენ და მტრობა დაიწყეს (Бурнашевъ Картина 16).

დაღესტნელების შემოსევა რომ უკუექცია, **ერეკლე მეფემ** სექტ. 1787 წ. ქართული და რუსული მხედრობითურთ განჯის წინააღმდეგ გაილაშქრა. სრული გამარჯვება იყო მოსალოდნელი, რომელსაც **ერეკლე მეფის** წინანდელი სახელი უნდა აღედგინა. მაგრამ სრულებით მოულოდნელად **რუსის ჯარის უფროსს მინისტრ-რეზინდენტს ბურნაშევს პოტიომკინისაგან საქართველოთგან დაბრუნების შესახებ ბრძანება მოუვიდა.** მან განუცხადა მეფეს, რომ **„დღესვე უნდა გავბრუნდეო“** და რამდენი არ სთხოვა **ერეკლემ,** რომ ლაშქრობის დამთავრებამდე მაინც მოეცადა, არ დარჩა. საჩქაროდ აიყარა და გამობრუნდა ტფილისკენ, ხოლო იქითგან რუსეთში გაემგზავრა მთელი ჯარით (ომ. ხერხეულიძე. ჭიჭ. 275-276, ჩუბ. 499. Бутковъ. Матеріалы ||, 194-195).

## 1783 წ-ის ხელშეკრულების წყალობით საქართველო გაძლიერების და გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფის მაგიერ სამის მხრით მტრებით გარშემორტყმული გახდა და განუწყვეტლივ საომარ განწყობილებაში ჩავარდა იმ თავის მეზობლებთანაც, რომელნიც წინათ მისი ერთგული მოკავშირენი იყვნენ.

თვით **ერეკლე მეფეც** და მმართველი წრეებიც ხედავდენ, რომ ამ პოლიტიკური ნაბიჯის გამოისობით საქართველო ისეთს საშინელს განსაცდელში ჩავარდა, რომლის მსგავსში შაჰაბაზის შემდგომ არ ყოფილა (Бутковъ. Матеріалы ||, 188).

**ოსმალეთმა ახალციხის ფაშის პირით ერეკლე მეფეს შემოუთვალა, რომ ოღონდ ის რუსეთს ჩამოჰშორებოდა და რუსის ჯარი საქართველოთგან გაესტუმრებინა, და არამც თუ წინანდელი კეთილ-მეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან აღდგენილი იქმნებოდა, არამედ გაცილებით უფრო მეტ სარგებლობასაც ჰპირდებოდა. ერეკლე მეფემ უარი შეუთვალა. ამის გამო 1786 წ. თურქები ფოთისა და ბათუმის გამაგრებას შეუდგენ. 12.000 დაღესტნელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მათ მიერ ნაქირავები.**

**ერეკლე მეფე** რწმუნდებოდა, რომ რუსეთის დახმარება და მფარველობა იმდენად მცირედი **(სულ 1800 ჯარის კაცი)** იყო, რომ ის ვერაფერს უშველიდა. ამიტომ რომ ქვეყანა მოსალოდნელი შემოსევისაგან და ოსმალეთის გულისწყრომისაგან ეხსნა, **იძულებული იყო ახალციხის ფაშისათვის დაზავების პირობად აღეთქვა, რომ ის მეტს რუსის ჯარს საქართველოში აღარ შემოიყვანდა.** მაგრამ ოსმალეთმა ეს საკმარისად არ დაინახა და ამ დაპირების ასრულების საწინდრად 12 საუკეთესო თავადთა საგვარეულოთგან ორი წარმომადგენელი ამანათად მოითხოვა. **ერეკლე მეფე** იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ იძულებული გახდა, 1787 წ. ივნისში ეს მძიმე და დამამცირებელი მოთხოვნილება აესრულებინა (Бутковъ. Матеріалы ||, 191-193).

**რუსეთმა თავისი ჯარი საქართველოთგან იმიტომ გაიყვანა, რომ იძულებული იყო, ოსმალეთთან ომში ჩაბმულიყო. ერთ-ერთ მიზეზად, რომელმაც ოსმალეთი რუსეთის მტრად აქცია და ომი გამოიწვია,** რუსეთის საქართველოში მფარველის სახით შემოსვლა იყო. **15 ივლისს 1787 წელს ოსმალეთმა რუსეთის დესპანს გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას საქართველოსთვის თავი დაენებებინა და ამ ქვეყნისა და სახელმწიფოს საქმეებში აღარ გარეულიყო.** მალე ოსმალეთმა რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედება დაიწყო კიდეც, ხოლო 7 ენკ. 1787 წ. რუსეთმაც ოსმალეთს ომი გამოუცხადა (Бутковъ. Матеріалы ||, 198).

ასეთ პირობებში იმ მცირედ ჯარის გაყვანის მაგიერ, რუსეთისგან, ვითარცა მფარველის მხრივ, სრულებით ბუნებრივი იყო საქართველოსთვის უფრო მეტი ჯარის მოშველება იმიტომ, რომ რაკი უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზად საქართველო ითვლებოდა, ოსმალეთის მხრით ამ ქვეყნის წინააღმდეგ მტრული მოქმედება თავისდათავად მოსალოდნელი იყო. მაგრამ რუსეთის სამხედრო შტაბმა სამოქმედო გეგმა ისე შეადგინა, რომ ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა ამ მხრითგან განზრახული არ იყო. ამიტომ **რუსეთის მთავრობამ საქართველო მიატოვა და გადასწყვიტა, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნებოდა, თავის ძალით და წინანდელ მშვიდობიანი კავშირის აღდგენით თავისი თავი ამ ომის დროს ოსმალეთისაგან უზრუნველ ეყო** (Бутковъ. Матеріалы ||, 196). ასე უცნაურად, სხვა არა იყოს რა, მსჯელობდა საქართველოს „მფარველი“ რუსეთის სახელმწიფოს მთავრობა, რომლის თაოსნობითაც, როგორც ვიცით, დადებული იყო **1783 წ-ის ხელშეკრულება** ეგოდენ მშვენიერ საზეიმო აღთქმებით აღსავსე.

რუსეთის მთავარსარდალმა და ფელდმარშალმა **თავად პოტიომკინმა** კიდევ იმდენი ურცხვობა გამოიჩინა, რომ 1788 წელს ასე უმწეოდ მიტოვებულს საქართველოს მეფესა **ერეკლე II-ეს** აქეზებდა, რომ მას **სოლომონ მეფესთან** შეთანხმებით ოსმალთა წინააღმდეგ ემოქმედა. მაგრამ მეფის გული მწუხარებისა და წყრომისა ცეცხლით იყო მოცული და მწარე გამოცდილებამ მას უკვე საკმაოდ თვალი აუხილა, რომ ასეთ უცნაურ რჩევისათვის ყური ეთხოვებინა (Бутковъ. Матеріалы ||, 197).

*გაგრძელება იქნება*

## «გეორგიევსკის ტრაქტატი» 240 წლისაა!

# როგორ მზადდებოდა ილიას მკვლელობა

***1907 წლის 30 აგვისტოს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა წიწამურთან საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ამ შავბნელი მოვლენიდან 116 წელი გვაშორებს — ზუსტად იმდენი, რამდენიც 1801 წლის 12 სექტემბრის ავადსახსენებელი მანიფესტიდან 1917 წლამდე რომანოვებმა მეფობაგაუქმებულ და გუბერნიებად გადაქცეულ საქართველოში იბოგინეს.***

*ილიას მკვლელობისა და მკვლელების შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა. წლების წინათ პროფესორ **ნიკო ბოგბოჭურის** კომენტარებით გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ილიას ერთ-ერთი მკვლელის, სოფელ ახატნის მკვიდრის **ბიგოლა ბერბიჭაშვილის** დაკითხვის ოქმებიც კი გამოვაქვეყნეთ... გარდა ამისა, გახლდით თეძმის ხეობის სოფელ ახატანშიც, სადაც ადგილობრივებს გავესაუბრეთ, ბერბიჭაშვილის ნათესავებსაც მივაკვლიეთ და ბევრი საინტერესო დეტალიც გამოვააშკარავეთ, მაგრამ „საუკუნის მკვლელობა“ მაინც ბევრ საიდუმლოს მალავს! **ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ფილოლოგი ანდრო ბედუკაძე სწორედ იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ როგორ მზადდებოდა ილიას მკვლელობა, რომელიც ვაჟა-ფშაველამ, ალბათ, ყველაზე უკეთ შეაფასა — „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოს მოკლავდნენ!“***




## ანდრო ბედუკაძე:

# გეორგიევსკის ტრაქტატი ილიას რომ ღალატი ან შეცდომა ჰგონებოდა, მეფე ერეკლეს არ დაინდობდა!

**ანდრო ბედუკაძე:** — დიდი ადამიანები იმითაც გამოირჩევიან, რომ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა თუ შეფასება რაღაც პერიოდულობით ყოველთვის აქტუალური ხდება. ილია ჭავჭავაძე ამ მხრივაც განსაკუთრებულია, რადგან სულ ყურადღების ცენტრშია. არის დრო, როცა მას აგინებენ და ლანძღავენ, არის პერიოდი, როცა მის შესწავლას თავიდან იწყებენ და ადიდებენ, მაგრამ ილია სულ ყურადღების ცენტრშია, ის არ ხუნდება და არ ფერმკრთალდება. მაგალითად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ანტიეროვნულმა ძალებმა და ფესვებს მოწყვეტილმა ხალხმა ილიას ძალიან შეუტია. მას ახლაც უტევენ, ოღონდ ფარულად. საქართველოს მტრების მთავარი ამოცანა ილია ჭავჭავაძის დამახინჯებაა! მოგეხსენებათ, 1907 წლის 30 აგვისტოს ილია წიწამურთან მოკლეს... მისი მკვლელობა უცბად არ მომხდარა. ილიას ფიზიკურად განადგურება მე-20 საუკუნის დასაწყისში არ დაგეგმილა, **ილიას წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო მაშინვე, როგორც კი ის ასპარეზზე გამოვიდა.** ილია არ იყო შაბლონური პიროვნება. ის გახლდათ რთული ბუნების კაცი თავისი ხასიათისა და იმ იდეის გამოც, რომელსაც ემსახურებოდა. როდესაც ილია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა და თქვა — **„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს!“** — ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ იგი არ წავიდოდა იმ გზით, რა გზითაც მისი წინა თაობა წავიდა. **ილიამ უარი თქვა 1832 წლის შეთქმულებისა და აჯანყების გზაზე, როცა ქართველებმა იარაღის ძალით სცადეს რუსეთის უღლის გადაგდება და ამ ყველაფერს მოჰყვა საშინელი ტრაგედია და რეპრესიები.** მოგეხსენებათ, 1932 წლის შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ქართველმა თავადაზნაურობამ ხელი ჩაიქნია ბრძოლაზე და დახარბდა რუსულ ჩინ-მედლებს, რომელიც სატყუარა აღმოჩნდა... სწორედ ამ დროს, 1861 წელს, 24 წლის ილია ჭავჭავაძე ასპარეზზე გამოვიდა და წერილი დაუწერა **რევაზ შალვას ძე ერისთავს**, რომელიც კოზლოვის „შეშლილის“ ქართულად თარგმნის გამო მწვავედ გააკრიტიკა. ყველამ იგრძნო ძლიერი გონების კაცის გამოჩენა, ყველა მიხვდა, რომ საქართველოში რაღაც ახალი იწყებოდა...

**— ილიას დაბადების თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა... როდის დაიბადა ილია?**

— არსებობს ილიას დის **ელისაბედის** მოგონება, სადაც ის ამბობს — მამაჩვენმა გრიგოლ ჭავჭავაძემ ყველა შვილის დაბადების თარიღი ზუსტად იცოდა და სახარების ფურცელზეც ჩამოწერა ეს თარიღები. მათ შორის, წერია, რომ 1837 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა **ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.** გრიგოლს არცერთი შვილის დაბადების თარიღი არ შეშლია და მაინცდამაინც ილიასი შეეშალა? გამორიცხულია! ამრიგად, ილია **1837 წელს** დაიბადა.

**— მივუბრუნდეთ ასპარეზზე ილიას გამოჩენას!**

— ილიას სულ შარი და ხიფათი სდევდა... აი, მაგალითად, **ოლღა გურამიშვილის მამა თადეოზ გურამიშვილი** ილიასა და ოლღას ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყო!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ სასიმამრო ილიას ჯერ სიღარიბით იწუნებდა, მაგრამ მთავარი ეს არ იყო... თადეოზი და მისი თაობა, რომელიც რუსეთის უღელს შეგუებული გახლდათ, ილიამ ააფორიაქა, შეაშფოთა და შემოუძახა — არა, ასე არ დაგტოვებთო! აქედან მოყოლებული, ილიას წინააღმდეგ არაერთი შეტევა განხორციელდა. ცხადია, ეს იყო სიტყვიერი შეტევა, პოლემიკა, რაშიც ილია ლომი გახლდათ და აქ მისი მომრევი არავინ იყო.

**— სადღაც წამიკითხავს, რომ ილია ცნობილი დუელიანტი იყო და, საერთო ჯამში, თვრამეტი დუელი გადაიხადა!**

— ეს ლეგენდაა, რაც დიდ ადამიანებს თან სდევს ხოლმე. საერთოდ, ასეთი ლეგენდები ცუდი არ არის... **ნიკო ნიკოლაძესთან** დაგეგმილი დუელის გარდა, რომელიც ჩაიშალა, ილიას სხვა დუელი არ მახსენდება, მაგრამ ის არავის არაფერში არასოდეს გაჰქცევია! ილია ძალიან უშიშარი კაცი იყო და როცა მას ქართული ენის დაცვის გამო ბრძოლა გამოუცხადეს, პირდაპირ დაწერა — **„სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას!“** ასეთი ადამიანი ძალიან საშიშია კომფორმისტებისათვის, რომლებიც ილიამ დაიფრინა... ამის შემდეგ ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა თაობა — მარქსისტები, რომლებიც ითხოვდნენ ქართულ სინამდვილეში თავიანთ ადგილს. არადა, ეს ადგილი დაკავებული იყო იდეით, რომელსაც ილია უწოდებს **„ჩვენი დაკარგული მეობის დაბრუნებას“.** ილია ამ ახალგაზრდებთანაც შეეცადა საერთო ენის გამონახვას, როცა, მაგალითად, **ნოე ჟორდანიას** „ივერიის“ რედაქტორობა შესთავაზა... ანუ ილია მათთანაც პირნათელი იყო, მაგრამ ამ საქმიდან არა გამოვიდა რა.

**— თქვენ მარქსისტები ახსენეთ და არსებობს ცნობები, რომლის თანახმადაც ახალგაზრდა სტალინი ილიას საგურამოში ორჯერ ესტუმრა! რამდენად მართალია ეს ამბავი?**

— სხვათაშორის, ილიას საგურამოს მუზეუმში ერთი ასაკოვანი თანამშრომელი გვყავდა **შალვა მარკოზაშვილი,** რომელიც გვეუბნებოდა — *სოფელში ამა და ამ კაცისგან მომისმენია, ახალგაზრდა სტალინი ილიას საგურამოში სტუმრობდა და გვიანობამდე საუბრობდნენო!* ამის შესახებ რამე წერილობითი წყარო არ არსებობს და არც ილიას და არც სტალინს არაფერი დაუწერიათ! მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, როცა სტალინმა ილიას რეაბილიტაცია დაიწყო, მას შეეძლო, ამის შესახებ სადმე დაეწერა ან ეთქვა, მაგრამ სტალინს მსგავსი არაფერი დაუტოვებია. ამდენად, ესეც ლეგენდა მგონია, რომელიც ილიას მკვლელობასაც ახლავს...

**— ქართველ საზოგადოებაში დღემდე გაურკვევლობას იწვევს 1899 წელს ილიას მიერ დაწერილი ცნობილი წერილი — „ასის წლის წინათ“, სადაც ის 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსის ჯარის შემოსვლას მიესალმა! ილიამ ამ წერილით სინამდვილეში რა გვითხრა?**

— იყო დროის კონიუნქტურა, როცა საქართველოში **გეორგიევსკის ტრაქტატის** იუბილეებს ვიხდიდით. მაშინაც ითქვა და არავის დაუმალავს, რომ მეფის რუსეთმა საქართველო გარეშე მტრებისგან კი დაიცვა, მაგრამ პატარა ქვეყანას თავად ექცა მოურჩენელ უბედურებად. მოკლედ, **კომუნისტებმა, ყველაფერი დააბრალეს არა რუსეთს, არამედ მეფის რუსეთს.**

ილიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ იმ მეზობლების გადამკიდე, რომლებიც ქორებივით ესეოდნენ საქართველოს, 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსის ჯარის შემოსვლა დადებითი მოვლენა იყო. დღეს ვიღაცები საქართველოს ისტორიის გამრუდებას ცდილობენ და წერენ — **„თურქეთი ჩვენი ისტორიული მეგობარი იყოო!“** როგორ იყო თურქეთი „ისტორიული მეგობარი“, ვინმემ ამიხსენით! ჩვენ რაც დაგვემართა, ტრაქტატის შემდეგ დაგვემართა და ისიც თურქეთის, ირანისა და ლეკების ავკაცობით. **დღეს ისე გამოჰყავთ, თითქოს ირანი, თურქეთი და ლეკები ჩვენი მეგობრები იყვნენ, ხოლო რუსები — მტრები!** სხვათაშორის, ტრაქტატი ცოტა სხვა თემაა და არა ისეთი, როგორიც ბევრს წარმოუდგენია... **სწორედ ირანს, თურქეთსა და ლეკებს გულისხმობდა ილია, როცა წერდა — საქართველომ გარეშე მტრისგან მოისვენაო!** თქვენ მიერ ხსენებულ წერილში ილია დაბეჯითებით გვარწმუნებს —

> *„სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედ მოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთისმოსავმა და ღვთის-მოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც, მის და მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად...“*

მე-18 საუკუნის საქართველოში სკოლა არსად იყო, ხალხი გამოქვაბულებსა და ტყეებში ცხოვრობდა, რადგან ლეკიანობამ ქვეყანა წელში გაწყვიტა. ერეკლე მეფე უკვე ვეღარაფერს აკონტროლებდა. შვილი დედას სტამბოლის ბაზარზე ყიდდა, რათა ჩაეცვა და ეჭამა... აი, ამ დონემდე იყო მისული საქართველო. **ეს ყველაფერი ილიამ იცოდა და ამიტომაც მიესალმა თბილისში რუსის ჯარის შემოსვლას, თორემ არასოდეს უთქვამს — რა კარგი რამ მოხდა, რუსის ჯარმა რომ დაგვიპყროო!**

დღეს ყველაფერი ან შავია ან თეთრი, მაგრამ პოლიტიკაში ხშირად ასე არ არის და პოლიტიკური პროცესის ორ ფერში შეფასება ყოვლად დაუშვებელია. ის კი არა, თვით მონღოლების შემოსევასაც კი რაღაც დადებითი შედეგი ჰქონდა, რადგან რუსეთის სახელმწიფოს ცენტრალიზაციას შეუწყო ხელი და სავაჭრო გზებზე მშვიდობა დამყარდა.

**— მოკლედ, საქართველოს გაუბედურების მიზეზთა მიზეზი ირანელები, თურქები და ლეკები იყვნენ და არა რუსები?**

— ცხადია! ილიამ ეს ყველაზე უკეთ იცოდა... **რუსები იყვნენ შედეგი იმ უბედურებისა, რაც საქართველოს თურქეთმა, ირანმა და ლეკებმა თავს დაატეხეს!** ბევრმა არ იცის, რომ საგურამოში 1830 წლამდე 300 ლეკი იდგა და მთელი არაგვისა და მტკვრის ხეობებს იკლებდა... კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ილიამ ეს იცოდა და იმიტომაც მიესალმა თბილისში რუსის ჯარის შემოსვლას, თორემ როგორ შეიძლებოდა, ილია საქართველოს ოკუპაციას მისალმებოდა?**

საერთოდ, ილია შეუპოვარი კაცი იყო და **რევაზ შალვას ძე ერისთავს** კი არა, **აკაკი წერეთელსა** და მისთვის სათაყვანებელი **რაფიელ ერისთავის** დას **ბარბარე ჯორჯაძეს** ეკამათებოდა. აი, ამათ არ მოერიდა ილია და იმას მოერიდებოდა და არ დაწერდა, რაც რუსის ჯარის შემოსვლას მოჰყვა? ილიამ ესეც თქვა, როცა „რუსის შტიკის სიკარგეზე“ ცნობილი ლექსი დაწერა და იქაც მართალი იყო! ილიას ოცი ტომი გამოვუშვით და კატეგორიულად მინდა, განვაცხადო, რომ **გეორგიევსკის ტრაქტატის** შესახებ ილია ჭავჭავაძეს არსად და არასოდეს კრინტი არ დაუძრავს!

**— რატომ?**

— დიახ, გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ ილიას არც კარგი უთქვამს და არც ცუდი. თუ რატომ მოიქცა ასე, ძნელი ასახსნელია, რადგან დოკუმენტი არ არსებობს... ერეკლე მეფეს რომ აღმერთებდა და მასზე დიდი სიყვარულით წერდა, ეს ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძეს მეფე ერეკლე ანათემისთვის არ გადაუცია... **გეორგიევსკის ტრაქტატი ილიას რომ ღალატი ან შეცდომა ჰგონებოდა, მეფე ერეკლეს არ დაინდობდა!** რას ამბობთ, ილია საქართველოს ისტორიას არ ინდობდა და ერეკლეს დაინდობდა? გავიხსენოთ, რას წერდა — **ქართველო! — რომ დაიძახო, ღირსეულად მობდებული ქართველის მეტი არავინ გამოგეპასუხებაო!** ილია ასეთ რამეებში დაუნდობელი იყო და მეფე ერეკლესაც არ მოერიდებოდა!





**„ილიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ იმ მეზობლების გადამკიდე, რომლებიც ქორებივით ესეოდნენ საქართველოს, 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსის ჯარის შემოსვლა დადებითი მოვლენა იყო!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***
***გაგრძელება იქნება***

## არის ასეთი აზრი ★





## პაატა აბულაძე:

# გიფიქრიათ, რაზე შეიძლება მოილაპარაკონ ერთმანეთთან რუსეთმა და თურქეთმა?

*„წინა ინტერვიუში გითხარით, რომ რუსეთმა გაშლილი სუფრა ამოუყირავა და ნადიმი ჩაუშალა დასავლეთს, როცა საქართველოსთან პირდაპირი ავიარეისები აღადგინა და სავიზო ურთიერთობა გააუქმა. ამჯერად კი დასავლეთს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წონასწორობა საბოლოოდ დააკარგვინა, როცა მისგან და რუსეთისგანაც დაუკითხავად, ანაზდად ჩინეთში გაემგზავრა და ამ სუპერსახელმწიფოსთან თანაბარუფლებიანი კავშირი დაამყარა!“ —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ვეტერანმა პაატა აბულაძემ:***

— უკვე აშკარაა — **დასავლეთი კავკასიას ტოვებს!** დასავლეთი შეჩვეული იყო საქართველოსგან მითითებების სიტყვის შეუბრუნებლად შესრულებას; ამჯერად კი საქართველომ ჯერ ლგბტ აღლუმის გამართვა არ დაუშვა, შემდეგ პირი ჩინეთისკენ იბრუნა და დასავლეთს აგრძნობინა, რომ ის მისთვის „ერთადერთი ოაზისი“ არ არის. დიახ, **ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს პირველმა პირმა პირველად გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯი საქართველოს სუვერენიტეტის განსამტკიცებლად!**

დასავლეთს კავკასიაში პოზიციები ჩამოეშალა, თანაც, დრო აღარ ყოფნის. გაბოროტებული გადამწყვეტ მოქმედებებზე გადადის, რამაც შეიძლება კავკასიაში სისხლისმღვრელი ომი და საქართველოში ეკონომიკის დასამარება გამოიწვიოს, ოღონდ დასავლეთს საერთოდ არ ედარდება, თუ საქართველო დაზიანდება და ეს თვალსაჩინოდ დაინახა ყველამ.

**კავკასიასთან ერთად დასავლეთი კარგავს პოზიციებს აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. შუაგულ ევროპაშიც მზარდი უკმაყოფილებებია ნატოსა და ევროკავშირის პოლიტიკის გამო.** ამ ფონზე ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტმა დასავლეთი შოკში ჩააგდო — შეცდომას შეცდომაზე უშვებს და საქართველოს მიმართ თავის არამეგობრულ დამოკიდებულებას აშკარავებს.

***— ჩინეთთან ურთიერთობა რით არის საქართველოსთვის მომგებიანი?***

— ჩინეთი ის ქვეყანაა, რომელიც საკუთარ ეკონომიკას რუდუნებით ქმნის და თვალისჩინივით უფრთხილდება. შესაბამისად, თუ საქართველო ჩინეთთან ეკონომიკურ კავშირში შევა, მისი მფარველობის ქვეშ აღმოჩნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს საქართველოს რკინიგზა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აღმოსავლეთს და დასავლეთს, ჩრდილოეთს და სამხრეთს, **ანუ საქართველოს რკინიგზა აღდგება აფხაზეთშიც და ამ რკინიგზის უსაფრთხოდ მუშაობა რიგი სუპერსახელმწიფოების, მათ შორის, დასავლეთის ინტერესშიც იქნება!**

საქართველო სამუდამოდ დაკარგავს რუსეთთან ომის გასაჩაღებელი იარაღის და საზარბაზნე ხორცის დანიშნულებას; შესაბამისად, წინა პლანზე წამოიწევს კავკასიაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, რაც შეუძლებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე და ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს ამ მისიაში ჩაერთვებიან გლობალური პროექტის მონაწილეები — თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, შუა აზიის რესპუბლიკები... რომლებიც თავად გახდებიან ქართული დროშის ქვეშ როგორც აფხაზთა, ისე ქართველთა უსაფრთხოების და ეკონომიკური აღორძინების გარანტები. **დასავლეთიც იძულებული გახდება, მიიღოს ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა — აღმოსავლეთისკენ ეკონომიკური კორიდორი, რაც მისთვისაც მომგებიანი იქნება.**

***— უკვე ხმა დაირხა ქართულ სკოლებში ჩინური ენის სწავლების შემოღების შესახებ...***

— პირადად მეც სიამოვნებით შევისწავლიდი ჩინურ ენას და დედანში წავიკითხავდი კონფუცის! ჩინური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ცოდნა უახლოეს მომავალში ქართველებს უზარმაზარ პერსპექტივებს ჰპირდება ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღორძინების თვალსაზრისით! რა თქმა უნდა, საფრთხეებიც იქნება, რომელთაც გონივრული წინაღობებით უნდა გავუმკლავდეთ, მაგრამ, **რაც მთავარია, ჩინეთი არც ეროვნული იდენტობის დათმობას და არც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ გვაძალებს!** უფრო მეტიც: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერმა **სი ძინპინმა** ახლახან საჯაროდ განაცხადა, რომ ახლო და შორეულ აღმოსავლეთში არ დაუშვებს ფერად რევოლუციებს. ცნობისათვის, ჩინეთმა ახლახან კანონის დონეზე აკრძალა გარყვნილების პროპაგანდა. ანალოგიურ გზაზე დგას რუსეთი და საქართველოსაც მოუწევს არჩევანის გაკეთება, ზნეობასა და „გამოხატვის თავისუფლებაში“ შეფუთულ გარყვნილებას შორის, რომელსაც დღემდე ჯიუტად თავს გვახვევს დასავლეთი! ახლა ამასაც არ სჯერდება და ღიად აღვივებს ეთნიკურ შუღლს, ძირს უთხრის ქართულ ეკონომიკას და ქსენოფობიური განცხადებების საკეთებლად აქეზებს მის მიერ მართულ მცირერიცხოვან მე-5 კოლონას, რისი მკაფიო მაგალითიც გახლავთ ოცდაათიოდე ნაცლიბერასტის მიერ ბათუმში „ასტორია გრანდის“ წინააღმდეგ გამართული აქცია! **გეგონება, ამ გემის გაძევებით წყდებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რომლის ბორტზეც, რუსებთან ერთად კიდევ მრავალი ეროვნების ტურისტი იმყოფებოდა!**

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ საკრუიზო კომპანიამ ბათუმი შემდეგი რეისების მარშრუტების ნუსხიდან ამოიღო. არადა, ბათუმის პორტში თვეში ორჯერ უნდა შემოსულიყო.***

— ეს არის დასავლეთიდან მართული მე-5 კოლონის მიზანმიმართული დარტყმა საქართველოს, კერძოდ, აჭარის ეკონომიკაზე. მოგეხსენებათ, აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ტურიზმზე დაყრდნობით შოულობს საარსებო რესურსს. წარმოიდგინეთ, ბათუმში რამდენიმე საათის განმავლობაში უნდა ესეირნა 800 მდიდარ ტურისტს — ასეთი გემები ხომ, ძირითადად, მდიდარ ტურისტებს დაატარებენ. მათ უნდა მოევლოთ ბათუმის კაფეები და რესტორნები, დაეგემოვნებინათ ჩვენი ეროვნული კერძები, მოენახულებინათ ღირსშესანიშნაობები, შეეძინათ სუვენირები და ნივთები. მდიდარი ადამიანებით ბორტზე მსგავსი ლაინერი ბათუმში წლებია, არ შემოსულა! **თითო ტურისტს 200 დოლარიც რომ დაეხარჯა, ჯამში მილიონნახევარ დოლარზე მეტი გამოდის... ეს თანხა აჭარის და მისი მოსახლეობის სასარგებლოდ აისახებოდა!** საქართველოს პირწავარდნილი მტრის გარდა, ასეთ მუხანათურ აქციას სხვა არავინ ჩაიფიქრებდა!

***— და მაინც, ვინ დაგეგმა აურზაური ბათუმში? გემის გაძევების სამარცხვინო აქციას მხურვალედ მიესალმა ვადაგასული კელი დეგნანი. კვალი კვლავ აშშ-ის საელჩოსკენ მიდის?***

— მთელ აქციას შეადგენდა 36 ადამიანი და ყველა მათგანის ვინაობა ცნობილია. ჩემი ნება რომ იყოს, მათ სათითაოდ „კარცერ-ლუქსში“ ჩავსვამდი და „სტუმარ-მასპინძლის“ დაზეპირებამდე მზის სინათლეს არ დავანახვებდი, მაგრამ საქმე გაცილებით რთულადაა. **მაქვს ინფორმაცია, რომ ეს აქცია ამერიკის კი არა, ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ჩაიფიქრეს. მათი მთავარი მიზანია, ქართული ლარი გაუფასურდეს და ასეც მოხდება, თუ მსგავსი შინაარსის გამოხდომები მომავალშიც გაგრძელდება.** არ გამოვრიცხავ, ბათუმის აქცია იყო მე-5 კოლონის გამოძახილი პრემიერ ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტთან დაკავშირებით... ამასთან, გარკვეულ მინიშნებად ჩავთვალე ჩინეთის ლიდერ **სი ძინპინის** ერთი ფრაზა — **იმის მიუხედავად, თუ ქართველები მომავალში რა ორიენტაციას აირჩევთ, მაინც თქვენს პარტნიორებად დავრჩებითო...**

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ რუსეთმა უკვე გაიფორმა ყველაფერი, რაც საქართველოსგან სჭირდებოდა. ის ფლობს სტრატეგიულ ობიექტებს, ასევე სამხედრო ბაზებს — სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. რუსებს დანარჩენი საქართველო აღარაფერში სჭირდება და მხოლოდ „ზედმეტი თავის ტკივილია“, თურქეთს კი შუა აზიის თურქულენოვან რესპუბლიკებთან დერეფნის გასატარებლად საქართველო გზად ელობება... გიფიქრიათ, რაზე შეიძლება მოილაპარაკონ ერთმანეთთან რუსეთმა და თურქეთმა? არ გამოვრიცხავ, მოხდეს საქართველოსთვის საბედისწერო მოვლენა — თურქეთმა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ საქართველოში ნატოს ჯარები არ შემოვლენ; გადაიბაროს რუსეთის სტრატეგიული ინტერესები და რუსეთის მოქალაქეებზე ზრუნვა, სანაცვლოდ კი რუსეთისაგან მიიღოს შუა აზიისკენ დერეფნის გაჭრის უფლება! აი, რა შედეგს მოიტანს რუსი ტურისტების შეურაცხყოფა, რუსული დროშების ფეხქვეშ დაგება და რუსების შეგუება იმ აზრთან, რომ საქართველო მათ მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყანაა. სხვა მხრივ, **35-კაციანი აგრესიული მიტინგები ტერიტორიებს ვერ დაგვიბრუნებს!** ამიტომ დავფიქრდეთ, ქართველებო, მართლაც 35 ნაძირალას „გამოხატვის თავისუფლებას“ არ გადავაყოლოთ ჩვენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ მხარე!

***— ბათუმში პროვოკატორი უკრაინელები დააკავეს, რომლებიც ნაცების საპროტესტო აქციაში იღებდნენ მონაწილეობას.***

— საქართველოს უშიშროების სამსახური ვალდებულია, ასეთი ადამიანები არამხოლოდ დააჯარიმოს, არამედ საქართველოდან გააძევოს კიდეც. საგანგაშოა, როდესაც უცხოელები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის ძირგამომთხრელ აქციაში მონაწილეობენ! სხვათაშორის, დაკავებულთაგან რამდენიმე ადამიანი მეტამფეტამინით თრობის ქვეშ იყო, როგორც 7-8 მარტის აქციების შემდეგ დაკავებული მომიტინგეების ნაწილი და წინასწარი დაკავების იზოლატორებთან სასწრაფო სასწრაფოზე მიდიოდა მათ გადასარჩენად! ცნობილია, რომ ეს ნარკოტიკი იწვევს აღგზნებას, ენერგიის გამოყოფას და ეგზალტირებულ ქმედებებს. **სააკაშვილიც ხომ თავისი შლეგური ნაბიჯების უმეტესობას ამ ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ დგამდა!**

***— სად არის გამოსავალი?***

— „გამოხატვის უფლება“ მარგინალი 35 ნაცის გარდა, დანარჩენ მოსახლეობასაც გაგვაჩნია, რომელიც აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოვადგენთ. ხელისუფლებამ უნდა მისცეს საშუალება აჭარის მოსახლეობას, ჯეროვანი პასუხი გასცენ პროვოკაციებს, რომელიც ჯამში აჭარლების გაკოტრებას ისახავს მიზნად! საქართველოს მთელი მოსახლეობა უნდა გავერთიანდეთ, პროვოკაციის ადგილზე ჩავიდეთ, რამდენიმე ათეული პროვოკატორი ათასობით განრისხებული მოქალაქის გარემოცვაში მოვაქციოთ და შევახსენოთ, რომ უცხოეთიდან მიღებული დავალებების შესრულების საშუალებას არ მივცემთ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## სტალინიზმს ხშირად ადარებენ ბონაპარტიზმს, სტალინს კი – ნაპოლეონს. თუკი მათ შორის მართლაც ბევრი საერთოა, არსებობს თუ არა ოდესმე სტალინიზმის აღორძინების შესაძლებლობა, როგორც ეს საფრანგეთში ნაპოლეონ მე-3-ის დროს მოხდა?



**სტალინის** შედარება **ნაპოლეონთან,** როგორც თავად **ბელადი** იტყოდა, არა მხოლოდ სარისკო, უაზროც არის. გავიხსენოთ, გერმანელ მწერალ **ემილ ლუდვიგთან** საუბრისას მან კატეგორიულად უარყო **პეტრე დიდთან** შედარება. არადა, ეს შედარება, ჩვენი აზრით, ბევრად უფრო გამართლებულია. **პეტრემ** მემკვიდრეობით ნახევრად ბარბაროსული ქვეყანა მიიღო, რომელსაც არმია და ფლოტი არ ჰყავდა, მრეწველობის ჩანასახიც არ ჰქონდა და იგი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა რიცხვში მოაქცია. **სტალინმა** კი, როგორც **ჩერჩილი** აღნიშნავდა, **„კავიანი რუსეთი ჩაიბარა და ატომური იარაღით აღჭურვილი დატოვა იგი“.**

ახლა თქვენ მიერ შემოთავაზებული შედარება განვიხილოთ. საბჭოთა ხალხის ბელადსა და ფრანგების იმპერატორს შორის საერთო შეიძლება მხოლოდ იმაში დავინახოთ, რომ ორივენი რევოლუციის პროდუქტები იყვნენ, ორივე ფლობდა სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნეს და მხედართმთავრულ გენიას. ამავე დროს, **ნაპოლეონი მხედართმთავარი უფროა, ვიდრე პოლიტიკოსი. სტალინი კი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი თანაბრად იყო.** **ნაპოლეონი** აგრესორია, მთელი მისი მოღვაწეობა დაუსრულებელ პერმანენტულ ომებშია. **სტალინი** კი არნახულად მოკლე ვადაში უმძლავრესი ინდუსტრიის მშენებელი გახლავთ. ამასთან, **სტალინმა** შექმნა საზოგადოებრივი ურთიერთობების აბსოლუტურად ახალი სისტემა, ხალხებისა და ერების აბსოლუტურად ახალი, თავისი არსით სრულიად თანაბარუფლებიანი თანამეგობრობა; **ნაპოლეონი** კი საფრანგეთის ეგიდით ხალხთა ულმობელი დამპყრობელია. ამ მხრივ **ნაპოლეონი** შეიძლება **ჰიტლერს** უფრო შევადაროთ, რა თქმა უნდა, რასობრივი არასრულფასოვნების და გენოციდის ჰიტლერული იდეის გამოკლებით. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ **ნაპოლეონი** ხელისუფლებაში სამხედრო შეთქმულების გზით მივიდა. **სტალინი** კი, ფაქტობრივად, **ლენინის** მემკვიდრე იყო და ხელისუფლების წინააღმდეგ არანაირ შეთქმულებაში არ მონაწილეობდა.

დაბოლოს, საფრანგეთის იმპერატორის მთელი ბრწყინვალე მოღვაწეობა გრანდიოზული კატასტროფით დასრულდა, თვითონ კი ინგლისელების ტყვე გახდა; ხოლო **სტალინი** იმქვეყნად დაუმარცხებელი წავიდა და დიადი სახელმწიფო დატოვა, რომელმაც კიდევ რამდენიმე ათწლეული იარსება. თუმცა, სამართლიანი იქნება, აღვნიშნოთ, რომ მისი შემცვლელების მეცადინეობით წლიდან წლამდე კნინდებოდა და კატასტროფა ჩვენ თვალწინ განიცადა.



შესაძლებელია თუ არა **სტალინიზმის აღორძინება,** ისევე, როგორც საფრანგეთში **ბონაპარტიზმი აღორძინდა?** მსგავსი რამის წინასწარმეტყველება ფრიად საეჭვო საქმიანობაა. რა გზით წავა კაცობრიობა უახლოეს თუ შორეულ მომავალში, ძნელი სათქმელია. ამავე დროს, ვფიქრობ, არ უნდა დავივიწყოთ მარქსის სიტყვები, რომ **„ისტორია მეორდება, ერთხელ, როგორც ტრაგედია, მეორედ — როგორც ფარსი“.** ხელისუფლებაში კვლავაც გადატრიალების გზით **ლუი ბონაპარტის** (იმპერატორი ნაპოლეონ III) მისვლა სწორედ ასეთი ისტორიული ფარსი გახლდათ. ძმისწულს, ავანტიურიზმის გარდა, დიადი ბიძის არცერთი თვისება არ გააჩნდა. ტყუილად როდი უწოდებდა **ვიქტორ ჰიუგო** მას **„მცირე იმპერატორს“.**





ემილ ლუდვიგთან საუბრისას მან კატეგორიულად უარყო პეტრე დიდთან შედარება.

ნუ დავიწყებთ განსჯას, შეიძლება თუ არა პოსტსაბჭოთა სივრცეში — ტრაგედიად თუ ფარსად — ისტორიის გამეორება. ერთადერთს ვიტყვით — ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ ქვეყნებში შექმნილი „დემოკრატიული“ განუკითხაობის შედეგად, მოენატრათ წესრიგი, მშვიდი და თუნდაც მინიმალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება და მათი ლტოლვა **სტალინის** სახელისა და საქმეებისაკენ..

რაც შეეხება რუსეთში **სტალინური წესრიგის დამყარების რაიმე ნიშნებს, ვერ ვხედავ.**

## ბერიას ყოფილი მძღოლის მოგონებებში წავიკითხე, თითქოს 1937 წელს თბილისის შემოგარენში ყოველღამე 600 ადამიანს ხვრეტდნენ, ბულდოზერებით ორმოებს თხრიდნენ და მოკლულებსა და დაჭრილებს ერთად ყრიდნენ შიგ. როგორც ვიცი, მაშინ ბულდოზერები ჯერ არ იყო. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. დავიწყოთ იმით, რომ ბულდოზერები იმ დროს უკვე არსებობდა, ისინი 20-იანი წლების დასასრულ ინგლისში გამოიგონეს და 30-იან წლებში უკვე გამოიყენებოდა სახალხო მეურნეობაში. თუმცა, ჩემი აზრით, სსრკ-ში ეს ტექნიკა ჯერ დამკვიდრებული არ იქნებოდა, მითუმეტეს, ისეთი საქმისათვის, როგორიც დახვრეტილთა საფლავების თხრაა. მაგრამ რა განსხვავებაა, როგორ და რით ითხრებოდა ეს საფლავები? მთავარია, რომ სიკვდილმისჯილებს ისინი გამზადებული ხვდებოდა დღევანდელი ვაკე-საბურთალოს გზის, ფონიჭალისა და სოღანლუღის რაიონებში, სადაც, როგორც წესი, ღამღამობით დახვრეტა ხორციელდებოდა. ის, რომ ასეთი ეგზეკუციები ნამდვილად ტარდებოდა, დასტურებულია. ვაკე-საბურთალოს გზის მშენებლობისას ბულდოზერის ციცხვს ხშირად მოჰყვებოდა ბედკრულ მსხვერპლთა თავის ქალები და ძვლები. შეიძლება ვიდავოთ ციფრებზე, რამეთუ არანაირი სტატისტიკა არ გაგვაჩნია. შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ამ სისხლიანი აქციების სიხშირეში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — სიკვდილით დასჯა ხდებოდა და **1937 და შემდგომ წლებს ბევრი ემსხვერპლა.**

რა თქმა უნდა, ციფრი **600,** როგორც ჩანს, თითიდან არის გამოწოვილი. იმ დროს საქართველოს **НКВД**-ს ხელმძღვანელმა **სერგო გოგლიძემ 1953 წლის ივლისში** გამოძიებას აჩვენა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის არსებობდა სსრკ **НКВД**-ს განწესი გამოვლენილი და დაპატიმრებული ხალხის მტრებთან დაკავშირებით. მას ხელს მაშინდელი სახკომი **ნიკოლაი ეჟოვი** აწერდა. საქართველოსთვის ეს „ლიმიტი“ წელიწადში 2 ათას ადამიანს შეადგენდა. მისი შეუსრულებლობისათვის რესპუბლიკის **НКВД**-ს ხელმძღვანელი თვითონვე წააგებდა თავს. ასე რომ, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ეს ბრძანება სრულდებოდა და, შესაძლოა, გადაჭარბებითაც. თუმცა, ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა დაპატიმრებული „ხალხის მტერი“ როდი იღებდა სასიკვდილო განაჩენს, უმრავლესობას ბანაკებში სხვადასხვა ვადით პატიმრობას უსჯიდნენ. ასე რომ, ზემოთ მოყვანილი ციფრიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **1937 წელს საქართველოში 2 ათასზე მეტი ადამიანი არ დაუხვრეტიათ, ან, იქნებ, დასახელებული ციფრი 600 სწორედ ამ წლის მსხვერპლის რაოდენობას აღნიშნავს.**

აი ის, რისი თქმაც თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე ყოველგვარი სტატისტიკური მონაცემების გარეშე შევძელით.

## ი. სტალინის დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო მიტინგზე მოლოტოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მალენკოვისა და ბერიას გამოსვლებისაგან. საინტერესოა, რა სიტყვა წარმოთქვა მოლოტოვმა?

**1953 წლის 9 მარტს სამგლოვიარო მიტინგზე, რომელიც დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ნ. ხრუშჩოვმა** გახსნა, სიტყვით გამოვიდა სამი საბჭოთა ხელმძღვანელი: პირველი — **გ. მალენკოვი,** შემდეგ — **ლ. ბერია,** ბოლოს კი — **ვ. მოლოტოვი.** სწორედ ეს ოთხეული ჩაუდგა სათავეში სახელმწიფოს **სტალინის** გარდაცვალების შემდეგ. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის **მოლოტოვის** ყოფნა უფრო სიმბოლური იყო. სრულუფლებიან ტრიუმვირატს — **მალენკოვი-ბერია-ხრუშჩოვი** — რომელშიც მთავარი როლი, უდავოდ, **ლ. ბერიას** ეკუთვნოდა, **მოლოტოვის** ფიგურა წარმომადგენლობისათვის სჭირდებოდა, იმის მაჩვენებლად, რომ ახალი ხელმძღვანელობა ძველ ტრადიციებს იცავს.

ახლა გამოსვლების შინაარსზე გადავიდეთ. **მალენკოვის** სიტყვა **ლენინის** კუბოსთან **სტალინის** მიერ წარმოთქმული ცნობილი **„ფიცის“** ყაიდაზე იყო აგებული, თუმცა, სტალინური ბრწყინვალების გარეშე წარმოთქმული. **სტალინის** რეფრენი **„გეფიცებით, ამხანაგო ლენინ“, მალენკოვმა** შეცვალა ფრაზით **„ჩვენი წმინდა მოვალეობა იმაშია, რომ...“** , რომელიც მთელი გამოსვლის განმავლობაში მეორდებოდა.

**ბერიამ** სხვა სტილისტური ხერხი აირჩია — გამეორება **„ვინც ბრმა არ არის, დაინახავს“** (რომ პარტია ახლა ისეთი ძლიერია, როგორც არასოდეს, რომ ქვეყნის სიმძლავრე წლიდან წლამდე იზრდება და ა. შ.). რაც შეეხება **მოლოტოვის** გამოსვლას, ის ყოველგვარ სტილისტურ სამშვენისებს მოკლებული იყო. ეს იყო სიტყვა, რომელიც პატივს მიაგებდა გარდაცვლილ ბელადს, აღნიშნავდა მის დიად მიღწევებს, მის მიერ განვლილ გზას და ეთხოვებოდა. მოკლედ, ის არაფრით გამოირჩეოდა, ხოლო ტექსტით და აგებულებით **მალენკოვისა** და **ბერიას** გამოსვლებს ჩამოუვარდებოდა. მთელი სხვაობა, ალბათ, იმაშია, რომ მოლოტოვამდე სამივე გამომსვლელმა თავიანთი სიტყვები მშვიდად, ხალისიანადაც კი წარმოთქვეს, თითქოს სამგლოვიარო კი არა, საზეიმო მიტინგზე გამოდიოდნენ. **მოლოტოვი კი ტიროდა და ცრემლებს არ მალავდა.**



სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ მოლოტოვი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე **ბელადის ერთგული დარჩა. მალენკოვმა** თავის „ფიცს“ უღალატა. **ხრუშჩოვმა** განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და, პარტიისა და ქვეყნის სათავეში მისვლისთანავე, **სტალინის** პოლიტიკურად დასამარებაც მოიწადინა, რაც, ბუნებრივია, არ გამოუვიდა.

**ბერიას შესახებ კი ყველამ ვიცით, რომ „ბრმა“ ამ შემთხვევაში თვითონვე აღმოჩნდა და მის ზურგს უკან ხრუშჩოვის მიერ გაბმული შეთქმულების ქსელი ვერ შენიშნა.**




გენერალისიმუსი
2023 წლის 7 აგვისტო, № 43-44 (211-212)

**სარედაქციო კოლეგია**
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ИГОР КВЕСЕЛАВАС***

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ იგორ კვესელავას განცხადებით, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ სქემა, რომლითაც გლობალურმა დასავლეთმა ზვიად გამსახურდია დაამხო, ჩვენს ქვეყანაში ისევ აამოქმედონ, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა სურს:***

— რუსეთს რომ თავი დავანებოთ, ევროპისა და ამერიკის მიდგომა ზვიად გამსახურდიას პერსონისა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი ძალიან უსამართლო იყო. ზვიად გამსახურდიას ფენომენი დასავლეთმა სათავისოდ ვერ გამოიყენა და ამის გამო არამარტო კავკასიაში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულად ფორმირების შანსი ხელიდან გაუსხლტა. უფრო მეტიც, **გლობალურმა დასავლეთმა გამოიჩინა გასაოცარი პოლიტიკური სიბეცე და შევარდნაძეს გადააყოლა ზვიად გამსახურდიას თავისუფალი საქართველო.** ცნობილი დისიდენტი **ისაია გოლდშტეინი** ამიტომაც დანანებით აღნიშნავდა — *„ოპოზიცია და დასავლეთის პრესა უსამართლოდ ამახვილებდნენ ყურადღებას შეცდომებზე, რომელიც ჰქონდა ზვიად გამსახურდიას, მაგრამ საერთოდ არ ახსენებდნენ და გვერდს უვლიდნენ წარმატებებს!“*

ზვიად გამსახურდიას ეს „შეცდომები“ რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტის **თენგიზ გუდავას,** ასევე მისი ძმის — **ედუარდ გუდავასა** და ვინმე **ვალერი ჭალაძის** მეშვეობით, სწრაფად ვრცელდებოდა დასავლურ მედიაში. დარწმუნებული ვარ, როგორც **გიორგი ჭანტურიას, ირინა სარიშვილისა** და მთელი მაშინდელი ე.წ. ოპოზიციის უკან იდგა **ედუარდ შევარდნაძე,** რომელიც თავისი ხელისბიჭების მეშვეობით ყველას ფულს აძლევდა და მოსკოვში პრესკონფერენციებს ატარებინებდა.

ამერიკელი სოვეტოლოგი, დოქტორი **რიჩარდ ფაიფსი** ამაოდ ირწმუნებოდა — *„პრეტენზიები, რომელიც ზვიად გამსახურდიას მიმართ გაისმის, კრიტიკას ვერ უძლებს!“* საქმეს ყველანაირად ეტყობოდა, რომ ეს იყო დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ და მთელი ამ ამბის ტრაგიზმი ის გახლავთ, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ზედმიწევნით ზუსტად იცოდა ზვიად გამსახურდიამ.

**— ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობა ოფიციალურად დაგმობილი აქვს?**

— სამარცხვინო ფაქტი ფაქტად რჩება — **ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობა დღემდე არ დაუგმია!** სწორედ ამიტომ იყო, რომ 1992 წელს გაზეთი „თაიმსი“ საქართველოს შესახებ წერდა — *„საზღვარგარეთელი დემოკრატები კარგად უნდა ჩაფიქრებოდნენ თავიანთ ზნეობრივ არჩევანს, რადგან მათ უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადეს ძალადობას!“* ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზვიად გამსახურდია ცამდე მართალი იყო, როცა ამერიკის პრეზიდენტს **ჯორჯ ბუშსა (უფროსი)** და სახელმწიფო მდივანს **ჯეიმს ბეიკერს** სწერდა — *„დემოკრატია გადაიქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თვითნებურად ხმარობენ დასავლეთის ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესის შესანიღბავად. როცა დასავლეთის მთავრობებს სურთ რომელიმე რეგიონში თავიანთი გავლენის ან სამხედრო ყოფნის გაძლიერება, მაშინ ისინი პირველ რიგში ამ ქვეყნის მთავრობის მოსყიდვას შეეცდებიან, ხოლო, თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, მაშინ, უბრალოდ, ჩამოაგდებენ-ხოლმე კანონიერ ხელისუფლებას!“*

ეს არის თანამედროვე გლობალური დასავლეთის პოლიტიკური ცხოვრების მატრიცა, რომელიც ზვიად გამსახურდიამ თავიდან ბოლომდე გაშიფრა. გლობალური დასავლეთი სწორედ ასე იბრძვის და მოქმედებს დღესაც და **მაქვს ძალიან სერიოზული შიში იმისა, რომ ამ სქემას აუცილებლად აამოქმედებენ საქართველოში, რადგან ამერიკას ამ ხელისუფლების დამხობა აშკარად განზრახული აქვს!**

**— რა არის საქართველოში ამერიკის მთავარი მიზანი?**

## — ამერიკის მთავარი მიზანი ახლაც ის არის, რისთვისაც 1992 წლის 7 მარტს თბილისში შევარდნაძე ჩამოიყვანეს – ქვეყნის გაკონტროლება!

ამერიკას მაშინაც ეგონა, რომ შევარდნაძის საშუალებით საქართველოს გააკონტროლებდა, მაგრამ ქვეყანა საშინელ ომსა და უბედურებაში გახვეული აღმოჩნდა. ამერიკის ტრაგედია ის გახლავთ, რომ მცირე ერებსა და მათ სასიცოცხლო ინტერესებს არ ცნობს. **ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ მსოფლიოში პოლიტიკას მხოლოდ ისინი ქმნიან და ყველა დანარჩენი ამ პოლიტიკას უნდა დაემორჩილოს, რაც სრული სიგიჟეა.** სწორედ ამის გამო დაუპირისპირდნენ ისინი **ზვიად გამსახურდიას,** რომელიც მოიშორეს და მოკლეს. ზვიად გამსახურდიას მთავარი პრობლემა ის გახლდათ, რომ, შევარდნაძისგან განსხვავებით, თამაში არ შეეძლო. ზნეობრივი პოლიტიკის ჩარჩოს არ გასცდენია და არც უთამაშია, თორემ ზოგ-ზოგიერთები რომ დაენიშნა იქ, რისი სურვილიც მათ კლავდათ, ზვიადი ისეთივე სასურველი გახდებოდა ე.წ. „წითელი ინტელიგენციისათვის“, როგორც ედუარდ შევარდნაძე.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ე.წ. „წითელი ინტელიგენცია“ ზვიად გამსახურდიასაც დაუწვებოდა?**

— ვისთან არ დაწოლილან, ზვიადის წინაშე რომ არ დაწოლილიყვნენ?! ჩვენ გვყავდა და დღემდე გვყავს ე.წ. „ინტელიგენცია“, რომელიც ვასილ მჟავანაძის პერიოდიდან მოყოლებული, ყველა ცეკას პირველი მდივნის პოლიტიკურ სარეცელშია ნაგორავები! მჟავანაძის შემდეგ ისინი დაუწვნენ **შევარდნაძეს,** მერე — **ჯუმბერ პატიაშვილს,** მერე — **გივი გუმბარიძეს,** მერე — **კიტოვანსა და ჯაბას,** მერე — ისევ **შევარდნაძეს,** მერე — **სააკაშვილს** და ახლა **ივანიშვილის** კარზე არიან ატუზული. თუ სიტუაცია შეიცვალა, ისინი ისევ სააკაშვილს დაუწვებიან. **ერთადერთი, ვინც ისინი არ გაიკარა, სწორედ ზვიად გამსახურდია იყო, რადგან საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მამამისისგან, დიდი კონსტანტინე გამსახურდიასგან იცოდა, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები სინამდვილეში.** დიახ, მან იცოდა, რომ ამათი ნდობა არ შეიძლებოდა, რადგან შევარდნაძე ცეკას მდივნობის დროს ცეკას იდეოლოგიურ განყოფილებას საგანგებოდ აყალიბებინებდა და ქმნიდა ე.წ. კონსტრუქციულ ოპოზიციას, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ხელისუფლების კრიტიკაში გაწაფული, ე.წ. „ნებადართულ დისიდენტთა“ ერთობა. მოკლედ, **ნამდვილ დისიდენტებთან და ეროვნულ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად ედუარდ შევარდნაძემ ცეკას იდეოლოგიურ განყოფილებას შეაქმნევინა ე.წ. „სახელისუფლებო-დისიდენტური მოძრაობა“, რომელსაც წარმოადგენდნენ: აკაკი ბაქრაძე, ოთარ იოსელიანი, გიგა ლორთქიფანიძე, კიტა ბუაჩიძე, რეზო თაბუკაშვილი, ელდარ და გიორგი შენგელაიები, რეზო ჯაფარიძე, რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ლანა ღოღობერიძე და სხვ.**

**— რატომ არ წავიდა ზვიადი ამ ხალხთან გარიგებაზე? ასეთი ნაბიჯი რომ გადაედგა, გამსახურდია ხელისუფლებას შეინარჩუნებდა?**

— ზვიადი ამაზე ვერ წავიდა, რადგან შევარდნაძესავით მოთამაშე კაცი არ იყო. რომ ეთამაშა და ინტელიგენცია შევარდნაძის მსგავსად მოესყიდა, შესაძლოა, რაღაც პერიოდით ხელისუფლება დამხობას გადაერჩინა, მაგრამ ბოლოს მაინც დაამხობდნენ და ზვიად გამსახურდია საქართველოს ისტორიაში სულ სხვა სახელით შევიდოდა. **დამონების მიზნით ინტელიგენციის მოსყიდვა პირდაპირ შევარდნაძის ხელწერაა, ასეთი რამ ვასილ მჟავანაძის დროს არ ხდებოდა!** შევარდნაძემ მჟავანაძის ეპოქიდან მოყოლებული ითამაშა და ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ საქართველო დამარცხდა.



# იგორ კვესელავა:

# ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ზვიად გამსახურდიასა და მისი ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობა დღემდე არ დაუგმია!






### მელორ სტურუა:

### დისიდენტ ზვიად გამსახურდიას სრული ტრანსფორმაცია პრეზიდენტ გამსახურდიად ვერ მოხერხდა და იგი პრეზიდენტ-დისიდენტად დარჩა!

### კლარა აბრამია:

## ედუარდ შევარდნაძე აგვა-მაღლებს!



ამერიკაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ჟურნალისტი **მელორ სტურუა** წერდა — **„საქართველოში შევარდნაძის მოღვაწეობის ჟამს მრავალმა წვიმიანმა ღამემ გადაიარა!“** შევარდნაძე მაშინაც თამაშობდა, როცა 1992 წლის გაზეთ „განათლების“ ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა 1992 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული თბილისის 117-ე სკოლის მეორე კლასის მოსწავლის **ნანა რაზმაძის** გაურანდავი, გაუშალაშინებელი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: *„მე ძალიან მიყვარს ედუარდ შევარდნაძე. მე ძალიან მიხარია, რომ საყვარელი შევარდნაძე არის საქართველოს პატრონი. ნამდვილად მჯერავს, რომ ედუარდ შევარდნაძე დააყენებს ჩვენი საყვარელი საქართველო ფეხზე! ნანა რაზმაძე. 117-ე სკოლის მეორე კლასი, 1992 წლის 12 ოქტომბერი.“*

ცხადია, ეს წერილი ამ ბავშვს დააწერინეს და, რათა მეტი დამაჯერებლობა მიეცათ, წერილში განგებ დაუშვეს ისეთი შეცდომები, რაც მეორეკლასელი ბავშვისთვის დამახასიათებელია. შევარდნაძემ ამ ბავშვის წერილს გაზეთის იმავე ნომერში უპასუხა და მეორეკლასელ ნანა რაზმაძეს მადლობაც გადაუხადა. **ცხადია, ეს იყო უბინძურესი პოლიტიკური თამაში, სპექტაკლი, რომელშიც მეორეკლასელი გოგონაც კი გარიეს...** შევარდნაძის მიერ წამოწყებული ამორალური პოლიტიკური თამაში ბოლოს ყველა ზღვარს გასცდა და იმდენად მახინჯი და ამაზრზენი ფორმა მიიღო, რომ ჟურნალისტმა **კლარა აბრამიამ** ედუარდ შევარდნაძის „ათი მცნებაც“ კი „ჩამოაყალიბა“!

**— როგორ გამოიყურებოდა ედუარდ შევარდნაძის „ათი მცნება“?**

— პოლიტიკური პროსტიტუციის მსგავსი მასშტაბი და პრეცედენტი კაცობრიობის ისტორიამ არ იცის! **კლარია აბრამიას** მიერ „შემუშავებული“ **„ედუარდ შევარდნაძის „ათი მცნება“** ასე გამოიყურება:

*1. ედუარდ შევარდნაძე ქართველია!*
*2. ედუარდ შევარდნაძე უნიჭიერესი პიროვნებაა!*
*3. ედუარდ შევარდნაძე საერთაშორისო რანგის პოლიტიკოსია!*
*4. ედუარდ შევარდნაძეს არასოდეს წაუგია!*
*5. ედუარდ შევარდნაძე შეგვარიგებს!*
*6. ედუარდ შევარდნაძე აგვამაღლებს!*
*7. ედუარდ შევარდნაძე მისაბაძია!*
*8. ედუარდ შევარდნაძე მიმტევებელია!*
*9. ედუარდ შევარდნაძე მომნანიებელია!*
*10. ედუარდ შევარდნაძე კაცია!*

საქართველოს საუბედუროდ, **კლარა აბრამიას** მსგავსად, შევარდნაძის სიყვარულმა ბევრი გააგიჟა. აი, მაგალითად, 1992 წლის შემოდგომაზე გა-

გაგრძელება 22-ე გვერდზე

# იგორ კვესელავა:

## ჩვენ გვყავდა და დღემდე გვყავს ე.წ. „ინტელიგენცია“, რომელიც ვასილ მჟავანაძის პერიოდიდან მოყოლებული, ყველა ცეკას პირველი მდივნის პოლიტიკურ სარეცელშია ნაგორავები!



ვასილ მჟავანაძე, ედუარდ შევარდნაძე, ჯუმბერ პატიაშვილი

დასაწყისი 21-ე გვერდზე

ზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჟურნალისტი **ბიორგი პაპუაშვილი** წერდა: *„თუ მსოფლიოში ყველაზე დიდი პოლიტიკოსი მეთაურად ავირჩიეთ, უნდა ვერწმუნოთ კიდეც აღებული პოლიტიკური კურსის სისწორეში!“* ზოგიერთმა შევარდნაძის დიქტატურა საქართველოში „კანონისა და გონის დიქტატურას“ შეადარა.

**— მაინც ვინ შეადარა?**

— საქართველოში გამოვიდა წიგნი ასეთი სათაურით — **„ედუარდ შევარდნაძე — გონების მოქცევა საქართველოში.“** წიგნს ჰყავს სამი ავტორი — **გია ბარამიძე, ირაკლი ბრაჭული და თემურ ფიფია.** ეს უკანასკნელი შევარდნაძესთან მუშაობდა... შევარდნაძისგან განსხვავებით, რომელმაც საქართველო დააქცია, ბიძინა ივანიშვილს საქართველოსთვის უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, მაგრამ ბიძინას შესახებაც რომ გამოვიდეს მსგავსი წიგნი, ამას თავად ბიძინამ არ უნდა დაუკრას ტაში. დარწმუნებული ვარ, ეს არც მოხდება!

1994 წლის იანვარში ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა **მელორ სტურუამ** გაზეთ „იზვესტიაში“ გამოაქვეყნა წერილი — **„ზვიად გამსახურდიას ტრიუმფი და ტრაგედია“,** სადაც ძალიან ბევრი აბსურდული და საკამათო დებულებაა გამოთქმული. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს — *„დისიდენტები მეტისმეტად შორს იდგნენ ხალხისგან, საზოგადოების თვალში ეკლად იქცნენ და დაკარგეს აწმყოსა და მომავლის ჭვრეტის უნარი... დისიდენტ ზვიად გამსახურდიას სრული ტრანსფორმაცია პრეზიდენტ გამსახურდიად ვერ მოხერხდა და იგი პრეზიდენტ-დისიდენტად დარჩა! **ზვიად გამსახურდიას დისიდენტობას საფუძვლად დემოკრატიული იდეა არ ედო, არამედ ეროვნული იდეა ედო...** ზვიადი პიროვნების კი არა, საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდა! ზვიადისთვის საკუთარი და ზოგადეროვნული ერთ მთლიანობად გაერთიანდა. აქედან მომდინარეობდა მისი შეუდარებელი ქარიზმა და რწმენა. მას სჯეროდა საქართველოს მხსნელის როლის და გულწრფელად სწამდა თავისი ერის დანიშნულება! ზვიადმა საქართველო კაპიტალიზმისკენ კი არა, ფეოდალიზმისკენ წაიყვანა!“*

**— შევარდნაძემ საითკენ წაიყვანა საქართველოო?**

— სტურუა ამის შესახებ არაფერს წერს... აი, ასეთი საკამათო და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებით გახლავთ დახუნძლული მელორ სტურუას ზემოხსენებული წერილი, რომელიც წლების განმავლობაში ჯერ დიდ ბრიტანეთსა და შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაზეთ „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო...

***ესაუბრა***

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**„მჟავანაძის შემდეგ ისინი დაუწვნენ შევარდნაძეს, მერე – ჯუმბერ პატიაშვილს, მერე – გივი გუმბარიძეს, მერე – კიტოვანსა და ჯაბას, მერე – ისევ შევარდნაძეს, მერე – სააკაშვილს და ახლა ივანიშვილის კარზე არიან ატუზული!“**



გივი გუმბარიძე, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი



***ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტს, 77 წლის დონალდ ტრამპს, რომელიც მომავალ წელს კვლავ აპირებს პრეზიდენტად კენჭისყრას, სისხლის სამართლის მორიგი ბრალდება წაუყენეს — მას ამჯერად 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმების მცდელობას ედავებიან.***




არასამთავრობო ორგანიზაცია „ისფედის“ დირექტორი ნინო დოლიძე

# იმიტომ, რომ საქართველოში არის ამერიკის საელჩო!

უფრო კონკრეტულად, **ტრამპის საბრალდებო დასკვნა,** რომელიც სპეციალურმა პროკურორმა **ჯეკ სმიტმა** შეადგინა, ოთხი პუნქტისაგან შედგება — **შეთქმულება აშშ-ის მოტყუების მიზნით; შეთქმულება ოფიციალური პროცედურებისათვის ხელის შეშლით მიზნით; ოფიციალური პროცედურებისათვის ხელის შეშლის მცდელობა და შეთქმულება მოქალაქეთა უფლებების დარღვევის მიზნით.**

ბრალდების ოფიციალურად წარდგენის სამართლებრივი პროცედურა ტრამპის ფორმალურ დაკავებას ითვალისწინებდა, რაც მოხდა კიდეც ვაშინგტონში ამა წლის 3 აგვისტოს. მანამდე **აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა** სოციალურ ქსელში დაწერა:

> ***„ახლა ვაშინგტონში მივდივარ, რათა დამაკავონ იმისათვის, რომ კორუმპირებულ, გაყალბებულ და მოპარულ არჩევნებს დავუპირისპირდი. ეს დიდი პატივია, რადგან მე თქვენთვის მაკავებენ. კვლავ გავხადოთ ამერიკა დიადი!!!“***

მას შემდეგ, რაც ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს და ფორმალური დაკავებიდან გაათავისუფლეს, **ტრამპმა** განაცხადა:

> ***„ეს ძალიან სევდიანი დღეა ამერიკისათვის. ასევე ძალიან სევდიანი იყო ვაშინგტონში ამ სიბინძურის დანახვა. ეს არ არის ადგილი, რომელიც მე დავტოვე“.***




ტრამპის წინააღმდეგ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნა თავიდან ბოლომდე პოლიტიკურ მოტივებსა და მიზნებს რომ ეფუძნება, ამაში ღრმად არის დარწმუნებული ყველა, ვისთვისაც ნეოლიბერალურ პროპაგანდას ტვინი ბოლომდე არ გამოურეცხავს და საღი აზროვნების უნარი შერჩენია.

აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი **ბაიდენი,** რომელიც ზედმიწევნით ამართლებს ტრამპის მიერ მისთვის ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ შერქმეულ მეტსახელს — **„მძინარე ჯოს“,** მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს და ცდილობს,

## კვირგვინოსნები



**ქეთი დეგნანი**

*საქართველოში აშშ-ის ელჩი*

**არავინ უნდა ელოდოს ქართველებისგან,** რომ მიესალმებიან ხალხს იმ ქვეყნიდან, რომელსაც **საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული.**

„ინტერპრესნიუსი“



**ამირან სალუქვაძე**

*ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში*

იმედია, **ამერიკის ახალი ელჩი** საქართველოში **ოპოზიციის ელჩი** კი არა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი იქნება და **საქართველო-ამერიკას შორის ხიდის განმტკიცებაში დაგვეხმარება.**

„ახალი თაობა“



**ვიოლა ფონ კრამონი**

*ევროპარლამენტარი*

ვიდრე ყველა ცდილობს, გახდეს **ეკონომიკურად დამოუკიდებელი ჩინეთისგან,** საქართველო სხვა მხარეს უხვევს.

„პირველი არხი“



# იმ ბრალდებით, რაც ახლა ამერიკაში დონალდ ტრამპს წაუყენეს, საქართველოში მთელი ნაცლიბერალური ოპოზიცია და მისი მოკავშირე არასამთავრობო სექტორია დასაჭერი!

მთავარი კონკურენტი გზიდან ჩამოიცილოს, თუმცა, ჯერჯერობით უკუშედეგს იღებს, რადგან ამერიკაში ტრამპის რეიტინგი, მისთვის წაყენებული ბრალდებების კვალდაკვალ, არათუ არ მცირდება, პირიქით, უფრო და უფრო იზრდება!

შეიძლება ითქვას, **ბაიდენის ადმინისტრაცია პოლიტიკური ცუგცვანგის მდგომარეობაში აღმოჩნდა** — თუ ტრამპისათვის ბრალდებების წაყენებას უსასრულოდ გააგრძელებს, მაგრამ მის ციხეში ჩასმას ვერ გაბედავს, ეს პროცესი სრული აბსურდის სახეს მიიღებს და 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ტრამპის რეიტინგი პიკს მიაღწევს; ხოლო თუ **ბაიდენი** ვა-ბანკზე წავა და **ტრამპს** ციხეში ჩასვამს, ეს ამერიკული დემოკრატიის დასასრული იქნება, რასაც ამერიკელი ამომრჩეველი **„მძინარე ჯოს“** არ აპატიებს და სამუდამო პოლიტიკურ განაჩენს გამოუტანს!

ასე და ამრიგად, **„მძინარე ჯო“** ყოველმხრივ წაგებულ თამაშს თამაშობს და მისი კრახი გარდაუვალია! **ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, შეძლებს თუ არა ბაიდენი, პოლიტიკურ სამარეში ამერიკული დემოკრატიაც ჩაიყოლოს?**

და კიდევ: იმ ბრალდებით, რაც ახლა ამერიკაში **დონალდ ტრამპს** წაუყენეს, საქართველოში მთელი ნაცოპოზიცია და ლიბერალური არასამთავრობო სექტორია დასაჭერი!

აბა, ნახეთ, რა წერია ტრამპის საბრალდებო დასკვნაში:

***„არჩევნების დღიდან ორ თვეზე მეტი ხნის შემდეგ ბრალდებული ავრცელებდა სიცრუეს, რომ მოხდა არჩევნების შედეგების გაყალბება და, რეალურად, მან გაიმარჯვა. ეს პრეტენზიები მცდარი იყო და ბრალდებულმაც იცოდა, რომ მცდარი იყო, მაგრამ მაინც ავრცელებდა, რათა ყალბი პრეტენზიები ლეგიტიმურად წარმოეჩინა, უნდობლობისა და ბრაზის ინტენსიური ატმოსფერო შეექმნა და არჩევნების ადმინისტრირების მიმართ საზოგადოების რწმენა შეერყია“.***

ხედავთ?

გესმით?

გეგონება, ამერიკელი პროკურორის მიერ **ტრამპის** წინააღმდეგ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში ზედმიწევნით ზუსტად არის ასახული ყველა ის ქმედება, რასაც ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სჩადიოდნენ.

**გაიხსენეთ ნაცოპოზიციის მიერ არჩევნების შედეგების არაღიარება, პარლამენტში არშესვლა და ქუჩის აქციები, სადაც გაჰყვიროდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა; გაიხსენეთ მთელი 6 თვის განმავლობაში ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური კრიზისი და ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის გახშირებული ვიზიტები თბილისში, ნაცოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის ორგანიზების მიზნით; გაიხსენეთ ნაციონალური მოძრაობის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის ნიკა მელიას განცხადებები იმის შესახებ, რომ ვინც გაყალბებული არჩევნების შედეგად შეკრებილ პარლამენტში შევიდოდა, პოლიტიკოსი კი არა, პუფი იქნებოდა...**

და რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი?

სწორედ იმას, რაც ტრამპის საბრალდებო დასკვნაში წერია — **ყალბი პრეტენზიების ლეგიტიმურად წარმოჩენას, უნდობლობისა და ბრაზის ინტენსიური ატმოსფეროს შექმნასა და არჩევნების მიმართ საზოგადოების რწმენის შერყევას!**

**და თუ ეს სისხლის სამართლის დანაშაულია ამერიკაში, რატომ არ არის სისხლის სამართლის დანაშაული საქართველოში?**

**თუ ეს ამერიკაში ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებად ითვლება, რატომ არ ითვლება ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებად საქართველოში?**

**თუ ამერიკაში ყოფილ პრეზიდენტსა და პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ ზუსტად იმ ქმედებისათვის, რასაც საქართველოში ნაცოპოზიცია მთელი 6 თვის განმავლობაში სჩადიოდა, რატომ არ უნდა მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ქართული რადიკალური ოპოზიციის ლიდერები?**

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 2020 წელს პოლიტიკური კრიზისის ხელოვნურად შექმნასა და დესტაბილიზაციის მცდელობაში ნაცოპოზიციას აქტიურად ეხმარებოდა ლიბერალური არასამთავრობო სექტორი, რომელიც, ძირითადად, ამერიკული ფონდებიდან ფინანსდება. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისფედი“**, ანუ **„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“**, რომლის ფინანსური დონორიც ამერიკული **„იუესეიდი“** გახლავთ, თვეების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ მის მიერ წარმოებული პარალელური დათვლის შედეგები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ ოფიციალურ შედეგებს არ ემთხვეოდა. სწორედ ეს იყო ერთადერთი არგუმენტი, რომელიც ნაცოპოზიციას ნახევარი წლის განმავლობაში ხელზე ჰქონდა დახვეული და არჩევნების გაყალბებაზე აპელირებდა, მაგრამ **მას შემდეგ, რაც რევოლუციური გეგმა ჩაუფლავდათ, ხალხი ქუჩაში ვერ გამოიყვანეს და რევოლუცია ვერ მოახდინეს, „ისფედმა“ აღიარა, რომ ხმების პარალელური დათვლა მცდარი ფორმულით ჩაატარა.**

ე.ი. შევცდით და შეგვეშალაო, მაგრამ ქართველი საზოგადოებისათვის ბოდიშიც კი არ მოუხდიათ იმის გამო, რომ 6 თვის განმავლობაში ქვეყანა აჯანჯღარეს და პოლიტიკური დესტაბილიზაციის, ქაოსისა და არეულობის ზღვარზე მიიყვანეს!

**ქართული მართლმსაჯულების ორგანოები ამერიკული მართლმსაჯულების ორგანოებივით არ მოიქცნენ და გამოძიება არ აწარმოეს, თორემ ვინ იცის, უტყუარად დადასტურებულიყო, რომ ამერიკული გრანტებით დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ხმების პარალელური დათვლისას უნებლიე შეცდომა კი არ დაუშვა, არამედ პარალელური დათვლის შედეგები გამიზნულად გააყალბა, რათა ნაცოპოზიციისათვის ხელჩასაჭიდი მიეცა არჩევნების გაყალბების მოტივით რევოლუციის მოსაწყობად!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ზუსტად იმ საფუძვლით, რითიც **დონალდ ტრამპს** ამერიკაში სისხლის სამართლის ბრალდება წაუყენეს, საქართველოში ამერიკული გრანტებით დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისფედს“**, სულ ცოტა, საქმიანობა უნდა აეკრძალოს!

და რატომ არ ხდება ეს?

**მსოფლიოში ერთი ასეთი გამონათქვამია გავრცელებული: „რატომ არ ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში ე.წ. ფერადი რევოლუციები? იმიტომ, რომ იქ არ არის ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო!“**

ზუსტად იგივე ქმედებისათვის, რის გამოც ამერიკაში ყოფილ პრეზიდენტსა და პრეზიდენტობის მომავალ კანდიდატს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში აძლევენ, საქართველოში **ამერიკის „მეხუთე კოლონას“** არ და ვერ დასჯიან!

რატომ?

**იმიტომ, რომ საქართველოში არის ამერიკის საელჩო!**



**„მძინარე ჯო“ ყოველმხრივ წაგებულ თამაშს თამაშობს და მისი კრახი გარდაუვალია! ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, შეძლებს თუ არა ბაიდენი, პოლიტიკურ სამარეში ამერიკული დემოკრატიაც ჩაიყოლოს?**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ამერიკაში რუსეთის მოქალაქეებს დიდი პატივით ხვდებიან ამ ომის ფონზე.** მათთვის ყველაფერია შესაძლებელი, თუნდაც არალეგალური დასაქმება, დაბინავება, ელემენტარული სოციალური ხელშეწყობა. მაშინ, როდესაც **ოჯახებით ჩასული ქართველი ემიგრანტები, პატარა ბავშვებით მეტწილად ქუჩაში ცხოვრობენ, სკვერში, სკამებზე სძინავთ, შიათ და სცივათ.**

„აიპრესი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



უდიდესი პოლიტიკური მოთამაშე, რომელიც **შენს ტერიტორიულ მთლიანობას უსიტყვოდ აღიარებს, თან ცხოვრების წესის შეცვლასაც არ გთხოვს** — არის თუ არა ლოგიკური, **საქართველომ ჩინეთზეც გააკეთოს აქცენტი?**

„იმედინიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*[illegible] დამფუძნებელი*



**ნაცლიბერალებისგან და მათი მედიებისგან ტყუილი აღარ გვიკვირს** — ცდილობდნენ, ხალხი დაერწმუნებინათ, რომ **გემით შემოსული ტურისტი უფრო მეტად რუსი და უფრო მეტად პუტინისტია,** ვიდრე სახმელეთო ან საჰაერო გზებით შემოსული.

„იმედინიუსი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



როდესაც ნაცმოძრაობა **ადამიანის უფლებებსა და მედიის თავისუფლებაზე** ლაპარაკობს და ამას ედავება „ქართულ ოცნებას“, ხომ სასაცილოა? ეს ხომ ის პარტიაა, რომელმაც **ადამიანის უფლებები და, საერთოდ, სამართალი ფეხზე დაიკიდა.** როდესაც ნაცმოძრაობა ამბობს, კორუფცია მოვსპეთო, კეზერაშვილმა ქონება საიდან იშოვა?

„კვირის პალიტრა“






# თინათინ გოცაძე:

# ნაგავი და შხამი, სახელად „ასტრაზენეკა“, ადამიანებზე გამოსცადეს!

*„საგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ევროკომისიამ შეთანხმებები გააფორმა „ფაიზერთან“ და სხვადასხვა ევროპულ ფარმაცევტულ კომპანიასთან, რათა უზრუნველყონ ყოველწლიურად 325 მილიონამდე ვაქცინის წარმოება მომავალი გლობალური კრიზისებისათვის. შეთანხმების თანახმად, კომპანიებს მზადყოფნაში უნდა ჰქონდეთ თავიანთი ობიექტები და კრიზისის შემთხვევაში — ვაქცინების სათანადო მარაგი. როგორც ანალიტიკოსები ხუმრობენ, მთავარია, ტესტები და ვაქცინები იყოს მზადყოფნაში, პანდემია კი უმალ გამოიძებნება, რა წუთშიც ჩათვლიან საჭიროდ. სრული ჭეშმარიტებაა, თუმცა, სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე!“* **— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი ექიმმა, მედიცინის აკადემიურმა დოქტორმა, პროფესორმა თინათინ გოცაძემ:**

— ევროკომისიის მიერ დასახული მზრუნველი გეგმის განხორციელების შედეგად შესაძლოა, პლანეტაზე განმეორდეს ე.წ. **ვაქცინირებულთა აპარტეიდი,** რაც კაცობრიობამ ერთხელ უკვე იგემა **„კოვიდ-19“** კრიზისის დროს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ რეკომენდაცია მისცა მთავრობებსა და მწარმოებლებს, დაარეზერვონ ნებისმიერი ტესტისა თუ ვაქცინის 20% ღარიბ ქვეყნებში გასავრცელებლად. დიახ, ამთავითვე იჭერენ თადარიგს, რათა არავინ დარჩეს ვაქცინის გარეშე, განსაკუთრებით — ღარიბ-ღატაკ ქვეყნებში. აკი, ამაში საქართველოც დარწმუნდა კოვიდპანდემიის დროს მიღებული შხამებით.

**— რომელ შხამებს გულისხმობთ?**

— უპირველესად, „ასტრაზენეკას“ ვაქცინას, რომელიც ყველაზე ადრე შემოიტანეს საქართველოში, თორემ, პრინციპში, შხამების ფართო არჩევანი გვქონდა! **„შხამი და ნაგავი“** ასტრაზენეკას თავად უცხოელმა ექსპერტებმა და ჯანმოს სპეციალისტებმა უწოდეს. გავიხსენოთ, როდესაც ვაქცინის ექსტრემალური გამოყენების რეკომენდაცია გაიცა, მრავალმა ქვეყანამ უარი განაცხადა მის გამოყენებაზე არაეფექტურობისა და მძიმე გვერდითი მოვლენების გამო! ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორებიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, საუდის არაბეთი და სხვა — გააჩნიათ საკუთარი მარეგულირებელი ორგანოები, მაგრამ რა ქნან ღარიბმა ქვეყნებმა, რომელთაც სათანადო ნორმატიული ბაზა არ გააჩნიათ და ბრმად ეყრდნობიან ჯანმოს გადაწყვეტილებებს? უხეშად რომ ვთქვათ, მორჩილად ყლაპავენ ყველაფერს, რასაც ჯანმო ხახაში ჩრის?

თავის დროზე სამხრეთ აფრიკამ ინდოეთს დაუბრუნა „ასტრაზენეკას“ მილიონი დოზა იმის გამო, რომ ვაქცინა, პრაქტიკულად, უეფექტო აღმოჩნდა სამხრეთ აფრიკული შტამის წინააღმდეგ. არადა, ჯანმო მაინც მოუწოდებდა ქვეყნებს, აცრებისთვის ეს პრეპარატიც გამოეყენებინათ იმის მიუხედავად, თუ რომელი შტამი იყო მათ რეგიონში უფრო მეტად გავრცელებული. დიახ, ჯანმოს ექსპერტები და სპეციალისტები ჯიუტად გაიძახოდნენ — **ეს არ ნიშნავს, რომ ვაქცინა არაეფექტურია და ნაგვის ყუთში უნდა გადავისროლოთ, მძიმე გართულებებსა და სიკვდილს მაინც აარიდებს აცრილებსო!**

**— არადა, პირიქით მოხდა — საშინელ გართულებებსა და სიკვდილიანობას სწორედ „ასტრაზენეკას“ უკავშირებდნენ.**

— როგორც ხედავთ, „ასტრაზენეკა“ ნაგვის ყუთში მოსასროლადაც დაენანათ, რადგან იცოდნენ, ღარიბ ქვეყნებში მაინც გაასაღებდნენ! როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ნაგავი იყო უეფექტობის გამო, ხოლო შხამი იმ ვერაგი გართულებებიდან გამომდინარე, რომლებიც აცრამ გამოიწვია.

გავიხსენოთ ისიც, რომ სამკურნალო საშუალებათა ევროპულმა სააგენტომ დაუშვა „ასტრაზენეკა“ 18 წელზე უფროსი ასაკის ყველა ადამიანისთვის, თუმცა, გერმანიამ უარი განაცხადა ამ ვაქცინით 65 წელს გადაცილებული თავისი მოქალაქეების აცრაზე, რადგან მისი ეფექტურობა არასაკმარისად მიიჩნია. ასევე, „ბიბისის“ მონაცემებით, საფრანგეთის ჯანდაცვის მარეგულირებელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 65 წელს გადაცილებულებთან ვაქცინის ეფექტურობაზე მეტად მწირი მონაცემებია და მის გამოყენებას არ აპირებს. ანალოგიური რეკომენდაციები გასცეს ავსტრიამ, ბელგიამ, პოლონეთმა და შვეიცარიამ.

**— „ასტრაზენეკამ“ სათანადო შედეგი რომ ვერ გამოიწვია, ალბათ, „ნაგავი“ ამიტომ უწოდეს. მაგრამ შხამად რატომღა მიიჩნევა?**

## – პრეპარატის ეფექტურობას ვინღა დაეძებდა, როცა ადამიანები თრომბოზით იღუპებოდნენ!

**ავსტრიაში „ასტრაზენეკას“ გამოყენებისთანავე აცრილ პირს მრავლობითი თრომბოზი დაუდასტურდა და ის პირველი დოზის მიღებიდან 10 დღეში გარდაიცვალა.** კიდევ ერთი აცრილი ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიით ჰოსპიტალში მოათავსეს. მოგვიანებით სხვა ევროპული ქვეყნებიდანაც გავრცელდა ინფორმაციები ვაქცინაციის მსგავს გართულებებზე. ამის საფუძველზე ბევრმა ქვეყანამ შეაჩერა აცრები. ნორვეგიაში „ასტრაზენეკათი“ ვაქცინაციის შედეგად სიკვდილის კიდევ 2 შემთხვევა დაფიქსირდა, რის თაობაზეც ოფიციალური განცხადება გაავრცელა ნორვეგიის წამლის სააგენტომ. „უოლსტრიტ ჟურნალის“ მონაცემებით, *„გერმანელმა და ნორვეგიელმა მეცნიერებმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაარკვიეს, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო „ასტრაზენეკას“ შეუძლია ორგანიზმში აუტოიმუნური რეაქციების პროვოცირება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ტვინში სისხლის შედედებას. რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ დროებით შეაჩერა ამ ვაქცინით მოსახლეობის აცრის პროცესი იმის გამო, რომ 30-ზე მეტ რეციპიენტს თავის ტვინის ვენური სინუსის თრომბოზი განუვითარდა. დაზარალებულთა უმრავლესობას 55 წლამდე ასაკის ქალები შეადგენენ. თუმცა, როგორც* ***ევროპის მედიკამენტების მარეგულირებელი*** *მიიჩნევდა, ეს პრობლემა აცრილთა უმცირეს ნაწილს შეეხო და ვაქცინის სარგებელი მაინც აღემატება მის პოტენციურ რისკებს. აქე*


ფრთხილად, პოსტვაქცინაციური სინდრომი!
თინათინ გოცაძე: ვაქცინით დაზარალებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი გაცილებით დიდია, ვიდრე კოვიდით დაღუპულთა რაოდენობა!
„ა–დ“. 2023 წლის №32
THE EXPOSÉ
Dr. Denis Rancourt: Covid injections have killed 13 million people worldwide
«რა გვკლავს: ვირუსი, ვაქცინა თუ ბნელეთში ცხოვრება?»

## კვირგვინოსნები

**აკაკი ხიდაშელი**
*მსახიობი*



ვისაც ხელოვანისა და რეჟისორად ყოფნის გარდა **„დირექტორი-რეჟისორის“, „ხელმძღვანელი-რეჟისორის“, „უფროსი და მამამარჩენალი რეჟისორის“** მანტია ხიბლავს, იმან მხოლოდ საკუთარი თეატრი შექმნას, თვითონ მოიზიდოს აუცილებელი ფინანსები და **ხელი აღარ აფათუროს ღარიბი საქართველოს საარსებო კალათაში.**

„კვირის პალიტრა“

**მერაბ ფირანიშვილი**
*მოქანდაკე*



ბოლო დროს **უკვე გარდაცვლილებსაც დავუწყეთ ლანძღვაგინება,** იმ ხალხს, ვინც ქვეყნის სიყვარულის მაგალითი იყო. **ერეკლე მეფეს რომ ქართველი კაცი გალანძღავს,** იქ ძალიან ბნელადაა საქმე — კაცი სიბერეშიც ცხენზე იჯდა და ხმალს იქნევდა მტრების მოსაგერიებლად. რაც ქართველებში **მოღალატე გვყოლია,** აბა, ის გენი სადღა წავიდოდა?! დადგა ამ გენის ჯეჯილობის დრო და მანაც იჯეჯილა...

„კვირის პალიტრა“

**ნატო ონიანი**
*ჟურნალისტი*



ჩემთვის, მაგალითად, ყოველთვის გაუგებარი იყო პრინციპი: **„ჟურნალისტი რომ გაუშვან კარიდან, ფანჯრიდან უნდა შეძვრეს...“** შესაძლოა, არასწორი მიდგომა მაქვს, მაგრამ საკუთარი თავმოყვარეობა არ მიღირს არც პროფესიად და არც არაფრის ფასად.

„საერთო გაზეთი“

**ნიკა შენგელია**
*ფინანსისტი*



ჩვენ გვქონდა პროგნოზი, რომ აგვისტოს თვის ჩათვლით, **ლარის კურსი იმერყევებს 2.55-2.65-ის ფარგლებში.** ის, რაც ახლა ხდება, **ნახტომისებური გაუფასურება, კომერციული ბანკების თამაშია,** რისი უფლებაც მათ მისცა ქვეყნის ეროვნულმა ბანკმა. **ლარს გასაუფასურებელი აბსოლუტურად არაფერი არ ჰქონდა,** ამის არანაირი მიზეზი არ არსებობს.

„რეზონანსი“

## „დღეს მთელ მსოფლიოში აღიარეს ვაქცინების გვერდითი მოვლენები და ზრუნავენ ვაქცინით დაზარალებულებზე, მხოლოდ საქართველოში არ აღიარებენ ამას და არც ფიქრობენ კომპენსაციების გაცემაზე!“

*დან გამომდინარე, რეკომენდაცია გაეწია ვაქცინაციის პროცესის განახლებას.“*

ამის კვალდაკვალ გერმანიამ, საფრანგეთმა და იტალიამ მართლაც განაახლეს ვაქცინაციის პროცესი, ოღონდ დამატებითი გაფრთხილებით, რომ აცრა შესაძლოა სისხლის შედედებასთან იყოს კავშირში. **საქართველოში მსგავსი გაფრთხილება ვინმეს მოუსმენია? ვინმეს მიუწოდებია ინფორმაცია აცრის მსურველთათვის ან გამოუკვლევია ადამიანები მოსალოდნელი საფრთხეების ასარიდებლად?**

საფრანგეთის ჯანდაცვის სამინისტრომ, რომელმაც ვაქცინაციასთან დაკავშირებული თრომბოზის (CVST) სამი შემთხვევა დააფიქსირა, მთავრობას ურჩია, „ასტრაზენეკათი“ მხოლოდ 55 წელს გადაცილებულები აეცრათ.

ხვდებით, რა ექსპერიმენტები უტარეს ხალხს? პრეპარატი, რომელიც საერთოდ არ იყო შესწავლილი, ხან ვის უკეთეს და ხან — ვის! გრაიფსვალდის საუნივერსიტეტო კლინიკის დოქტორი **ანდრეას გრაინახერი** აღნიშნავდა, რომ *„დასხეულებული გართულება შეიძლება, ადამიანთა მცირე პროცენტს განუვითარდეს. მთავარია, რომ ახლა ჩვენ ვიცით მიზეზი და ის, თუ როგორ ვუმკურნალოთ პაციენტებს!“* — ანუ ექსპერიმენტის კვალად გაარკვიეს, რომ სიკვდილის მიზეზი **თრომბოზია** და მიხვდნენ, როგორ უმკურნალონ ხალხს. გესმით, **როგორ საცდელ ბოცვრებად გამოიყენეს ხალხი?**

მიუხედავად ყველა ამ ინფორმაციისა, რომელიც მაშინ უკვე ვრცელდებოდა და ჩვენც ვასაჯაროვებდით საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნებს **გენერალიზებული თრომბოზებისა და სიკვდილიანობის საშინელი სტატისტიკის გამო** შეჩერებული ჰქონდათ „ასტრაზენეკას“ გამოყენება, საქართველოში იყოჩაღეს, მაინც შემოიტანეს ეს შხამი და შეიწირეს საბრალო ექთანი, **ახალციხელი მეგი ბაქრაძე** და დააზარალეს უამრავი ადამიანი.

**— მაგრამ მეგი ბაქრაძის გარდაცვალების მიზეზად დღემდე ხომ ანაფილაქსიური შოკი მიიჩნევა?**

— აბა, ხომ არ აღიარებენ თავიანთ დანაშაულს — **თრომბოზის გამომწვევი შხამი შემოვიტანეთ ქვეყანაში, ნაგავი ვუშხაპუნეთ საკუთარ ხალხს 3-მილიონიან ქვეყანაში, როცა 55-მილიონიანმა სამხრეთ აფრიკამ უკან დაუბრუნა და ევროპის 17 ქვეყანას შეჩერებული ჰქონდა მისი გამოყენებაო?!**

მთელ მსოფლიოში აღიარეს „ასტრაზენეკასთან“ თრომბოზების კავშირი და ამ მიზეზით ადამიანთა გარდაცვალება, მარტო საქართველოა გამონაკლისი.

## „გესმით, როგორ საცდელ ბოცვრებად გამოიყენეს ხალხი?“

### იქნებ ახლა მაინც მიხვდეს საზოგადოება, როგორ გაწირეს საკუთარი ხალხი ამ უნამუსოებმა, როგორ უსამართლოდ უშვებენ ციხეში უდანაშაულო მედპერსონალს, თითქოს ცრუ ჩვენებამ იმსხვერპლა საბრალო ექთანი და არა ვაქცინამ.

დღეს მთელ მსოფლიოში აღიარეს ვაქცინების გვერდითი მოვლენები და ზრუნავენ ვაქცინით დაზარალებულებზე, მხოლოდ საქართველოში არ აღიარებენ ამას და არც ფიქრობენ კომპენსაციების გაცემაზე.

**— სხვა ქვეყნებში უკვე დაიწყეს კომპენსაციების გაცემა?**

— „ასტრაზენეკათი“ მიღებული მასშტაბური ზარალის ფონზე ჯერ კიდევ პანდემიის პერიოდში ახარა ჯანმომ მსოფლიოს — ვაქცინით დაზარალებულები კომპენსაციას მიიღებენო! „გარდიანი“ 2022 წლის დასაწყისში იუწყებოდა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გადაიხდის კომპენსაციებს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით გამოწვეული სერიოზული გვერდითი მოვლენების გამო. კომპენსაციის გეგმა ვრცელდება 92 ღარიბ ქვეყანაზე, რომელთაგანაც უმრავლესობას ქმნიან აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოები. ჯანმომ უკვე გაწერა კომპენსაციის გეგმა. პროგრამის მოქმედება 2022 წლის 30 ივნისამდე გაგრძელდება.

რად არ ვინტერესდებით, შედიოდა თუ არა საქართველო 92 ქვეყანაში? **ტესტებისა და ვაქცინების „დათრევაში“ რომ ასწრებდნენ ერთმანეთს „ნაცები და ქოცები“, კომპენსაციების გაცემაში ვინ დაასწრებს ნეტავ?** თუ უკვე „დაასწრეს“ და კარგადაც გადანაწილებულია მავანთა ჯიბეებში ხალხის მკვლელობის ხარჯზე მიღებული დოლარები?

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***
















კვირგვინოსნები



**ვანო იანტბელიძე**
*თეატრის მსახიობი*

თავის დროზე თეატრი ძალიან კარგ მდგომარეობაში იყო. **მერე მოვიდა სააკაშვილის მთავრობა და დაიწყეს ჩემთვის ნერვების მოშლა.** ბოლოს ისე მოხდა, რომ **უარი ვთქვი ხელმძღვანელობაზე.** დღესაც ვწუხვარ მომხდარის გამო. **არ უნდა წავსულიყავი ხელმძღვანელობიდან.** თეატრისთვის ბევრს ვაკეთებდი, თორემ **ხელმძღვანელობიდან მე არანაირი მოგება არ მიმიღია.** უფრო მეტიც, რომ წამოვედი, მაღაზიაში ვალები დამრჩა. თეატრში ახლა ისევ ისე ვარ — **„შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე“,** მაგრამ გულში ტკივილი მაინც დარჩა.

„თბილისელები“



**ბესო ბარათაშვილი**
*მსახიობი*

ტაქსისტი **5 ლარს რომ დამიფასებს** და მინდა, ვუთხრა — **4-ად ხომ ვერ გამიყვან-მეთქი,** მრცხვენია და ვერ ვეუბნები, მერე ტელევიზორში დამინახავს და იტყვის, **ლარზე დამიწყო ვაჭრობაო.**

„თბილისელები“



***15 წელი გვაშორებს 2008 წლის აგვისტოს ომს, რომელმაც კიდევ ერთი უმძიმესი დაღი დაასვა მრავალჭირნახულ ივერიელთა ქვეყანას. 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე ომის სისასტიკით განსაკუთრებით დაზარალდა ისტორიული შიდა ქართლის მარად გაუყოფელი, ახლო წარსულში მშვიდობიანი, თვალმარგალიტი ცხინვალის რეგიონი. „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია!“ — მწარედ დასძენს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკის სპეციალობით, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლისა და თამაზ წივწივაძის პრემიების ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი რობერტ ოდიკაძე და გულისტკივილით აცხადებს:***



# რობერტ ოდიკაძე
# სამაჩაბლოში

ხვატი ზაფხულის იმ ქარცეცხლიან დღეებს 169 სამხედრო მოსამსახურე, 14 პოლიციელი და 228 მშვიდობიანი მამულიშვილი შეეწირა, ხოლო 1747 დაიჭრა.

**ოკუპირებულ რეგიონში, ცნობილი ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდგომ, 2008 წლის აგვისტოდან, კიდევ უფრო იმატა დევნილთა რაოდენობამ და საერთო მაჩვენებელმა 30 ათასს მიაღწია. ომის კვალდაკვალ, 135 იავარქმნილი და მიწასთან გასწორებული სოფელია...**

ბობოქარი მე-20 საუკუნის დასალიერს, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სადაგ დღეებში, **„მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, ალკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა“.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტის შესაბამისად, 1990 წლის 11 დეკემბერს **გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.**

ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, საქართველოს ხელისუფლებაში ხმაურით მოსულ „ვარდების რევოლუციის“ მესვეურთა ძალისხმევით, **„ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 13 აპრილის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წარდგინების საფუძველზე, პარლამენტმა დაადგინა: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნას დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“.**

დამოუკიდებლობის ეკალბარდიან გზაზე დამდგარი ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულმა ნაცმოძრაობამ როგორ „მშვიდობიანადაც“ მოაგვარა კონფლიქტი ყოფილ ავტონომიურ ოლქში, იმ მწარე შედეგებიდან ჩანს, რამაც განაპირობა 2008 წლის აგვისტოს ომი და საქართველოში გაჩნდა კიდევ ერთი წარმონაქმნი — „სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“.

ნიშანდობლივია, რომ საკანონმდებლო ორგანოში, ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, სადაც საქართველოს საკითხზე ევროპარლამენტის მომხსენებელს **სვენ მიქსერს** უსმენდნენ, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნიკოლოზ სამხარაძემ** ევროკავშირს მიმართა, ტერმინი **„სამხრეთ ოსეთი“** ოფიციალური გამოყენებიდან ამოიღონ ლა იქვე განმარტა, რომ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ 1922 წელს გაჩნდა და მას საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს:

***„თქვენ იყენებთ ტერმინს „სამხრეთ ოსეთს“ ყველა თქვენს დოკუმენტში, რომელიც ასევე სტალინური ტერმინია და 1922 წელს შეიქმნა. მანამდე ის არ არსებობდა. „სამხრეთ ოსეთს“, ასეთ წარმონაქმნს საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს. ამიტომ, ჩემი თხოვნაა, რომ ვიმსჯელოთ, როგორ შეიძლება ამოვიღოთ ეს ტერმინი საერთოდ თქვენი ოფიციალური დოკუმენტებიდან. არ არის სასიამოვნო ევროკავშირი ან თუნდაც ნებისმიერი სხვა სახელმწიფო სტალინის დროინდელ დასახელებას იყენებდეს. თუ ჩვენგან ოფიციალური მომართვაა საჭირო, ამას გავაკეთებთ“.***

უდავოდ მისასალმებელია საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მიმართვა-მოწოდება ევროპარლამენტის მომხსენებლისადმი, მაგრამ საინტერესოა, პატივცემულ პარლამენტარს და საკანონმდებლო ორგანოსა თუ სამთავრობო კასტას როგორ წარმოუდგენიათ დედაქალაქის ცენტრში განთავსებული, ნაცრეჟიმის ყოვლად გაუმართლებელი, უკანონო წარმონაქმნი?

თბილისში დროებით ადმინისტრაციას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა **დიმიტრი სანაკოევი.** მისი „საქმენი საგმირონის“ შესახებ ამომწურავ პასუხს იძლევა თუნდაც მისივე ავტორობით თბილისში დასტამბული 300-გვერდიანი მემუარული წიგნი — „ОСТАЮСЬ ОПТИМИСТОМ - Я ОСЕТИНСКИЙ ПАТРИОТ!“ („მე ოსი პატრიოტი — ოპტიმისტად ვრჩები“).

წიგნის დასაწყისშივე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზურგს უკან, კედელზე ლამაზად მოვარაყებული სურათის ჩარჩოდან, თვალში გეცემათ ქართულ და ოსურ ენებზე შესრულებული ე.წ. გერბი „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ „РЕСПУБЛИКА ХУССАР ИРЫСТОН“ (ესეც ნაცრეჟიმის ხელწერაა).

წიგნის ფინალში ვეცნობით ნაცრეჟიმის თარგზე გამოჭრილ, ე.წ. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის **სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის (?!) მთავრობის პრესცენტრის განაცხადებს.** აი, ერთ-ერთი, სადაც შავით თეთრზე წერია: ***„29 დეკემბერს ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთაში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შენობაში, გაიმართება პრეზიდენტის ნაძვის ხის ზეიმი“.***

საახალწლო ღონისძიებაზე ახალგორის რაიონის სოფლებიდან, დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებიდან მოწვეულია 200 ბავშვი. **ზეიმში მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი (?!) დიმიტრი სანაკოევი... (სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის (?!) პრესცენტრი, 2006 წლის 28 დეკემბერი).**

თუ როგორი იმიჯით სარგებლობს საზოგადოებაში „სამხრეთ ოსეთის“ დროებითი ადმინისტრაცია, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ დევნილთა (განსაკუთრებით 90-იანი წლების) უმრავლესობას ადმინისტრაციის შენობისკენ გახედვაც არ უნდა! უფრო მეტიც, **დედაქალაქში ჩატარებული ოსური ცეკვის ერთმა მასტერკლასმა, ოკუპირებულ ცხინვალში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.**

დე ფაქტო პარლამენტის „ეროვნული პოლიტიკის, კულტურისა და რელიგიის“ კომიტეტის სხდომაზე, სადაც დე ფაქტო რესპუბლიკის კულტურის მინისტრიც იყო მიწვეული, საქმეში პროკურატურის და „კაგებეს“ ჩართვაც მოითხოვეს.

*„მინდა, გამოვთქვა ჩემი აზრი სახელმწიფო ანსამბლ „ალანის“ მოცეკვავეების ვიზიტზე საქართველოში. კერძოდ, ტერიტორიულ ორგანიზაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში ვიზიტთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ერთ დროს აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები სახელმწიფო ხელისუფლების ხელყოფის მიტაცების, ტერორიზმისა და სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით. ეს სისხლის სამართლის საქმეები რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის წარმოებაშია და იმისთვის, რომ უფრო კონკრეტულად გავეცნოთ სიტუაციას, აუცილებელია მათი მოწვევა. მიმაჩნია, რომ ამ ე.წ. დროებით ადმინისტრაციასთან ვიზიტები სახელმწიფო უსაფრთხოებისა და პროკურატურის ყურადღების ობიექტი უნდა იყოს“,* —

განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ **ამირან დიაკონოვმა.**

ფაქტია, რომ 2007 წელს თბილისში დროებითი ადმინისტრაციის შექმნას ცენტრალური ბიუჯეტიდან ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „შიდა ქართლის“ ტრანსფერით დაფინანსებაც შეეწირა.

არადა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს განუკითხაობა?



გიორგი ანწუხელიძე



გია და გელა რომელაშვილები



ზურაბ ბურაშვილი

## კვირგვინოსნები



**დავით დარჩიაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი, პოლიტიკოსი*

**შავაძის** დაღუპვის ამბის ერთი ვერსიაა, რომ 2008 წელს მოკლეს; მეორეა, რომ **ქართველთა პოზიციები გასცა,** ოღონდ სტრასბურგს ამას ვერ აუხსნი.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ვასილ მაღლაფერიძე**
*საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე*

ბატონი **დარჩიაშვილი** განა **შავაძის** დახვრეტას ნანობს, შეწუხებულია, სტრასბურგისთვის ახსნა გაგვიჭირდება, **შავაძე რომ დასახვრეტი იყო.**

„პირველი არხი“



**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*

**დავით დარჩიაშვილის** პოსტი არის ლუსტრაცია, რომ **ნაციონალურ მოძრაობას არასდროს ულიარებია საკუთარი შეცდომები,** მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ, ადამიანი აწამონ, თუ ამისთვის რაიმე მიზეზი გააჩნიათ.

„პირველი არხი“



**დაჩი ცაგურია**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*

**როინ შავაძე** როდესაც დაბრუნდა ომიდან, ის ძალიან უკმაყოფილო და განაწყენებული იყო. **დასაშინებლად მივიდნენ, დაემუქრნენ და მოსთხოვეს, რომ შეეწყვიტა რაღაცების ლაპარაკი,** თორემ ამის გამო მკაცრად დაისჯებოდა. წაიყვანეს შემდეგ და არაადამიანურად დახვრიტეს.

„იმედინიუსი“



**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*

**შავაძის** ქეისი არის **ნაცმოძრაობის და მათი ბელადის ნამდვილი სახე,** წარმოდგენაც არ მინდა, სად ვიქნებოდით, რომ არა **ბიძინა ივანიშვილი** და მის გარშემო ერთ მუშტად შეკრული ხალხი. „იმედინიუსი“

ივერიელთა სამკვიდროში „დროებითი წარმონაქმნის“ არსებობა?

მართლაცდა, რა საჭიროა შუაგულ დედაქალაქში **სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია,** თუ მისი ხელმძღვანელობა მხარში არ დაუდგება დევნილებს, არ გაითვალისწინებს მათ საწადელს?

## ვინ გაიმეტა ერისთავების წალკოტ-სავანე ახალ-გორისა?!

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება!..“ — მათ შორის არიან ცათა სასუფევლის ბინადარნი: ცხინვალელი ძმები **ზურამ და აკაკი ხადურები** (აფხაზეთის ომი), **გია და გელა რომელაშვილები, ილია ბაბუციძე, ოთარ ცოტნიაშვილი, ზურაბ ბალაშვილი, ზურაბ ტურაშვილი,** ეროვნული გმირი **გიორგი ანწუხელიძე...**

მარადისობაში გარდასულ **მრავალრიცხოვანი მტრის მასიურ შემოტევას იგერიებდა...** ოთხი თვის შემდეგ მოხერხდა მისი ამოცნობა და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გადმოსვენება. სიკვდილის შემდეგ „სამშობლოსათვის თავდადებულის“ მედლით დააჯილდოვეს ახალგორელი ჯარისკაცი, გმირი, რომელიც ადრეულ ასაკში შეეწირა საქართველოს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, **„ახალგორი პირველად XVI საუკუნის 70-იან წლებში იხსენიება“. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „ხოფას ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი... და სასახლე ქსნის ერისთავებისა“.** რამდენად დამაფიქრებელია, რომ საქართველოს განუყოფელი ქსნის ხეობის ქართულ დაბას, კომუნისტების ზეობის ჟამს და ახლაც, ექსტრემისტ-ოკუპანტები კვლავაც **„ლენინგორად“** მოიხსენიებენ.

და მაშინ, როცა მშობლიური კუთხის სიყვარულით დამაშვრალი, ცნობილი მკვლევარი-ისტორიკოსი, პროფესორი **დავით ახლოური,** ისტორიული დოკუმენტის — ახალგორის „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქიდან გასვლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ — განხილვისას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალგორის რაიონი, რომელიც, ძირითადად, ისტორიული ქსნის საერისთავოს სოფლებს მოიცავდა, ბოლშევიკებმა 1922 წლის 20 აპრილს შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს დაუქვემდებარეს, მოგვიანებით, 1934 წელს, რაიონულ ცენტრს სახელიც შეუცვალეს და ლენინგორი უწოდეს, ხოლო 1960 წელს დაბის სტატუსი მიენიჭა.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანამ ახალგორის რაიონის ოლქიდან გამოსვლის საკითხი წინა პლანზე წამოსწია, მაგრამ უფრო აქტუალური გახდა ცხინვალში მიმდინარე ანტიქართული მოვლენების შემდეგ.

**1990 წლის 4 სექტემბერს ახალგორში ჩატარდა მაშინდელი ლენინგორის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაიონული საბჭოს მეთვრამეტე რიგგარეშე სესია, რომელსაც** (ამ წერილის ავტორი, მაშინ ცხინვალიდან მივლენილი, ქართულენოვანი გაზეთის ჟურნალისტი, ვესწრებოდი) **უნდა განეხილა „სამხრეთ ოსეთის“ სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ 1990 წლის 10 აგვისტოს მე-13 სესიის მიერ მიღებული დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის“ სუვერენიტეტის შესახებ.**

ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი, ქვეყნის ინტერესებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის აზრსაც ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, **სესიამ, პირველ რიგში, საოლქო საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაციისადმი ახალგორის მოსახლეობის დამოკიდებულების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს შალვა ჩოჩელს მოუსმინა და პირველივე პუნქტით ცნობად მიიღო...** მოსახლეობის უმრავლესობა ამჯერადაც ერთსულოვანი იყო — **ახალგორის რაიონი აღარ უნდა ყოფილიყო ხელოვნურად შექმნილი ავტონომიის ნაწილი. სესიამ დაგმო „სამხრეთ ოსეთის“ სუვერენიტეტის შესახებ მიღებული დოკუმენტი, როგორც კანონსაწინააღმდეგო, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებდა ეროვნებათშორის არსებულ პრობლემებს.**

ახალგორელი მკვლევარ-ისტორიკოსის თქმით, განსაკუთრებით საყურადღებოა სესიის მიერ მიღებული ხუთპუნქტიანი გადაწყვეტილების მეოთხე პუნქტი, სადაც ვკითხულობთ: **„ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია არ ცნობს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლებამოსილებას რაიონის ტერიტორიაზე...“** სესია ოლქში შემავალ სხვა რაიონებსაც მოუწოდებდა, არ ეცნოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლებამოსილება.

ისტორიულ დოკუმენტს ახლავს ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის **ნ.შ. ხოხაშვილისა** და ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივნის **ი.ნ. ხაჩიროვას** ხელმოწერები და დაბეჭდილია 1990 წლის 6 სექტემბრის გაზეთ „ლენინელში“ (№104). **ეს იყო ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, მათ შორის, არაქართველების ინტერესებიდან გამომდინარე იქნა მიღებული.**

ფაქტია, რომ 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში სათანადო წვლილი ახალგორის მოსახლეობამაც შეიტანა, რამდენიმე თვით ადრე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ოლქის სუვერენიტეტისადმი.

და მაინც, **ვინ გაიმეტა ერისთავების წალკოტ-სავანე ახალგორისა!**

რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების გენერალ-მაიორ **ვიაჩესლავ ბორისოვის** სკანდალური განცხადებით, **რუსული არმია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაკავებას არ გეგმავდა. რაიონი საქართველოს მაშინდელი მეცნიერებისა და განათლების მინისტრის კახა ლომაიას თხოვნით დაიკავა.**

*„სხვათაშორის, მინდა იცოდეთ, რომ აგვისტოს ომის დროს ვარიანში ჩვენი ჯარის ნაწილები არ იდგა! ასე რომ, გარდაცვლილი ჯარისკაცების იქიდან გატანა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა.*

***აგრეთვე, მინდა იცოდეთ, რომ 15 სამხედრო ტყვე ჯარისკაცი ცხინვალიდან, ხოლო 22 ტყვე აფხაზეთიდან ჩვენ პირადად გადავეცით ქართველ დედებს, ყოველგვარი გაცვლისა და ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე. მინდა, ქართველმა ხალხმა ეს იცოდეს.***

*ჩვენ ლენინგორში* **(ახალგორის მუნიციპალიტეტი, რედ.)** *ჯარის შეყვანას არც ვგეგმავდით, მაგრამ ბატონმა* ***კახა ლომაიამ*** *ეს საკითხი პრინციპულად წამოგვიყენა და პირადად მე არაერთგზის მთხოვა, ლენინგორში ჩემი „სადესანტო როტა“ გამეგზავნა!!!* ***თქვენ გესმით? ქართველი კახა ლომაია, მე, რუს გენერალს მევედრებოდა, ლენინგორში ჩემი „დესანტნიკები“ შემეყვანა!..“*** — განაცხადა **ბორისოვმა.**




# ქართლის ცრემლია!

შინდისის გმირთა სამშობლოსთვის საარაკო თავდადებას უკვდავებისა და არდავიწყების შარავანდედი მოსავს!

აგვისტოს ხუთდღიან ომში საქართველომ კონტროლი დაკარგა კიდევ უფრო ფართომასშტაბიან ტერიტორიაზე და დღემდე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია.

ნაცბელადმა თოფის გასროლის გარეშე მტერს „ხონჩით მიართვა“ ქართველთა სამკვიდრო — სტუმართმოყვარე ქსნისა და, მისივე მონაჩმახით, „ზემო აფხაზეთად“ წოდებული კოდორის ხეობა.

ქსანდალეული პოეტი და ჟამთააღმწერელი **დავით ახლოური** გულისტკივილით დასძენს — ჩემთვის ქსნის ხეობა უკვდავებასთან წილნაყარი 19 წლის **ლევან მიდელაშვილი** და ქედმოუხრელი ლომგულა ბიჭი **არჩილ ტატუნაშვილია...** იქვე აღნიშნავს, რომ სწორედ მიდელაანიდან გახლდათ ჩვენი დროის გმირი **ლევან ავთანდილის ძე მიდელაშვილი.** 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ლევანი კაპრალი იყო, ყუმბარმტყორცნელად მსახურობდა მეოთხე ქვეითი ბრიგადის 41-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში. **ბოლოს 8 აგვისტოს ნახეს ცხინვალის მისადგომებთან, „შანხაის უბანში“, ელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, როცა თანამებრძოლებთან ერთად**


ლევან მიდელაშვილი


ზურაბ ბალაშვილი


ილია ბაბუციძე

## P.S.

როგორც ცნობილია, **კახა ლომაია** და აწ გარდაცვლილი **ვიაჩესლავ ბორისოვი** ერთმანეთს 2008 წლის 14 აგვისტოს დილით ქალაქ გორში შეხვდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ამ შეხვედრას მიხეილ სააკაშვილის ბიძა **თემურ ალასანიაც** ესწრებოდა.

აი, ბედისწერა და ღალატით გაჯერებული დრონი! **ისტორია მეორდება — ისევ წრიალებენ „შადიმანები“ და შავბნელი ზრახვებით დედასაქართველოს ზურგში მახვილის ჩაცემას ლამობენ.**

არ გამოუვათ, ჟამი ჩამოჰკრავს, ჟამი — განკითხვისა!

ჩვენ დავბრუნდებით — ღირსეულად, მხრებგაშლილი **„ჩავივლით ქსანზე და საქართველოს ბედზე ვიფიქრებთ. ერთად ვიქნებით“,** რადგანაც ადგილის დედისა თუ ივერთ ნაფუძარის სიყვარული გაუნელებელი და უძლეველია!

## კვირგვინოსნები

**ციცინო შავაძე**
*რონინ შავაძის მეუღლე*



ალბათ, თვეები და წლები არ მეყოფა, რომ ვისაუბრო **იმ ჯოჯოხეთურ გზაზე, რაც ჩემმა ოჯახმა წინა ხელისუფლების დროს გამოიარა.** მე მჯერა სამართლიანობის და ყველა ის პირი იქნება დაკავებული, ვინც აღიარა, რომ **რონინ შავაძეს** ესროლა. ყველა ის დამკვეთიც, ვინც **რონინ შავაძის** მკვლელობის საქმეშია გარეული.

„იმედინიუსი“

**დავით ლორთქიფანიძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



ნაცები უკან არაფერზე იხევენ, **საქართველოში დაძაბულობის კერა რომ გააჩინონ.** თუ 2008 წლის ომის შემდგომ **მათი მთავარსარდალი რუს ტურისტებს საბაჟოზე, ლარსის გამშვებ პუნქტზე, სამარცხვინოდ, ღვინის ბოთლით ხელში ხვდებოდა, მათ უვიზო რეჟიმი დაუწესა** და საქართველოში იწვევდა, ახლა რატომ გამოთქვამენ პროტესტს?

„ახალი თაობა“

**ზურა ხაჩიძე**
*მომღერალი*



2008 წლის ომის მერე რატომ ერთხელ არ გამოსულხართ და არ გაგიპროტესტებიათ რუსები? ა**ნ მაშინ რატომ ეპატიჟებოდით დიდი სიყვარულით და დღეს ფაშისტებივით დევნით ტურისტებს?**

ბევრი ვაჟკაცი ჩააწვინეთ მიწაში: **ანწუხელიძე, ონიანი, რონინ შავაძე, შინდისის ვაჟკაცი ბიჭები,** თქვენ კი საზღვარზე გარბოდით ან ნაწილი **მძლოლებად დასდევდით რუს გენერლებს!** ყველაფერი გვახსოვს!

ნუ გამოიყვანთ ხალხს წყობიდან, თორემ **გაწევენ ხელისუფლებას და გადაგთელავენ. თქვენი ფაშისტი, ნეოლიბერალი დედა ვატირე...** რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი სწორედ **ნაცბოლშევიკების** არასწორი მმართველობის გამო!

„ფეისბუქი“

**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის პრეზიდენტი*



რუსეთს **ნატოსთან სამხედრო შეტაკება** არ სურს, მაგრამ ამისთვის მზადაა.

„რეზონანსი“

# რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს პოლიტოლოგ ГИА ხუხაშვილის ახლახან გამოცემული მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში და იმ პერიპეტიებს ეხება, რომლებმაც განსაზღვრეს კიდეც უმძიმესი დღევანდელობა.***



დასაწყისი იხ. „ა-დ“ №18-19, 20-21, 22-34




## გია ხუხაშვილი:

## რამდენიმე კეთილმოსურნემ „საიდუმლოდ“ მომიტანა ამბავი, რომ სააკაშვილის ხელისუფლება კი არა, ბიძინა მისმენდა!

**გია ხუხაშვილი** თავის მემუარებში იხსენებს იმ ტოტალურ მოსმენებს, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის სპეცსამსახურები აწარმოებდნენ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, ხოლო თვითონ ოჯახი **ბიძინა ივანიშვილის** დახმარებითა და დაფინანსებით უცხოეთში გახიზნა და მარტო ცხოვრობდა:

***„ერთ მშვენიერ დღეს, როცა სახლში არ ვიყავი, კარზე მოაკაკუნეს...***

***ლიამ, ჩემმა დამხმარემ, კარი გააღო და ხელში შერჩა გაბრაზებული უცხო მამაკაცი, რომელმაც პრეტენზიულად უთხრა, რომ ჩვენ „რაღაც აპარატურა“ გვაქვს დაყენებული მის ბინაში, რაზეც ითხოვს ახსნა-განმარტებას.***

***ლია დაიბნა, საერთოდ ვერ გაიგო, რაზე იყო საუბარი. იმ კაცმა აიყვანა ზედა სართულზე ბინაში და იქ დახვდათ ასეთი სურათი — შტატივზე დადგმული შტატივი, ამობურღული იატაკი, რომელშიც ჩამოშვებული იყო მოსასმენი აპარატურის ე.წ. „კაბელები“ და იქვე იდგა უზარმაზარი უწყვეტი დენის მიწოდების ბლოკი...“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 167).*

ანუ სააკაშვილის **სუს**-მა ისარგებლა , რომ ხუხაშვილის ბინის თავზე მეზობლის გაურემონტებელი ბინა იყო დაკეტილი, შევიდა შიგ, ამობურღა იატაკი და მემუარისტის ბინაში მოსასმენი აპარატურა ჩაუშვა! როცა სახლში დაბრუნებულმა მეზობელმა ეს ყველაფერი იხილა, მიიჩნია, რომ სწორედ ხუხაშვილმა დაამონტაჟა ტექნიკა მისი ბინის მოსასმენად!

აი, ასე უბადრუკად გაიყიდა სააკაშვილის სპეცსამსახურების სპეცოპერაცია:

***„საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იწერდნენ ჩემს სახლში ყოველ „გაფაჩუნებას“ და ამ ჩანაწერების გარკვეული ნაწილი წინასაარჩევნოდ მოასმენინეს კიდეც „იმედისა“ და „რუსთავი-2“-ის მეშვეობით ტელემაყურებელს. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტური გამოდგა მათი „შრომა“...***

***რამდენიმე კეთილმოსურნემ „საიდუმლოდ“ მომიტანა ამბავი, რომ ხელისუფლება კი არა, ბიძინა მისმენდა“*** *(იქვე, გვ.168).*

თუმცა, ეს რომ ჩვეულებრივი, მოკლეფეხებიანი სიცრუე იყო, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ამ სკანდალური ამბის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმე სააკაშვილის შსს-მ ნორმალურად არც კი გამოიძია და მალევე მიაფუჩეჩა! არადა, წინასაარჩევნოდ ნაცრეჟიმისთვის იმაზე კარგი საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო, რომ ბიძინა ივანიშვილი უახლოესი გარემოცვის წევრებს ფარულად უსმენდა საკუთარ ბინებში!

და აი, ნაცრეჟიმმა ფარული ჩანაწერების გამოყრა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე დაიწყო:

***„მათ შორის განსაკუთრებით ბევრი იყო ირაკლი ღარიბაშვილისა და ჩემი საუბრის ჩანაწერები. პოლიტიკური თვალსაზრისით ამ ყველაფერს კომპრომატს ვერ ვუწოდებდით, რადგან ტელევიზორში მომიწია იმის მოსმენა, თუ რაზე და ვისზე ვესაუბრებოდი ჩემს მეუღლეს, ჩემს შვილს, რაც ემოციურად ძალიან მძიმე და დამთრგუნველი იყო, მაგრამ პოლიტიკური ეფექტის თვალსაზრისით, შედეგი, პრაქტიკულად, ნულოვანი გახლდათ.***

***ყველაზე გახმაურებული და რეზონანსული ამ ჩანაწერებში გახლდათ ირაკლი ღარიბაშვილის კახური მრავალსართულიანი გინება, რომელსაც არანაირი ზიანი ჩვენთვის არ მოუყენებია“*** *(იქვე, გვ. 171).*




არადა, სააკაშვილის რეჟიმის ჯიბის ტელევიზიებში ამ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ხუხაშვილის ბინის მოსმენის სპეცოპერაციაც, რომელიც ვითომდა ბიძინა ივანიშვილს დააბრალეს, სწორედ სუს-ის ნახელავი იყო!

**სხვა ლოგიკით, აბა, როგორ აღმოჩნდა ეს ჩანაწერები სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიებში — ბიძინა ივანიშვილი ხომ არ მოუტანდა თავისი გუნდის დასაზიანებლად — აი, თქვენ ხუხაშვილისა და მისი მეუღლის საუბრის ჩანაწერი და იქნებ გამოაქვეყნოთო?!** ანუ სააკაშვილის ბანდას ისე უჭირდა წინასაარჩევნოდ, ოღონდ ეს ფარული ჩანაწერები გამოექვეყნებინათ და იმასაც აღარ დაგიდევდნენ, რომ ეს პირდაპირ ამტკიცებდა, ხუხაშვილს ფარულად ბიძინა კი არა, სააკაშვილის სუსი უსმენდა!

მაგრამ სააკაშვილის რეჟიმს ამ ფარული მოსმენების სკანდალმაც ვერ უშველა. იმის ჩვენებამ — აი, როგორ აგინებენ ერთმანეთს ივანიშვილის გუნდის წევრები ზურგს უკანო — არანაირად არ იმოქმედა „ქართული ოცნების“ კოალიციის მდგრადობასა და ამომრჩეველის განწყობაზე, რომელიც კიდევ უფრო მყარად დარწმუნდა ნაცრეჟიმის უკიდეგანო ზნედაცემულობაში:

***„რაც შეეხება გუნდის „არევას“, აქ უკვე დავგვიანეს. ჩანაწერები ერთი თვით ადრე რომ გამოექვეყნებინათ, არ გამოვრიცხავ, რომ რაღაც შედეგი მიეღოთ. მაგრამ უკვე ფინიშის სწორზე, როდესაც სრული მობილიზაცია გვქონდა გამოცხადებული და ყველას გვესმოდა, რომ ურთიერთწყენების დრო არ იყო, ამ მხრივაც ყველა მცდელობა წყალში გადაყარეს“*** *(იქვე, გვ. 172).*

ამის შემდეგ მემუარისტი ისევ უკან ბრუნდება — 2011 წლის ამბებს იხსენებს, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის განაცხადი გააკეთა და თავის გარშემო მრავალპარტიული კოალიციის შემოკრება დაიწყო:

***„ჩვენი კამპანიის სლოგანი თავიდანვე იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი და პოზიტიური და ასე ჟღერდა: „ჩვენი მიზანი არ არის ვინმეს დამარცხება, ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება“.***

***თუმცა, ერთია სლოგანი, მეორეა შინაარსი და მოქმედების ტაქტიკა.***

***ის მსოფლმხედველობრივი და ფსიქოლოგიური ეკლექტიკა, რომელიც სრულიად აშკარად გამოჩნდა კოალიციის ფორმირების პროცესში, გაცხადებული ტაქტიკის საპირისპიროზე მეტყველებდა“*** *(იქვე, გვ. 175).*

ანუ კოალიციაში, სადაც იყო „ეროვნული ფორუმი“ და ულტრალიბერალური რესპუბლიკური პარტია, თითქოს ცხვრისა და მგლის ერთობა გადაწყვიტესო! მაგრამ ხუხაშვილი თავადვე აცხადებს, რომ მსგავსი ერთობა მხოლოდ იმიტომ შედგა, რომ არსებობდა მთავარი და დომინანტური გამაერთიანებელი ფიგურა — **ბიძინა ივანიშვილი:**

***„საბოლოო ჯამში, ჩვენს ოფისში შეიკრიბა ყველა, ვისაც არ მოსწონდა არსებული რეჟიმი, მეტ-ნაკლებად მზად იყო მის წინააღმდეგ საბრძოლველად და პოლიტიკური „პულსი ესინჯებოდათ“.***

***შესაბამისად, ამ პარტიების ლიდერებისგან შედგა პოლიტსაბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობდა და მოდერაციას უწევდა ყველასგან აღიარებული ლიდერი — ბიძინა ივანიშვილი“*** *(იქვე, გვ. 175).*

**ხუხაშვილი** პირდაპირ ამბობს — რომ არა ბიძინას უნიკალური თვისებები, ეს აბსოლუტურად განსხვავებული მსოფლმხედველობის პოლიტიკოსები სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის ნაცვლად ერთმანეთს დაჭამდნენო:

***„სწორედ ბიძინას უპირობო ლიდერობა იყო დასაწყისში ერთადერთი კონსენსუსი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ, რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე პარტიებს შორის.***

***სწორედ ამ მაგიდასთან გამოავლინა ბიძინა ივანიშვილმა თავისი, მე ვიტყოდი, უნიკალური უნარები. მან საკმაოდ მოკლე ხანში მოახერხა „უკომპრომისო მონოლოგების“ გადაყვანა ნორმალური, საქმიანი დიალოგის რეჟიმში. ფაქტობრივად, აიძულა ჩვენი პოლიტიკური ელიტა, რომ სახლებში დაეტოვებინათ ძველი წყენები, წინააღმდეგობები და კონცენტრაცია მოეხდინათ ერთ მთავარ ამოცანაზე — ხელისუფლების დამარცხებაზე“*** *(იქვე, გვ. 176).*

ამდენად, მემუარისტი იმ ისტორიული მოვლენებიდან 10 წლის შემდეგაც აღიარებს და პირდაპირ აცხადებს:

**რომ არა ბიძინა ივანიშვილის პირადი უნარები, მოთმინება და შორსმჭვრეტელობა, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი ისევ ხელისუფლებაში დარჩებოდა, რადგან მაშინდელ ოპოზიციას არანაირი შანსი და უნარი არ ჰქონდა ნაცხუნტის დასამარცხებლად!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# კახა საბახტარიშვილი:

# ქარხნული წესით დამზადებული კომპოტი წყურვილს არ კლავს!



„ერთადერთი ვიტამინი, რომელიც ძლიერ თერმულ ზემოქმედებას დიდი ხნის განმავლობაში უძლებს, ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი D ვიტამინია!“

***ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი გვაფრთხილებს, რომ ლიმონმჟავას, რომელიც თავისთავად უვნებელია, ხშირად ქარხნული წესით დამზადებულ კომპოტს უმატებენ, რაც ადამიანის აღქმის სისტემებს აბნევს და მომხმარებელი კომპოტში არსებული შაქრის კონცენტრაციის მაღალ დონეს სათანადოდ ვერ აფასებს, რაც ორგანიზმისთვის დიდი გამოწვევაა:***

— ზაფხული მურაბებისა და კომპოტების დასამზადებლად საუკეთესო პერიოდია. მურაბების შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება კომპოტს, სამედიცინო წრეებში მის შესახებ რადიკალურად განსხვავებული შეხედულება არსებობს. ერთნი მიიჩნევენ, რომ კომპოტი ძალიან სასარგებლოა და გვიან შემოდგომაზე, ზამთარსა და ადრიან გაზაფხულზე, როცა ორგანიზმი ვიტამინებისგან ღარიბდება, ამ დანაკლისს სწორედ მისი მეშვეობით შევივსებთ. სხვების აზრით, კომპოტში არანაირი სასარგებლო ნივთიერება არ ნარჩუნდება, რადგან ძლიერი თერმული ზემოქმედების შედეგად საკომპოტედ გამზადებულ ხილსა და კენკრაში მდუღარე წყალი ყველა მარგებელ პროდუქტს სპობს. ჭეშმარიტება ამ ორ მოსაზრებას შორის სადღაც შუაშია და იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, კომპოტს რისგან ვამზადებთ და რა ტექნოლოგიით.

**— ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თერმული ზემოქმედების შედეგად ისეთი იშვიათი თვისებების პროდუქტი, როგორიც თაფლია, შხამად იქცევა და კიბოს იწვევს. საინტერესოა, კომპოტის დამზადების დროს, მდუღარე წყალში ხარშვისას, მსგავსი რამ რომელიმე ხილსა და კენკრასაც ხომ არ ემართება?**

— კომპოტის მომზადების დროს მსგავსი საშიშროება გამორიცხულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რომელიმე პროდუქტის კომპოტად ქცევის პროცესში მხოლოდ სამი კომპონენტი მონაწილეობს — **წყალი, შაქარი და ხილი ან კენკრა.** შაქრის დუღილის შედეგად სიროფი მიიღება, რომელიც, თუ დიდი ოდენობით არ მივიღეთ, უვნებელია. ზოგიერთი ტკბილი ხილისაგან კომპოტის მომზადებისას შაქარს საერთოდ არ იყენებს, ხოლო ადუღებული წყალი და მოხარშული ხილი ან კენკრა მავნე ვერანაირად ვერ იქნება.

საერთოდ, კომპოტი იმით ფასობს, მომზადების დროს რამდენად მოვახერხებთ მასში ვიტამინების შენარჩუნებას. გვახსოვდეს: **60 გრადუს ცელსიუსის ზემოთ ვიტამინების უმრავლესობა ნადგურდება.** ასე, მაგალითად, კომპოტის 10 წუთით დუღილის შედეგად ხილსა და კენკრაში ნადგურდება B1 ვიტამინის 80 პროცენტი, B9 ვიტამინის — 89 პროცენტი, C ვიტამინის — 95 პროცენტი და E — ვიტამინის 90 პროცენტი... **ერთადერთი ვიტამინი, რომელიც ძლიერ თერმულ ზემოქმედებას დიდი ხნის განმავლობაში უძლებს, ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი D ვიტამინია.** ამიტომაც არის, რომ D ვიტამინით მდიდარ თევზსა და კვერცხში ეს უაღრესად საჭირო და ნომერ პირველი ნივთიერება მაშინაც კი ნარჩუნდება, როცა თევზსა და კვერცხს მოვხარშავთ ან შევწვავთ.

**— როგორ მოვამზადოთ კომპოტი სწორად, რათა მასში ვიტამინები მაქსიმალურად შევინარჩუნოთ?**

— პირველ რიგში, ხილი და კენკრა საღი უნდა იყოს. ის კარგად უნდა გავრეცხოთ გამდინარე წყლით, მოვათავსოთ აუცილებლად ემალირებულ ჭურჭელში და დავასხათ თბილი წყალი. პროდუქტი ასე უნდა დავაყოვნოთ 2-3 საათის განმავლობაში... ხილი ან კენკრა აფუვდება, რა დროსაც მას მცირეოდენ შაქარს დავაყრით. ამის შემდეგ ემალის ქვაბს მჭიდროდ უნდა დავახუროთ სახურავი და ნელ ცეცხლზე შემოვდგათ. როგორც კი კომპოტი წამოდუღდება, ქვაბი მაშინვე გადმოვდგათ ცეცხლიდან, დაახლოებით 2 საათი დავაყოვნოთ და შემდეგ მივირთვათ. კომპოტის მომზადების პროცესში ქვაბისთვის თავსახურის მჭიდროდ დახურვა იმისთვის არის საჭირო, რომ ხილში ან კენკრაში არსებული ვიტამინები რეაქციაში არ შევიდნენ ჟანგბადთან, რადგან ჟანგვის შედეგად თავიანთ თვისებებს დაკარგავენ. გარდა ამისა, ვიტამინები წამოდუღებისას გადადიან სითხეში და, თუ ჭურჭელს თავი დაგმანული არა აქვს, ჰაერში იკარგებიან.



**— ერთჯერადი გამოყენების კომპოტს საქართველოში, ძირითადად, ავადმყოფებს უმზადებენ. საინტერესოა, როგორი ტექნოლოგიით უნდა მოვამზადოთ ისეთი კომპოტი, რომელიც დიდხანს ინახება?**

— ასეთი კომპოტი დიდხანს უნდა ადუღო, შაქარი დაუმატო და სტერილიზაციაც გაუკეთო, რათა მასში ბაქტერიები მოისპოს! როგორც წესი, ასეთი კომპოტი არ გვავნებს, მაგრამ არც არაფერს გვმატებს, რადგან მასში, ფაქტობრივად, არცერთი ვიტამინი და სასარგებლო ნივთიერება შენარჩუნებული არ არის. შაქრიანი დიაბეტიანებისთვის კი ასეთი წესით დამზადებული კომპოტი საფრთხის შემცველია, რადგან დიდი რაოდენობით ფრუქტოზას შეიცავს და ამავდროულად მაღალკალორიულია, რაც წონაში მატებას განაპირობებს.

**— რას იტყვით ქარხნული წესით დამზადებული კომპოტების შესახებ?**

— ქარხნული წესით დამზადებული კომპოტი დიდი ხნის განმავლობაში ინახება. ეს ეფექტი მიიღწევა სხვადასხვა **კონსერვანტების** დამატების შედეგად, რაც ძალიან საშიშია, რადგან არაერთხელ გვითქვამს, რომ მათი ხშირად მიღება სიმსივნეს იწვევს. გარდა ამისა, ქარხნული წესით დამზადებულ კომპოტებში მწარმოებლები ერთ ვირეშმაკობას მიმართავენ. კერძოდ, ქარხნული კომპოტების უმრავლესობას ეტიკეტზე მითითებული აქვს მჟავიანობის რეგულატორის მაჩვენებელი. ხშირად ეს ლიმონმჟავაა, რომელიც თავისთავად უვნებელია, მაგრამ კომპოტზე მისი დამატება ადამიანის აღქმის სისტემებს აბნევს და მომხმარებელი კომპოტში არსებული შაქრის კონცენტრაციის მაღალ დონეს ვერ ამჩნევს, რაც ორგანიზმისთვის დიდი გამოწვევაა.



„როცა საკომპოტედ ხილს ვამზადებთ და კანს ვაცლით, ამით თავიდან ვიშორებთ პექტინს, რომელიც ჩვენი მხსნელია და კიბოს უჯრედებს კლავს!“

**ჩაიში ათი კოვზი შაქარი რომც ჩავყაროთ, თუ მას ლიმონმჟავას დავუმატებთ, სიტკბოს ვერ შევიგრძნობთ. სწორედ იგივე პროცესთან გვაქვს საქმე ქარხნულად დამზადებულ კომპოტებთან მიმართებაშიც.** გვახსოვდეს — ქარხნული წესით დამზადებული კომპოტი წყურვილს არ კლავს! ამის გამო ადამიანი მას დიდი რაოდენობით მოიხმარს, რადგან სიტკბოს ვერ გრძნობს, ჭარბი შაქრის მიღება კი ზედმეტი ინსულინის გამოყოფას იწვევს. თავის მხრივ, ეს განაპირობებს შიმშილისა და მეტი რაოდენობით სითხის მიღების სურვილს. სწორედ ამიტომ, როდესაც კარგად დავნაყრდებით და ლიმონმჟავათი გაჯერებულ ქარხნულ კომპოტს დავლევთ, ცოტა ხანში კიდევ უფრო მეტად გვშივდება და მეტი სითხის მიღების სურვილი გვიჩნდება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბავშვთა კვებაში კომპოტი შესაძლოა, 6 თვის ასაკიდანაც კი ჩავრთოთ, მაგრამ ერთი პირობით — **კომპოტი უშაქრო და ხანმოკლე დუღილის შედეგად მუდმივად ახალი მომზადებული უნდა იყოს!**

**— არის თუ არა კომპოტში ისეთი სასარგებლო ნივთიერებები, რომლებიც ხანგრძლივი თერმული დამუშავების შედეგად თავიანთ თვისებებს ინარჩუნებენ?**

— რა თქმა უნდა, ასეთი ნივთიერებები კომპოტში მაინც რჩება. ეს ნივთიერებებია სხვადასხვა მიკროელემენტები, ასევე კალიუმი, მაგნიუმი, თუთია, რკინა და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა ხილის შემადგენლობაში შედის ხსნადი უჯრედისი **პექტინი,** რომელსაც ორგანიზმიდან სხვადასხვა ტოქსინები, შხამები და კანცეროგენური ნივთიერებები გამოაქვს. პექტინი კომპოტში თითქმის უცვლელი სახით ნარჩუნდება და ხანგრძლივ თერმულ ზემოქმედებას უძლებს. უბრალოდ, ერთი რამ გვახსოვდეს — პექტინის ყველაზე დიდი კონცენტრაცია ხილის კანშია. ამიტომ, როცა საკომპოტედ ხილს ვამზადებთ და კანს ვაცლით, ამით თავიდან ვიშორებთ პექტინს, რომელიც ჩვენი მხსნელია, ორგანიზმის სანიტრის ფუნქციას ასრულებს და კიბოს უჯრედებს კლავს!

საერთოდ გვახსოვდეს, რომ ადამიანისთვის და, განსაკუთრებით ბავშვებისთვის კომპოტზე ბევრად უფრო სასარგებლოა **ე.წ. „სმუზი“,** რომელიც შემდეგნაირად მზადდება — სხვადასხვა ხილსა და კენკრას ჩვენი გემოვნების მიხედვით შევარჩევთ, მოვათავსებთ ე.წ. ბლენდერში, დავუმატებთ იოგურტს და ყველაფერს ერთად ავთქვეფთ. ასეთ სასმელში 100 პროცენტით არის შენარჩუნებული ყველა ვიტამინი და სასარგებლო ნივთიერებები, რასაც ემატება იოგურტში ან მაწონში შემავალი რძემჟავა ბაქტერიები, რომლებიც ნაწლავის სასარგებლო მიკროფლორას ამრავლებენ და ხილის უკეთ ათვისებას უწყობენ ხელს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**მევლუდ მელაძე**
*საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*



დამრღვევი მძღოლები **მაქსიმალურად უნდა დაჯარიმდნენ.** ყველამ იცის, კამერები რა ზონებშია და თუკი პოლიცია ახლომახლო არ ჩანს, **მძღოლები თავს უფლებას აძლევენ, სიჩქარე გადააჭარბონ.** სტატისტიკას თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ **ბევრი ახალგაზრდა გამოცდილების უქონლობის გამო იღუპება.** როცა შვილს უსრულებ სურვილს და მისთვის ყიდულობ **„მუსტანგს“, „ბმვ“-ს,** ასეთ სწრაფ ავტომობილს, უნდა იცოდე, რომ ამით ძალიან ცუდ საქმეს აკეთებ. „კვირის პალიტრა“

**ანა დოლიძე**
*პარტია „ხალხისთვის“ ლიდერი*



განგაში უნდა ავტეხოთ, თორემ თაობა გვეღუპება. **ახალ-ახალი ექსპერიმენტული ნარკოტიკები თავისუფლად იყიდება ინტერნეტით,** ტელეგრამარხებით. ხომ შეიძლება ის ტერიტორიები გაკონტროლდეს, სადაც დებენ წამალს. **ნარკოდამოკიდებულების ძალიან დიდი არმიაა ქვეყანაში.** კიდევ ერთი მწვავე პრობლემაა **სააფთიაქო ნარკომანია,** როცა ამდენი **ქსელური აფთიაქია** და ამ დროს იქვე ავტოფარეხში ან შენობის კუთხეში გახსნილია **პატარა აფთიაქი,** ხომ ნათელია, იქ რა იყიდება. ამის აღმოფხვრა რატომ არის პრობლემა? „კვირის პალიტრა“

**შალვა პეტრიაშვილი**
*კარდიოლოგი, ილია მეორის პირადი ექიმი*



საოცრად **გულისხმიერია** ჩვენი პატრიარქი, ისეთი **სადა და უბრალო,** თითქოს ამხელა სასულიერო რეგალია არც გააჩნდეს. **ისე მომიკითხავს ოჯახის ყველა წევრით,** ზოგჯერ მიკვირს, საიდან ახსოვს ამხელა მრევლის პატრონს თითოეულის სახელი. „კვირის პალიტრა“

**იმედა კახიანი**
*მსახიობი*



თუ არ გაქვს აზარტი და ჟინი, რომ **მოეწონო ქალს,** მაშინ რა აზრი აქვს ცხოვრებას?! **ნასესხები ფულით არასოდეს მითამაშია** ან იმით, რომელიც ოჯახს ეკუთვნის და ამიტომ **არც ვალებში გადავვარდნილვარ.** „სარკე“



# მიხეილ ცაგარელი: პლანეტა პლუტონი მალე დიდი ხნით მერწყულში დაიბუდებს

*— რატომ უწოდებენ პლანეტა პლუტონს ტრანსპერსონალურსა და ევოლუციურსაც? რა ძირითადი მახასიათებლები გააჩნია და რაში მდგომარეობს მისი უმდაბლესი ან უმაღლესი გამოვლენა? უკანასკნელად მე-18 საუკუნეში პლუტონის მერწყულის ზოდიაქოში მოძრაობისას რისი აღზევების ხანა იყო მსოფლიოში? ბოლო პერიოდში როდის შეაბიჯა ანდა დატოვა მან მერწყულის ზოდიაქო და როდის გადაინაცვლებს დიდი ხნით? პლუტონი, როგორც კარმული ხასიათის მატარებელი პლანეტა, რაზე ამახვილებს ყურადღებას, რა არის მისი მოვალეობა და როგორ ასრულებს თავის მისიას? მერწყულში მოძრაობისას რა იქნება მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მისი მიზანი და რას დაუკავშირდება ცვლილებები? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც აღნიშნეთ, დიდი და მნიშვნელოვანი ასტროლოგიური მოვლენა გველოდება, რამეთუ მალე პლანეტა პლუტონი დატოვებს თხის რქის ზოდიაქოს და დიდი ხნით გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოს ნიშანში. რას უქადის კაცობრიობას ამგვარი ცვლილება ცის კაბადონზე?**

— **პლანეტა პლუტონი** თავად ზომით ძალიან პატარაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, მოახდინოს დიდი ზემოქმედება დედამიწასა და მის მაცხოვრებლებზე. სხვაგვარად **მას ტრანსპერსონალურსა და ევოლუციურსაც უწოდებენ, რადგან მუდამ დიდ და მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს.** ნიშანდობლივია, რომ **მერწყულის თანავარსკვლავედში** იგი მხოლოდ **მე-18 საუკუნეში** მოძრაობდა და თუ გავიხსენებთ იმ დროს, ეს იყო მსოფლიოში მრეწველობის აღზევების პერიოდი, რომელსაც თან ახლდა მეცნიერების, კულტურის, განათლების განვითარება. არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება იგი ამჯერადაც. **პლუტონის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს ძალა, სიმდიდრე, სიბნელე, ტრანსფორმაცია, განადგურება, სიკვდილი და აღორძინება, აღდგომა და გარდასახვა. თავისი უმდაბლესი გამოვლენით მისი შესატყვისი ცნებები გახლავთ** სიბნელე, ანიჰილაცია, მანიპულაცია, ნგრევა, შიში, ფულის ფლანგვა, ენერგიის (მასობრივი მასშტაბით) ნეგატიურად გამოყენება, შეურაცხყოფა, სირცხვილი, გარყვნილება, სიკვდილი, ფანატიზმი, ძალდატანება, ხალხის გატაცება, მონობა, ვირუსები, ხოლო **უმაღლესი გამოვლენისას პლანეტა პლუტონი** (ინსტინქტურად) ხვდება, რა არის შესაცვლელი და ამიტომ ტრანსფორმაციის პოზიტიურ ძალას გარდაქმნებს ახმარს. ენერგიას იყენებს პოზიტიური ცვლილებებისა და განკურნებისათვის, ნეგატიურის ტრანსმუტირებისათვის, რეპროდუქციის სისტემის გააქტიურებისათვის. მოგეხსენებათ, რომ **პლუტონი მზიდან** ყველაზე შორის მდებარე პლანეტაა და **ღრიანკალის ზოდიაქოს** მართავს. **მზის** გარშემო ერთ შემობრუნებას **248 წელი** უნდება. ამჯერად აღნიშნულ პერიოდში იგი სამჯერ შევა და გამოვა **მერწყულში.** პირველ ჯერზე პლანეტა **პლუტონმა თხის რქის** ზოდიაქო მცირე ხნით მიმდინარე წლის **23 მარტიდან 11 ივნისამდე** დატოვა და შემდგომ რეტროგრადულად ისევ დაუბრუნდა. **უფრო დიდი ხნით მერწყულში გადაინაცვლებს 2024 წლის 21 იანვრიდან 1 სექტემბრამდე.** საბოლოოდ კი მისი გადანაცვლება **მერწყულის** ზოდიაქოში საკმაოდ გრძელვადიანი იქნება და **2024 წლის 19 ნოემბრიდან 2043 წლის 9 მარტამდე** გასტანს. ნიშანდობლივია ისიც, რომ მერწყულის ნიშანში ამ მოკლევადიანი გადასვლებისას, პლანეტა პლუტონი წინასწარ მიგვითითებს იმ სფეროებზე, რომლებშიც შესაძლოა, ცვლილებებს ჰქონდეს ადგილი და თუ რაიმეში პრობლემა წარმოიშვა, ე.ი. კვლავაც წამოიჭრება და, შესაძლოა, უფრო მწვავედაც. ამიტომ დროულად ღირს ყურადღების მიქცევა და მდგომარეობის გამოსწორება, რაიმეს შეცვლა ან პრობლემის გადაჭრისათვის წინასწარი გეგმის დასახვა და შესაძლო გართულებების გვერდის ავლა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **პლანეტა პლუტონი განაგებს ყოველივე ფარულს, უხილავს და საიდუმლოს, ამიტომ ზოგჯერ მისი ზემოქმედება და პირველადი ცვლილებები ფაქიზიც კი შესაძლოა, მოგვეჩვენოს, თუმცა, მძიმე და მტკივნეულ გარდაქმნებს იწვევს.** არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ატომურ ენერგიას სწორედ **პლანეტა პლუტონი** მართავს და განაგებს, **მეორე მხრივ, მისი ძირითადი ზეგავლენა ხალხზე, მასებზე, ერებზე და ქვეყნებზე იქნება ფოკუსირებული. დიდი ცვლილებები სწორედ ამ მიმართულებით იქნება მოსალოდნელი. ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში პლუტონი კარმული ხასიათის მატარებელია და ყურადღებას ამახვილებს მაღალსულიერებაზე, შეგნებისა და გონიერების განვითარებაზე, ნეგატიური ასპექტებისგან განთავისუფლებაზე.** მისი მოვალეობაა, გაწმინდოს, მოგვაშოროს ის ადამიანები და გარემოებანი, რომელიც ზიანს გვაყენებს (ტოქსიკურია, სუსტია, გვამუხრუჭებს და წინსვლისა და განვითარების საშუალებას არ გვაძლევს). **პლანეტა პლუტონს აქვს უნარი, ის დაინახოს, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ და ვერც ვხედავთ, ამიტომ არავის ინდობს და თავის მისიას ასრულებს. იგი უპირისპირდება თითოეული ზოდიაქოს ნიშნის მანკიერებებს და ავლენს ნეგატიურს, შეთქმულებებსა და ინტრიგებს.** და ვინაიდან **პლუტონი** მასებს განაგებს, მისი ზეგავლენით საზოგადოებაც იწყებს ფარული თუ აშკარა პროცესების უფრო მეტ კონტროლს. **მერწყულში მოძრაობისას პლუტონისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება მეგობრებთან, საზოგადოებასთან, სოციალურ წრესთან და მთლიანად სამყაროსთან.** იგი აიძულებს ადამიანებს, ერთმანეთის დახმარებით იპოვონ ისეთი გზა, რომელიც არ საჭიროებს თავგანწირვას, თავისუფლებისა და ინდივიდუალურობის შეზღუდვას. მეორე მხრივ კი, ეს სამყაროს სწრაფი ცვლილების (რევოლუციისა და შფოთვის) დროა, როდესაც ინოვაციები ნებისმიერ სფეროში საგრძნობი იქნება, მოქმედების ჰორიზონტები გაიზრდება და შეხედულებებიც შეიცვლება. ამავდროულად, **მერწყული** ვინაიდან **ლომის** საპირისპირო ნიშანია, გარკვეული ცვლილებები ლიდერობას დაუკავშირდება. **ლომი მმართველია, მეფეა, მერწყული კი მისი საპირისპირო ანტიმეფე.** ის „რუხი კარდინალია", მრჩეველია, რომელიც კულისებს მიღმა მოქმედებს და თავის საქმეს უჩუმრად ასრულებს. ამგვარად, **მერწყულს** ყურადღების ცენტრში ყოფნა არ სურს, მაგრამ ძალაუფლებასა და ყველაფრის კონტროლზე უარს არ ამბობს. შესაბამისად, **ამ პერიოდში მოსალოდნელია ინტერნეტისა და სოცქსელების მნიშვნელობის, მათი ზეგავლენის ზრდა და მათი მეშვეობით სხვების ცხოვრების კონტროლი.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **პლუტონის უკონტროლო, გაუცნობიერებელი ენერგია შესაძლოა, სახიფათოც იყოს, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს პლანეტა ერთგვარი მკურნალიცაა, რამეთუ რალაცის ნგრევა-განადგურებას აუცილებლად თან სდევს შენება, რეგენერაცია, ახლის დაბადება. ასევე საკუთარი ბუნების, ხასიათის, მანკიერებებისა და მუტაციების ანალიზს თან მოსდევს მათგან განთავისუფლება, განკურნება, ჯანსაღი თვითკონტროლი და სხვების მიმართ ლმობიერების, თანაგრძნობის გამოვლენა... და სწორედ ეს გახლავთ პლანეტა პლუტონის ძირითადი მიზანი.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 7 – 13 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
კარგი პერიოდია ძველი ჩანაფიქრის განსახორციელებლად და ახალი საქმის დასაწყებად. მასშტაბურ პროექტებში გამართლებული იქნება ცოტაოდენი რისკი. შესაძლოა, მემკვიდრეობა ან საბანკო-საფინანსო ოპერაციებისგან მოგება მიიღოთ. პირად ურთიერთობაში მეტი გულისხმიერება გმართებთ, რათა თავადაც დაცული იყოთ. ხშირი დაგვიანებებისა და გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო, მოლაპარაკება-შეხვედრები რომ არ გართულდეს, წინასწარ თადარიგი უნდა დაიჭიროთ.

**კურო** (21.04-20.05)
საზოგადოებრივ სფეროში გააქტიურებით ცოდნის გაზიარების სურვილი გაგიჩნდებათ. გადაადგილება-კონტაქტების რაოდენობა გაიზრდება და მოლაპარაკების უნარი კონტრაქტების გაფორმებაში და ხელშეკრულებების დადებაში დაგეხმარებათ. ამ კვირაში დამყარებული სასიყვარულო კავშირი ცხოვრებაში ჰარმონიულობას დაგიმყარებთ და პოპულარობასა და პროფესიულ წინსვლაში ხელს შეგიწყობთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საქმეებში ცვლილებები და ტექნიკური ბაზის განახლება სასურველ შედეგს მოიტანს როგორც კარიერაში, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ბევრმა შეხვედრამ შესაძლოა, დაღლის შეგრძნება გააჩინოს. საყვარელ ადამიანთან და შვილებთან ურთიერთობა სტიმულს მოგცემთ პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. მოგზაურობა კი ჯანმრთელობაზეც და საქმეზეც პოზიტიურად აისახება.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
დაქვეითებული ენერგიის მიუხედავად, ადვილად შეძლებთ გარშემო მყოფებთან კავშირის დამყარებას, ახალი იდეების ხორცშესხმას და საჭირო მხარდაჭერის მოპოვებას. შემოსავლის გაზრდისათვის აუცილებელია დამატებითი სამუშაოს მოძიება. ინტუიციას დაეყრდენით და ყველა ჩანაფიქრს დროულად განახორციელებთ. მოგზაურობები კი განსაკუთრებით სასიკეთო იქნება, თუ გზაში მარტო არ იქნებით და საყვარელი ადამიანი ან ოჯახის წევრები გვერდით იქნებიან.

**ლომი** (23.07-23.08)
დამოუკიდებლად ნუ იმუშავებთ, რადგან ჯგუფურად უფრო იოლად გაართმევთ თავს სირთულეებს და მიზანს სწრაფად მიაღწევთ. გაზრდილი შემოქმედებითი პოტენციალი სტაბილურ შემოსავალს გპირდებათ. ახალი, საინტერესო სასიყვარულო კავშირის ჩამოყალიბების ალბათობა არსებობს. თავისუფალი დრო კულტურულ-გასართობ ღონისძიებებს, მეგობრებთან ურთიერთობასა და გართობას დაუთმეთ. ამგვარად დასვენება სახალისოც იქნება და შედეგიანიც.

**ქალწული** (24.08-23.09)
ენერგია, აქტიურობა და ხალისი მოგემატებათ. ჯანმრთელობაც გაგიუმჯობესდებათ. საქმეს უფრო შემოქმედებითად მიუდგებით და ადრე დაწყებულ პროექტებს ადვილად დაასრულებთ. უფრო მომთმენი და მოწესრიგებული გახდებით პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში, რისი მეშვეობითაც სერიოზული და ხანგრძლივი კავშირის დამყარება გაგიადვილდებათ. გზებზე გადაადგილებებისას კი სიფრთხილე გამოიჩინეთ.

## 7 – 13 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ჯგუფურად მუშაობა საქმის სწრაფად დასრულების საშუალებას მოგცემთ. საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა შიშების დაძლევაში დაგეხმარებათ. მეგობრული ურთიერთობა შესაძლოა, სასიყვარულოში გადაიზარდოს. შესაძლოა, საწინააღმდეგო სქესის სხვა წარმომადგენლებზე გული აიცრუოთ, თუ ისინი თქვენს წარმოსახვაში არსებულ იდეალს ვერ დააკმაყოფილებენ. მოგზაურობებისას დამყარებული კავშირები ხანგრძლივი იქნება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
თქვენი მჭევრმეტყველებით არაერთ ადამიანს მოხიბლავთ. ენერგიულობითა და ქმედითუნარიანობით ბევრ თაყვანისმცემელს შეიძენთ. დროის დიდი ნაწილი შესაძლოა, დაუთმოთ შვილებს, განათლებასა და ჯანმრთელობის საკითხებს. ქორწინებითა და სასიყვარულო ურთიერთობის წყალობით თავს უფრო თავდაჯერებულად იგრძნობთ. ძვირადღირებული შენაძენებისათვის კი არახელსაყრელი პერიოდია. უცხოელებისაგან შესაძლოა, საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
კარგი პერიოდია შემოქმედებისთვის. კოლეგებთან ჰარმონიული ურთიერთობა ახალი პარტნიორული კავშირების ჩამოყალიბების საწინდარი იქნება. ორიგინალური იდეების განხორციელებას ნუ შეუშინდებით, რადგან ამგვარად წარმატების მიღწევა უფრო ადვილი იქნება. ეცადეთ, ნათესავებთან ორაზროვანი სიტუაციები გაარკვიოთ. მოგზაურობა და სასიყვარულო ურთიერთობა ამ კვირაში ბევრ სიამოვნებასა და დაუვიწყარ მოგონებებს გიქადით.

**თხის რქა** (22.12-19.01)
კარგი დროა ახალი სანაცნობო წრის შექმნისა და სხვების აზრების მოსასმენად, სამოგზაუროდ და დამატებითი ცოდნის მისაღებად. მივლინებაში ყოფნისას შესაძლოა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეთ. ჯგუფურად მუშაობა და თანამშრომლობა პოპულარობის მოხვეჭაში დაგეხმარებათ. ნებისმიერი გაუგებრობა ან კონფლიქტი ჯობს, მალევე გაარკვიოთ, რათა ნერვიულობა თქვენს განწყობაზე, ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობაზე უარყოფითად არ აისახოს.

**მერწყული** (20.01-18.02)
ენერგიით აღსავსე იქნებით, რის გამოც საქმიან წინადადებას მიიღებთ და გაიაზრებთ. მომატებული ინტუიცია კი სწორ არჩევანში დაგეხმარებათ. პირადი ამბიციები ნებისმიერ საქმეში წარმატებას გიქადით. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია გარკვეული წინააღმდეგობები როგორც საქმეში, ისე ოჯახში. შესაძლოა, ადამიანი გაიცნოთ, რომლის მიმართაც სასიყვარულო გრძნობა ყველაფერს გადაფარავს და ცხოვრების რადიკალურად შეცვლისკენ გიბიძგებთ.

**თევზები** (19.02-20.03)
მიზნისკენ სწრაფვის პერიოდია, რომლის დროსაც ბოლომდე უნდა დაიხარჯოთ, სიმტკიცე და შრომისუნარიანობა გამოავლინოთ და შედეგიც არ დააყოვნებს. აქტიურობა და თავდაჯერებულობა ავტორიტეტს გაგიმყარებთ და შესაძლოა, ახალი შემოთავაზებაც მიიღოთ, მაგრამ ზედმეტად ნუ გადაიღლებით და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად დროულად მიიღეთ პროფილაქტიკური ზომები. შორეული მოგზაურობა სასიამოვნო ემოციებსა და მოგონებებს გიქადით.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 8,9, 10 და 13 აგვისტო

1 აგვისტო – სავსემთვარეობა, პიკი – 22.33 საათზე;
16 აგვისტო – ახალმთვარეობა, პიკი – 13.39 საათზე;
31 აგვისტო – სავსემთვარეობა, პიკი – 05.37 საათზე.

# რას ურჩევს ასტროლოგი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 7 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.01 საათზე, ჩადის 20.12 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.31) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 23.22 საათზე, ჩადის 8 აგვისტოს 12.39 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 23.21 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.12 საათიდან 10.31 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ ნუ განმარტოვდებით. სასიკეთოა ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა, ახალი შთაბეჭდილებების მიღება. ამავდროულად, პროვოკაციებს მოერიდეთ. სამართლიანობა გმართებთ. კარგი დღეა სპორტული ღონისძიებებისთვის, სამშენებლო მასალების, უძრავი ქონების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად, ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებები, სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, ცივი და გაზიანი სასმელების მიღება, კისრის მკვეთრი მოძრაობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, ზურმუხტი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 8 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.02 საათზე, ჩადის 20.11 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 23.50 საათზე, ჩადის 9 აგვისტოს 13.50 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 23.33 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 14.30 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ძვირფასეულობას გაუფრთხილდით. ეფექტური იქნება სუნთქვითი ვარჯიშები, შარდსასქესო სისტემის მკურნალობა, სახის, თმის, კანის მოვლა. ამავდროულად, ტრავმული დღეა. მოერიდეთ ყვირილს, გაბრაზებას, განკითხვას, ალკოჰოლს. არ არის სასურველი სულსწრაფი გადაწყვეტილების მიღება, სარისკო ფინანსური ოპერაციები, ცივი და გაზიანი სასმელების მიღება, ორპირ ქარში ყოფნა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, შემოქმედებისთვის, მშენებლობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ცხოველების შესაძენად, მგზავრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 9 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.03 საათზე, ჩადის 20.10 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (17.21) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 10 აგვისტოს 15.00 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.49 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.38 საათიდან 17.21 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ფულსა და ძვირფას ნივთებს გაუფრთხილდით. პარტნიორული კონფლიქტებისა და ფინანსური დანაკარგების დროა. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, სარისკო მოქმედებას, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ზედმეტად ჯიუტი და ხისტი ნუ იქნებით. არ არის სასურველი ორპირ ქარში ან უჰაერო სივრცეში ყოფნა, ცივი და გაზიანი სასმელების მიღება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, ავეჯის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, მუსიკალური აპარატურის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, მხრები, ხელები, ფილტვები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, მარჯანი, ონიქსი. **საღამოს** ტოპაზი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 10 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.04 საათზე, ჩადის 20.08 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 00.22 საათზე, ჩადის 16.08 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 23.15 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ოპტიმისტურად განეწყვეთ. დღეს და ხვალ მშვიდი, ჰარმონიული პერიოდი იქნება სასწორისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის, ხოლო შუადღის შემდეგ ყველა შეიგრძნობს საერთო წარმატების შესაძლებლობას. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, სწავლისთვის, საკანცელარიო ნივთების, კომპიუტერის, საკომუნიკაციო აპარატურის (ტელეფონის, ტელევიზორის) შესაძენად, ინტერვიუებსა და რეკლამისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური საკითხების გადაწყვეტა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი თანამშრომლის მიღება, თმის შეჭრა-შეღებვა, ზედმეტი ლაპარაკი და საიდუმლოს გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მხრები, ხელები, ფილტვები, ბრონქები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ბერლიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის.

## 11 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.05 საათზე, ჩადის 20.07 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 01.00 საათზე, ჩადის 17.10 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 23.52 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 21.27 საათიდან 24.00 საათამდე. **ტენდენციები: სასიკეთოა ლოცვა!** სიცოცხლისუნარიანობა იზრდება. შესაძლებელი იქნება საქმის გაფართოებისთვის კონსულტაციის მიღება. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, მენჯ-ბარძაყის, სახსრების მკურნალობა. მოერიდეთ სიმძიმის აწევას, ალკოჰოლის, ხორცეულის მიღებას, თამბაქოს მოწევას. კარგი დღეა ქორწინებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ახალი საქმის დასაწყებად, კონტაქტებისთვის, სავაჭრო გარიგებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, მშენებლობისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მანიკიურ-პედიკიურის გასაკეთებლად, რეკლამა-აუქციონებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, სველი წესით დალაგებისთვის, ხანმოკლე მოგზაურობისთვის. საიდუმლოს ნუ გათქვამთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ხელები, მხრები. **ქვები:** ტოპაზი, ამაზონიტი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 12 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 20.06 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.10) კირჩხიბის ზოდიაქოში 01.47 საათზე, ჩადის 18.05 საათზე (მთვარის 26-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.10 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ აზრები და სიტყვები გააკონტროლეთ. პარტნიორთან შესაძლებელი იქნება ერთობლივად საკითხის გადაჭრა. მოერიდეთ კამათს, საჭის მართვისას სიჩქარის გადაჭარბებას, საბუთებზე ხელმოწერას. შედეგიანი იქნება ხერხემლის, კანის, სახსრების, კბილების მკურნალობა. კარგი დღეა ბავშვის ჩასახვისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის და რაიმეს შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სისხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი, მარჯანი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 13 აგვისტო, კვირა

**მზე** იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ამოდის 06.07 საათზე, ჩადის 20.04 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 02.40 საათზე, ჩადის 18.51 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 01.46 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთოა ლოცვა, მედიტაცია და საკრალური ცოდნის მიღება. ამავდროულად, გამახვილებულია თავდაჯერება, უყურადღებობა, გართულებულია ურთიერთგაგება. გააკონტროლეთ ემოციები, ეჭვიანობა, სიფრთხილე გმართებთ ცეცხლთან, ცეცხლსასროლ იარაღთან და მჭრელ საგნებთან მიმართებით. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, კულინარიული საქმიანობებისთვის, ფოტოგრაფირებისთვის, შემოქმედებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სისხის აღება-გაცემა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მარგალიტი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



7 აგვისტო - მიძინება მართლისა ანასი, დედისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა

✝ 7 აგვისტო. ორშაბათი. **მიძინება მართლისა ანასი, დედისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა;** წმიდათა დედათა, ოლიპიადა დედათდიაკონისა და ღირსისა ევპრაქსია ქალწულისა, ტავენელისა; ხსენება მეხუთე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.

✝ 8 აგვისტო. სამშაბათი. მღვდელმოწამისა ერმოლაოს ხუცესისა და მოწამეთა: ერმიპესი და ერმოკრატესი, ნიკომიდიელთა; ღირსმოწამისა პარასკევასი.

✝ 9 აგვისტო. ოთხშაბათი. **დიდმოწამისა და მკურნალისა პანტელეიმონისა;** ღირსისა ანთისა აღმსარებელისა, იღუმენიასი და 90-თა დათა მისთა; მოციქულთა სწორთა: კლიმენტისა, ოხრიდელი ეპისკოპოსისა, ნაუმისა, საბასი, გორაზდისა და ანგელარისა.

✝ 10 აგვისტო. ხუთშაბათი. **ღირსისა გიორგი მაშენებელისა, ათონელისა;** 70-თაგანთა მოციქულთა: პროხორესი, ნიკანორისა, ტიმონისა და პარმენ დიაკონთა; მოწამეთა: ივლიანესი, ევსტათი ანკვირელისა, მხედრისა და აკაკისა; მოწამისა იზიტბუზიტისი, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა სპარსთა მიერ ცეცხლისმსახურთა.



11 აგვისტო - ხსენება მოწამისა ევსტათი მცხეთელისა

✝ 11 აგვისტო. პარასკევი. **მოწამისა ევსტათი მცხეთელისა;** მოწამისა კალინიკე ღანგრელისა; მოწამისა სერაფიმა ქალწულისა; მოწამისა თეოდოტიასი და სამთა შვილთა მისთა; ღირსმოწამისა მიქაელისა.

✝ 12 აგვისტო. შაბათი. **აღმსარებელისა ცოტნესი, საქართველოსთვის თავდადებულისა;** 70-თაგანთა მოციქულთა: შილასი, სილოვანესი, კრისკენტისა, ეპენეტოსი და ანდრონიკესი; მოწამისა იოანე მხედრისა; მოწამეთა: პოლიქრონისა, ბაბილონელი ეპისკოპოსისა, პარმენ, ელიმე და ქრისოტელ ხუცესთა, ლუკა და მუკო დიაკონთა, აბდონი და სენისი სპარსეთის მთავართა და მოწამეთა ოლიპისა და მაქსიმესი; მღვდელმოწამისა ვალენტინე ეპისკოპოსისა და სამთა მოწაფეთა მისთა მოწამეთა: პროკულისა, ეფიბისა და აპოლონისა და მართლისა აბუნდისა.



12 აგვისტო - ხსენება აღმსარებელისა ცოტნესი, საქართველოსთვის თავდადებულისა

✝ 13 აგვისტო. კვირა. **წინადღესასწაული უფლის ცხოველმყოფელი ჯვარის პატიოსანთა ძელთა შემოყვანებისა.** ღირსისა არსენისა, ნინოწმიდელი ეპისკოპოსისა; მართლისა ევდუკიმო კაბადოკიელისა; მოწამისა ივლიტასი.




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55



მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

თოდუების ძველთაგან ცნობილი საგვარეულო წამლებით მკურნალობას ლამარა თოდუა აგრძელებს:

მას ათასობით გამოჯანმრთელებული პაციენტი ემადლიერება. ის კურნავს: ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას (სწრაფად, თანაც ლაქებისა და ნაოჭების გარეშე), თმის ბუდობრივ ცვენას, დატილიანებას, დისბაქტერიოზს, მოგაშორებთ კანზე გაჩენილ ლაქებსა და ნაწიბურებს, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქავილიც ქრება და სიწითლეც), მოგირჩენთ ნაწოლებს, დაჩირქებულ ჭრილობებს, ბუასილს, სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, მოგაშორებთ არასასიამოვნო სუნსა და ოფლიანობას ფეხებიდან, სპეციალური ნილბებით გაგისწორებთ ნაოჭებს და გაგიქრობთ ჩირქოვან გამონაყარს სახის კანზე. მისი წამლების მეშვეობით ღვიძლი, ნაღველი და მთლიანად ორგანიზმი იწმინდება ტოქსინებისა და შლაკებისგან.

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ბამბუკი; 9. ვეტო; 11. ყირამალა; 12. სერია; 13. ზაგრები; 14. ლუკა; 15. პარალიზი; 16. კევრი; 17. სმეტანა; 18. დავა; 20. მარიჯანი; 23. ვარდო; 24. ალ; 25. წიწილა; 28. ლუკი; 29. სარაბანდა; 31. კიზი; 33. მაიმუნი; 36. ეპილატორი; 41. ნავთობი; 42. ნაგანი; 45. კარიკატურა; 46. პირატი; 47. რერიხი; 48. სანიტარია; 53. მატისი; 56. კორიფე; 59. კალანდა; 60. ოინბაზი; 61. ლონდონი; 62. რესურსი; 63. ნატახტარი; 64. არამისი.

შვეულად: 1. ტირადა; 2. მარანი; 3. ნარიყალა; 4. ბაზისი; 5. მიგრენი; 6. უტევანი; 7. ისიკავა; 8. ტრავერსი; 9. ვალიდოლი; 10. ობამა; 19. ვაკე; 20. მესიე; 21. რურკი; 22. ჯაბუა; 25. წამი; 26. წვიმა; 27. ლაუდა; 30. ნეო; 31. კინო; 32. ზევსი; 34. მორალი; 35. ბილიკი; 37. პრადა; 38. ლაინი; 39. ტიარა; 40. რაუტი; 42. ნარ; 43. გარბო; 44. ნიხრი; 48. საკურა; 49. ნილოსი; 50. ტენორი; 51. რეალია; 52. არენდა; 53. მეი; 54. ტიბეტი; 55. სეზარი; 56. კროლი; 57. რაინი; 58. ფოსტა

გალიციალიკანიბალისტადიალოგიკაბარელიბოროტი
ტარიგიშერიფიგაროტეკილაძედუნიავარიაციალიდო

| დასავლეთ უკრაინის ნაწილის ძველი სახელი | ქართული მინერალური წყალი | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | საუბარი ორ პირს შორის | ფილმი ლ. მინელის მონაწილეობით | შენობის საძირკველი | მსახიობი ტიმ ... |
|---|---|---|---|---|---|---|

| რაიონული ცენტრი აფხაზეთში | ციმციმი | კატიჭამია – ველური | ეტაპი | შინაგანი კანონზომიერება | მოცულობის საზომი ერთეული აშშ-ში | ავკაცი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. ტროპიკული ქვეყნების მცენარე დამუხლული ღრუ ღეროს მქონე; 9. აკრძალვა სახელმწიფო სამართალში; 11. თავდაყირა; 12. დიდი ფილმის ნაწილი; 13. ხორვატიის დედაქალაქი; 14. სახარების ერთ-ერთი ავტორი; 15. დამბლა; 16. პურეულის სალეწი მოწყობილობა; 17. ჩეხი კომპოზიტორი, პიანისტი; 18. ერისთავის პიესა; 20. ქართველი მწერალი ქალი; 23. სოფიკო ჭიაურელის მრეცხავი პერსონაჟი („ვერის უბნის მელოდიები“); 24. მსახიობი ... პაჩინო; 25. ახლად გამოჩეკილი ქათამი; 28. ჩასაძრომი ჭრილი გემბანზე; 29. ძველებური ესპანური ცეკვა; 31. ამერიკელი მწერალი; 33. ადამიანის „წინაპარი“; 36. თმის მოსაცილებელი ელექტროხელსაწყო; 41. საწვავი სითხე; 42. ქალაქი იაპონიაში; 45. სასაცილო, დამახინჯებული მიმსგავსება; 46. ზღვის მეკობრე; 47. რუსი მხატვარი; 48. მოსახლეობის სისუფთავისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის გატარებული ღონისძიებები; 53. ფრანგი ფერმწერი; 56. მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე; 59. ახალი წელი გურიაში (ძვ.); 60. თვალთმაქცი, ეშმაკი; 61. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი; 62. რისამე მარაგი; 63. სოფელი მცხეთის რაიონში; 64. ალექსანდრე დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი.

შვეულად: 1. პათოსით წარმოთქმული სიტყვა; 2. ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილი; 3. თბილისის ციხე, კალას გვიანდელი სახელწოდება; 4. საზოგადოების ეკონომიკური წყობა მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე; 5. შაკიკი; 6. სიგრძის საზომი ერთეული ძველად, უდრიდა 140 ნაბიჯს; 7. იაპონელი მწერალი; 8. ალპინისტების გადასვლა მთაგრეხილის თხემზე; 9. გულის სამკურნალო პრეპარატი; 10. აშშ-ის ექსპრეზიდენტი; 19. თბილისის უბანი; 20. მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი; 21. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 22. ქართველი მომღერალი ქალი; 25. წუთის მესამოცედი ნაწილი; 26. ატმოსფერული ნალექი; 27. ავსტრიელი ავტომრბოლელი; 30. რთულ სიტყვებში ნიშნავს ახალს; 31. ხელოვნების დარგი; 32. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 34. ზნეობა; 35. საცალფეხო გზა; 37. ამერიკელი დიზაინერი; 38. შინ ნაქსოვი ბამბის ქსოვილი; 39. რომის პაპის გვირგვინი; 40. დარბაზობა; 42. ქართული ნ-ს სახელი; 43. ამერიკელი მსახიობი გრეტა ...; 44. ტარიფი; 48. იაპონური ალუბალი; 49. მდინარე აფრიკაში; 50. კაცის სასიმღერო ხმა; 51. ნამდვილად არსებული ნივთი; 52. იჯარა; 53. მევიოლინე ვანესა ...; 54. ჩინეთის ავტონომიური რაიონი; 55. ფრანგული კინოჯილდო; 56. ცურვის სახეობა; 57. მდინარე გერმანიაში; 58. კავშირგაბმულობის ერთ-ერთი სახეობა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მსხვერპლად შესაწირი | თანამდებობის პირი აშშ-ში | სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით ესპანეთში | მსახიობი ჯაბა ... | მთელი ქვეყანა | მელოდიის სახესხვაობა | ვარიეტე პარიზში |
|---|---|---|---|---|---|---|

| რისამე სახელური | შავი ფისოვანი ნივთიერება, მძივების მასალა | სევილიელი დალაქი | მექსიკური არაყი | ჩინელი ბელადი | ავტო-კატასტროფა | ციმციმი | რძის პრო-დუქტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვავარტიული

**ასავალ დასავალი**

2023 წლის 7 – 13 აგვისტო №35 (1499)

გამოდის ორშაბათობით

2009882637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

**მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი**

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www. facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


